

მამუკა გუჯაბიძე

წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის
ეფექტური რეგულირების მეთოდოლოგიის დამუშავება

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
თვე, 2010

© საავტორო უფლება „მამუკა გუჯაბიძე, 2010“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გუჯაბიძე მამუკას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ეფექტური რეგულირების მეთოდოლოგიის დამუშავება და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელები: ტმდ., პროფ. ლევან კლიმიაშვილი
ტმდ., პროფ. ზაურ ციხელაშვილი

რეცენზენტი: ტმკ. ჯ. ტომარაძე

რეცენზენტი: ტმდ. სრ. პროფ. ნ. კოდუა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2008

| | |
|---------------------|--|
| ავტორი: | მამუკა გუჯაბიძე |
| დასახელება: | წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ეფექტური რეგულირების მეთოდოლოგიის დამუშავება |
| ფაკულტეტი: | სამშენებლო ფაკულტეტი |
| აკადემიური ხარისხი: | დოქტორი |
| სხდომა ჩატარდა: | თარიღი |

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომი სტრუქტურისა და მოცულობის მიხედვით შედგება შესავლის, 4 თავის, დასკვნისა და 124 დასახელების ლიტერატურის ნუსხისაგან, მათ შორის 25 ნახაზი და 8 ცხრილი.

შესავალში მოცემულია ნაშრომის საერთო დახასიათება: დასაბუთებულია პრობლემის აქტუალობა, სამუშაოს მიზანი და კვლევის ამოცანა, კვლევის ობიექტები, კვლევის მეთოდები, მეცნიერული სიახლე, პრაქტიკული ღირებულება და შედეგების რეალიზაცია, მეცნიერული დასკვნების და რეკომენდაციების სარწმუნობის დასაბუთება, სამუშაოს აპრობაცია, ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.

პირველ თავში განხილულია პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის ამოცანები.

წყალმომარაგების სისტემის გამწმენდი ნაგებობების გამართულ და რიტმულ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის პროცესის სამედოობა. ამ მიმართულებით ნაშრომში წარმოდგენილია ლიტერატურული მიმოხილვა, კრიტიკული ანალიზი და საკითხის თანამედროვე მდგომარეობა. დახასიათებულია წყლის გაწმენდის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები (მათ შორის, თანამედროვე მემბრანული ტექნოლოგია), რომლებიც ამომწურავად იძლევიან ამ მეთოდების პრაქტიკული დანერგვის შესაძლებლობებს გამწმენდ სადგურებში. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პრობლემის მიხედვით, არსებულ ნაშრომებში არ არის განხილული წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული მართვის, მონიტორინგის, პროცესგანმაპირობებელი ფაქტორების აღწერის და მოდელირების სისტემური საკითხები, რაც წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია.

საკვლევი პრობლემის გადასაწყვეტად შემოთავაზებულია სისტემური მიდგომა, რომელიც გამწმენდ სადგურებში მიმდინარე წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის განიხილავს კომპლექსურად პროცესგანმაპირობებელი ფაქტორების ანალიზისა და მოდელირების საფუძველზე, გაწმენდის სქემაში ჩართულ ნაგებობათა კომპლექსის ფუნქციონირების ეფექტური რეჟიმების (მუშაობის რეგლამენტის) დადგნის მიზნით.

მეორე თავში წარმოდგენილია წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიულ-სადისერტაციო მართვის პრინციპები: წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიულ-სადისერტაციო მართვის შესაძლებლობა “არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის” პრინციპის გამოყენებით; წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სტატისტიკური მართვის პრინციპები; საკონტროლო-სარეგულაციო რუკების აგება ქ. თბილისის სამგორის გამწმენდი სადგურის მაგალითზე.

მესამე თავში განხილულია წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების რეგულირებისა და ხარისხის მართვის დესკრიფიული ტიპის მოდელების შედგენა ქ. თბილისის სამგორისა და ლრმალელის გამწმენდი სადგურის მაგალითზე.

პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების შესაბამისად, წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიულ-სადისერტაციო მართვის სტრატეგიის შემუშავების მიზნით, შემოთავაზებულია ამ პარამეტრების ნომინალისა და მისი ცვლილების არეგების (ზედა და ქვედა გამაფრთხილებული და სარეგულაციო საზღვრები) დადგენის შესაძლებლობა წინასწარ შედგენილი დესკრიფიული მოდელების გამოყენებით. გადაწყვეტილებათა მიღების წესი ასეთ შემთხვევაში შემოიფარგლება ორი პუნქტი:

წყლის გაწმენდის საერთო ხარისხობრივი შეფასება ჩაითვლება “დამაკმაყოფილებლად”, “კარგად” ან “ძალიან კარგად” მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად მოქმედი წყლის გაწმენდის მახასიათებელი პარამეტრის თითოეული შეფასება მიღებული მოდელების მიხედვით $S_{\text{U}} \geq P \geq 0.37$ -ია. 2. წყლის გაწმენდის საერთო ხარისხობრივი შეფასება ჩაითვლება “არადამაკმაყოფილებლად” მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც $P < 0.37$. ამ შემთხვევაში გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად (ერთი “შემჩნეული” პარამეტრის შემთხვევაშიც კი), რაც გამოიხატება იმაში, რომ მახასიათებელი პარამეტრი გამოსულია საკონტროლო რუკების გამაფრთხილებელი საზღვრებიდან.

პროცესის სტაბილურ მდგომარეობაზე მისაყვანად საჭირო იქნება მოცუმული წესის შესაბამისად “შემჩნეული” პარამეტრების კორექცია განსაზღვრული ნომინალის ფარგლებში. აյ P არის ე.წ. “მიზნის მიღწევის” ფუნქცია, რომელიც ასახავს პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების მიხედვით აგებული საკონტროლო რუკების ზედა და ქვედა გამაფრთხილებელი საზღვრების შესაბამის ხარისხობრივ მდგომარეობას.

მეოთხე თავში მოცუმულია წყლის გაწმენდ სადგურებში ტექნოლოგიური პროცესის მართვის პრინციპებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის სრულყოფის მიზნით. ჩამოყალიბებულია ოპერატორული მართვის პრინციპები წყლის გამწმენდი სადგურის ტექნოლოგიური პროცესის ეფექტური მართვის მიზნით. ამ შემთხვევაში წყლის გამწმენდი სადგურის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების ორგანიზაცია ემყარება წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის განხილვას სიმბიოზში სოციალურ-ტექნიკურ მახასიათებლებთან ერთად: მიზანმიმდართულობა, სტრუქტურულობა, თვითორგანიზება, ელექტრების ურთიერთკავშირი, მთლიანობის და განკურძოების ურთიერთკავშირი, და სხვ.

პროცესგანმაპირობებელი ფაქტორების მიხედვით შედგენილი საკონტროლო რუკები, ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის პროცესში დამყარებული ნებისმიერი სიტუაციური მდგომარეობის შესაბამისად, საშუალებას იძლევა განისაზღვროს წყლის გაწმენდის სათანადო ხარისხი როგორც დიფერენციულად ცალკეული პარამეტრების მიხედვით, ასევე ინტეგრირებულად საანალიზო პარამეტრთა ერთობლიობის მიხედვით.

ნაშრომის საერთო დახასიათებაში განხილულია:

პრობლემის აქტუალობა. წყალმომარაგების სისტემებში მომხმარებელთა შეუფერხებელი წყლით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი დამოკიდებულია წყლის გამწმენდი სადგურების ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურ რეგულირებასა და ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებაზე.

ბუნებრივი წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის განმაპირობებელი პარამეტრები (გამჭვირვალობა, სიმღვრივე, ფერი, სუნი, გემო, PH, ამიაკი, ნარჩენი ქლორი, ქლორიდები, ჟანგვადობა, საერთო სიხისტე, ნარჩენი ალუმინი, C₀ ინდექსი, ბაქტერიების საერთო რაოდენობა და სხვ.) წლის სეზონების მიხედვით განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს, ამიტომ აუცილებელია გაწმენდის ტექნოლოგიურ პროცესში ამ პარამეტრების ოპერატორული კონტროლი და რეგულირება სასმელი წყლის სტანდარტის მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად.

ბუნებრივი წყლის ხარისხის მაჩვენებელი პარამეტრების მძაფრი ცვალებადობა სეზონურად (განსაკუთრებით, გაზაფხულის პერიოდში) მკვეთრად აუარესებს გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ნორმალურ მსვლელობას და მოითხოვს ნაგებობათა კომპლექსის იძულებით (ფორსირებულ) რეჟიმებზე გადაყვანას და მუშაობის

რეგლამენტის ცვლილებას. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, იწვევს წყლის მიწოდების შემცირებას და მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის ხარისხის გაუარესებას.

საქართველოში (ანალოგიურად უცხოეთშიც) ძირითადად მიღებულია წყლის გაწმენდის ტრადიციული ტექნოლოგიური სქემები და ნაგებობათა კომპლექსები, რომელთა დანიშნულებაა ბუნებრივ წყლებში არსებული დაბინძურების გაუვნებლობა და სასმელი წყლის მიყვანა სტანდარტით გათვალისწინებულ კონდიციამდე.

წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მსგლელობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები (როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი), რაც გარკვეული არასტაციონარულობით ხასიათდება. რეალურ პირობებში ოპერატიულ-სადის-პეტჩერო პერსონალი წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მდგომარეობათა შეფასებასა და ოპერატიულ მართვაში ძირითადად ემყარება სუბიექტურ-ინტუიციურ მოსაზრებებს და გადაწყვეტილებებს, რაც შეიძლება ნეგატიურად აისახოს წყლის ხარისხის სტაბილურობაზე.

აღნიშნულ კონტექსტში საკვლევი პრობლემის აქტუალობა განპირობებულია გამწმენდ სადგურებში წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ანალიზისა და შეფასების ერთიანი სისტემური მიდგომით, რომელიც აღნიშნულ პროცესს განიხილავს კომპლექსურად. ამ შემთხვევაში აღამიან-ოპერატორს ეძღვავა უფექტური ინსტრუმენტული საშუალება, ერთდროულად გაანალიზოს და შეაფასოს წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობა ნებისმიერ („არამკვეთრ“) სიტუაციაში პროცეს-განმაპირობებელი ფაქტორებისა და გაწმენდის სქემაში ჩართული ნაგებობათა კომპლექსის ფუნქციონირების რეჟიმების (და მუშაობის რეგლამენტის) გათვალისწინებით.

მეცნიერული სიახლე: შემუშავებულია წყალმომარაგების სისტემის გამწმენდ სადგურებში წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის რეგულირებისა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის სისტემური მიდგომა „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ გამოყენებით, რომელიც ოპერატორ-დისპეტჩერს აძლევს დამყარებულ სიტუაციურ მდგომარეობათა შესაბამისად პროცესგანმაპირობებელი ფაქტორების ანალიზისა და გაწმენდის სქემაში ჩართული ნაგებობათა კომპლექსის ფუნქციონირების უფექტური რეჟიმების დადგენისა და ოპერატიული მართვის გადაწყვეტილებათა მიღების რეალურ ინსტრუმენტულ საშუალებას.

პრაქტიკული ღირებულება და შედეგების რეალიზაცია. შემუშავებულია წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების რეგულირების და ხარისხის მართვის სისტემური მიდგომა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის მათემატიკური აღწერა “არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის” პრინციპის გამოყენებით:

- საკონტროლო-სარეგულაციო რუკების აგების მეთოდიკა;
- წყლის ხარისხის პროცესის დიფერენციული და ინტეგრირებული შეფასება-პროგნოზირების დესკრიფიციული ტიპის მოდელები ქ. თბილისის წყალსადენის ღრმაღლელისა და სამგორის გამწმენდი სადგურების მაგალითზე;
- 1 ლ რეაგენტის გახარჯვის სიხშირის (წთ) ხარისხობრივი შეფასების დესკრიფიციული მოდელის შედგენა, რომელიც ნედლი წყლის (გამჭვირვალობის) ხარისხობრივ ცვალებადობასთან დამოკიდებულებით განსაზღვრავს რეაგენტის დოზირების სათანადო სიხშირის მიზანშეწონილობას (ქ. თბილისის წყალსადენის ღრმაღლელის გამწმენდი სადგურის მაგალითზე).

Summary

According to structure and volume the dissertation work consists of Introduction, 4 Chapters, Conclusion and List of Literature with 124 denominations, also 25 Figures and 8 Tables.

Introduction presents the general characterization of the work: the urgency of the problem, objectives of the work and research problem, research objects, research methods, scientific innovation, practical value and realization of results, scientific conclusions and the proof of recommendations validity, approbation of the work, work structure and volume.

Chapter I considers contemporary state of the problem and research tasks.

The reliability of the process of water supply provision to the consumers greatly depends on reliable and rhythmic operation of water supply system purification plants. In this respect the work presents literary review, critical analysis and contemporary state of the problem. Contemporary methods and technologies (including modern membrane technology) of water purification are characterized which give exhaustive possibilities of practical implementation of these methods at purification stations. It should be mentioned that the existing works do not consider systems problems of operative management, monitoring, description and modeling of process-conditioning factors of water purification technological processes which are the very subject of the given work.

In order to solve the research problem the systems approach is proposed which considers the technological process at water purification stations in complex on the basis of analysis and modeling of process-conditioning factors with the purpose to state effective regimes (operation regulation) of structure complexes included in water purification scheme.

Chapter II gives the principles of operative-dispatch management of water purification technological process: the possibility of operative-dispatch management of water purification technological process using the principle of “implicit logic regulator”; principles of statistic management of characteristic parameters of water purification technological process; plotting of control and regulating maps on example of the Samgori purification station of Tbilisi.

Chapter III considers the construction of descriptive-type models of regulation and quality control of water purification technological process specific parameters on example of the Samgori and the Ghrmaghele purification stations of Tbilisi.

According to process-conditioning parameters, with the aim to work out operative-dispatch management strategy of water purification technologic process the possibility of stating the areas of duty-cycle ratings and its variation (upper and lower precautionary and regulation limits) is proposed using preliminarily composed discrete models. The decision making rule in such case is confined to two items: 1. The general qualitative evaluation of water purification can be considered “satisfactory”, “good” or “excellent” only in the case if each evaluation of simultaneously acting water purification specific parameter is at least $P \geq 0.37$ according to the received models. 2. The general qualitative evaluation of water purification will be considered “unsatisfactory”, if and only if, $P < 0.37$. In this case technological process of purification happens unsatisfactorily (even in the case of one “detected” parameter) which means that specific parameter is out of precautionary limits of control maps.

In order to bring the process to stable condition the correction of “detected” parameters within determined ratings is necessary. Here P is the so-called “objective

achievement” function which reflects quality state corresponding to upper and lower precautionary limits on control maps plotted according to the process-conditioning parameters.

Chapter IV discusses the development of the principles of technological process control at water purification stations (in social-technical, as well as, in organizational systems) and respective recommendations with the aim to polish-up operative-dispatch control. The operative control principles are formulated for effective control of water purification station technological process. In this case the organization of water purification station unified system operation is based on consideration of water purification technological process in symbiosis with social-technical characteristics: purposefulness, structurality, self-organization, interrelation of elements, interaction of integrity and alienation, etc.

The control maps plotted according to process-conditioning factors, in respect to arbitrary situational condition formed in operative-dispatch control process, enable to determine adequate water purification quality differentially for each parameter, as well as, integrally according the integrity of analyzed parameters.

The general characterization of the work considers:

Urgency of the problem. Uninterrupted water supply of clientele greatly depends on effective regulation and normal functioning of water purification stations technological process.

The technological parameters (transparency, turbidity, color, smell, test, PH, ammonia, residual chlorine, chlorides, general hardness, residual aluminum, C₀ index, general quantity of bacteria, etc.) conditioning water purification technological process according to raw water content undergo seasonal changes. Therefore, operative control of these parameters and regulation of potable water standards are necessary in technological process of water purification.

The acute seasonal variation (particularly, in spring) of natural water quality parameters deteriorates the normal procedure of purification technological process and demands the transition of construction complexes to induced (forced) regimes and the change of operation schedule. This condition, in its part, causes the deterioration of water supply and water quality.

In Georgia (as well as abroad) the traditional water purification technological schemes and station complexes are generally adopted their function being sanitation of pollution existing in natural waters and bringing of potable water condition to the accepted standards.

The process of water purification technological process is affected upon with different factors (external, as well as, internal) characterized with certain irregularity. In real conditions, in evaluation and operative control of water purification technological process the operative-dispatch personnel is mainly guided with subjective-intuitive considerations and solutions which may be negatively reflected on water quality stability.

In the mentioned context the urgency of the researched problem is conditioned with unified systemic approach to analysis and evaluation of water purification technological process at purification stations (in social-technical, as well as, in organizational system) which considers the mentioned process in complex. In this case human controller has an effective instrumental possibility of simultaneous analysis and evaluation of water purification technologic process continuation in arbitrary (“implicit”) situation with consideration of process-conditioning factors and operation regimes (and operation schedule) of building complex included in purification scheme.

Scientific innovation. Systems approach to water purification technological process regulation and normal operation (in social-economic, as well as, organization systems) of water supply system purification stations is developed which gives the operator-dispatcher the real instrumental ability to analyze process-conditioning factors according to the set situational conditions, to state effective regimes of construction complex operation included in purification scheme and to make operative control decisions.

Practical value and realization of results. The systems approach of regulation and quality control of specific parameters of water purification technological process is worked out which allowed mathematical description of operative-dispatch management of water purification technological process with the use of the principle of ‘implicit logic regulator’:

- Method of plotting of control and regulation maps;
- Descriptive-type models of differential and integrated evaluation-prognosis of water quality process on example of Ghurmaghele and Samgori purification stations of Tbilisi water conduit;
- Construction of descriptive model of quality evaluation of 1 l reagent consumption frequency (min) which depending on raw water (transparency) quality variation determines the expediency of corresponding frequency of reagent dosing (on example of Ghurmaghele purification station of Tbilisi water conduit).

შინაარსი

| | |
|--|--------|
| ტიტულის გვერდი | i |
| ხელმოწერების გვერდი | ii |
| საავტორო უფლების გვერდი | iii |
| რეზიუმე (ორ ენაზე) | iv-vii |
| შინაარსი | x |
| ცხრილების ნუსხა | xii |
| ნახაზების ნუსხა | xiii |
| ძირითადი ტექსტი | 15 |
| შესავალი. ნაშრომის საერთო დახასიათება | 15 |
| თავი 1. პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის ამოცანები | 19 |
| 1.1. ბუნებრივი წყლის გაწმენდის არსებული მეთოდების მიმოხილვა | 19 |
| 1.2. პრობლემის არსი და კვლევის ამოცანა | 22 |
| თავი 2. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის პრინციპები | 24 |
| 2.1. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის შესაძლებლობა “არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის” პრინციპის გამოყენებით | 24 |
| 2.2. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სტატისტიკური მართვის პრინციპები | 29 |
| 2.3. საკონტროლო-სარეგულაციო რუკების აგება ქ. თბილისის წყალსადენის სამგორის გამწმენდი საღვურის მაგალითზე | 31 |
| თავი 3. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარა-მეტრების კონტროლის, რეგულირების და ხარისხის მართვის სტატისტიკური მოდელების შედგენა ქ. თბილისის წყალსადენის სამგორის და ღრმალელის გამწმენდი საღვურების მაგალითზე | 46 |
| 3.1. მართვის სტატისტიკური მოდელების დანიშნულება წყლის გამწმენდი ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სუბიექტურ-კრიტერიულ შეფასებაში | 46 |

| | |
|---|-----------|
| 3.2. სუბიექტურ-ხარისხობრივ კრიტერიულ შეფასებათა ხარისხის მართვის სტატისტიკური მოდელების შედგენის მეთოდოლოგია | 47 |
| 3.3. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული მართვის დესკრიფიული (აღწერითი) მოდელების შედგენა ქ. თბილისის წყალსადენის სამგორის გამწმენდი სადგურისათვის | 50 |
| 3.4. ქ. თბილის წყალსადენის სამგორის გამწმენდი ნაგებობების ოპერატიული მართვის გადაწყვეტილებათა მიღების სტრატეგიების შერჩევა წყლის გაწმენდის პროცესის მართვის მიზნით | 56 |
| 3.5. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მართვის დესკრიფიული (აღწერითი) მოდელების შედგენა ქ. თბილისის ღრმაღლის გამწმენდი სადგურისათვის | 60 |
| თავი 4. გამწმენდი სადგურის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციულ-სისტემური გამოკვლევა | 68 |
| 4.1. ორგანიზაციულ-სისტემური გამოკვლევის ზოგადი მეთოდოლოგიური ასპექტები | 68 |
| 4.2. წყლის გამწმენდის ტექნოლოგიური პროცესის გამოკვლევის სისტემურ- მეთოდური საფუძვლები | 77 |
| 4.3. წყლის გამწმენდი სადგურის ორგანიზაცია, როგორც სისტემა | 86 |
| 4.4. წყლის გამწმენდი სადგურის ორგანიზაციის ფუნქციონირების სისტემური ანალიზი | 92 |
| 4.5. წყლის გამწმენდი სადგურის ორგანიზაცია, როგორც სოციალურ-ტექნიკური სისტემა | 96 |
| 4.6. წყლის გამწმენდი სადგურის ორგანიზაცია, როგორც მართვის ფუნქციის სისტემა | 101 |
| 4.7. ქ. თბილისის წყალსადენის ღრმაღლის გამწმენდ სადგურებში რეაგენტის დოზის მიცემის (გახარჯვის) სიხშირის განსაზღვრა ნედლი წყლის ხარისხის (გამჭვირვალობის) შესაბამისად წყლის გამწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სამედოობის ამაღლების მიზნით | 105 |
| დასკვნა – თეორიული და პრაქტიკული შედეგები | 109 |
| ლიტერატურა | 110 |

ცხრილების ნუსხა

| | |
|--|----|
| ცხრილი 1. ქ. თბილისის სამგორის გამწმენდი სადგურის რეტროსპექტული საშუალო სტატისტიკური მონაცემების ამონაკრებთა საწყისი რეალიზაციები წყლის გაწმენდის მაჩვენებლების მიხედვით | 36 |
| ცხრილი 2. სამგორის გამწმენდი სადგურის წყლის გაწმენდის მაჩვენებლებისათვის გამაფრთხილებელი და სარეგულაციო საზღვრების გაანგარიშების შედეგები | 39 |
| ცხრილი 3. სამგორის წყალსადენის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრებისათვის საკონტროლო რუქებით დადგენილი საზღვრითი დონეები დიდი ბრიტანეთის სტანდარტის შესაბამისად | 40 |
| ცხრილი 4. “აზრობრივი შინაარსის” გამოშატველი მოდელები შედგენილი სამგორის წყალსადენის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრებისათვის | 54 |
| ცხრილი 5. “ლოგიკური კავშირების” განმსაზღვრელი მოდელები შედგენილი სამგორის წყალსადენის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრებისათვის | 55 |
| ცხრილი 6. სამგორის გამწმენდი სადგურის წყლის გაწმენდის მახასიათებელი პარამეტრებისათვის გამაფრთხილებელი საზღვრების შესაბამისად, ოპერატორი მართვის ხარისხობრივი შეფასებისათვის აგებული სადიაგნოსტიკო-საპროგნოსტიკო მოდელები | 59 |
| ცხრილი 7. ქ. თბილისის ღრმადელის გამწმენდი სადგურისათვის შედგენილი სასმელი წყლის ხარისხის შეფასების დესკრიფიული ტიპის მოდელები | 63 |
| ცხრილი 8. ქ. თბილისის წყალსადენის ღრმადელის გამწმენდი სადგურისათვის შედგენილი დესკრიფიული მოდელების მიხედვით ბუნებრივი და სასმელი წყლის სეზონური ცვალებადობის სუბიექტურ-კრიტერიული შეფასების შედეგები მახასიათებელი პარამეტრების მიხედვით | 65 |

ნახაზების ნუსხა

| | |
|--|-------|
| ნახ. 1. არამკაფიო ლოგიკური რეგულატორი | 27 |
| ნახ. 2. „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენებით მართვის გადაწყვეტილებათა მიღების ბლოკ-სქემა | 28 |
| ნახ. 3. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სტატისტიკური მართვის პრინციპები | 29 |
| ნახ. 4. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული მართვის საერთო პრინციპული სქემა | 30 |
| ნახ. 5 ა, ბ, გ; ნახ. 6 ა, ბ; ნახ. 7 ა, ბ, გ; ნახ. 8 ა, ბ. სამგორის გამწმენდი სადგურის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული კონტროლისა და მართვისთვის შედეგნილი საკონტროლო რეკები თვალსაჩინო დიაგრამების სახით | 41-45 |
| ნახ. 9. ქ. თბილისის ღრმაღლელის გამწმენდი სადგურის ბუნებრივი და სასმელი წყლის ხარისხის სეზონური ცვალებადობის სუბიექტურ- კრიტერიული შეფასება მახასიათებელი პარამეტრების მიხედვით | 61 |
| ნახ. 10. ორგანიზაციის სისტემურობის მახასიათებელი ბლოკ-სქემა | 69 |
| ნახ. 11. სისტემური გამოკვლევის მეთოდური საფუძვლები | 77 |
| ნახ. 12. გამოკვლევის სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულება სისტემური წესებისა და პროცედურების შესაბამისად | 80 |
| ნახ. 13. გამოკვლევის კონცეფციის შემუშავება | 82 |
| ნახ. 14. გამოკვლევის სამუშაო ჰიპოთეზა | 83 |
| ნახ. 15. გამოკვლევის სამუშაო ინსტრუმენტები | 84 |
| ნახ. 16. სისტემად ორგანიზების პროცესი | 88 |
| ნახ. 17. ორგანიზაციული ურთიერთობების დონეები | 90 |
| ნახ. 18. ორგანიზაციული ურთიერთობების მოწესრიგების ობიექტები | 91 |
| ნახ. 19. შესაბამისობის პრინციპის ასახვა ორგანიზაციული საქმიანობის ფორმასა და მის ტექნიკურ ბაზისს შორის | 97 |
| ნახ. 20. ორგანიზაციის რთული ბუნების სქემური აღწერა | 99 |

| | |
|--|-----|
| ნახ. 21. ურთიერთქმედების ერთიანი კომპლექსი | 102 |
| ნახ. 22. მართვის ფუნქციების სტრუქტურა | 102 |
| ნახ. 23. მართვის ფუნქციის დიფერენციაცია ორგანიზაციული ქვეგანყოფილებების სახით..... | 103 |
| ნახ. 24. მართვის ფუნქციების გამოყენების უნივერსალური ზასიათი | 104 |
| ნახ. 25. 1 ლიტრი რეაგენტის ერთ წუთში გახარჯვის სიხშირის ცვალებადობის გრაფიკი ნედლი წყლის (გამჭვირვალეობის) ზარისხთან დამოკიდებულებები | 108 |

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. წყალმომარაგების სისტემებში მომხმარებელთა წყლით შეუფერხებელი უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წყლის გამწმენდი სადგურების ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურ რეასულირებასა და ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებაზე.

ბუნებრივი წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის განმაპირობებელი პარამეტრები (გამჭვირვალობა, სიმღვრივე, ფერი, სუნი, გემო, აქტიური რეაქცია PH, ამიაკი, ნარჩენი ქლორი, ქლორიდები, ჟანგვადობა, საერთო სიხისტე, ნარჩენი ალუმინი, C_0 ინდექსი, ბაქტერიების საერთო რაოდენობა და სხვ.) წლის სეზონების მიხედვით განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს, ამიტომ აუცილებელია გაწმენდის ტექნოლოგიურ პროცესში ამ პარამეტრების ოპერატიული კონტროლი და რეგულირება სასმელი წყლის სტანდარტის მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად.

ბუნებრივი წყლის ხარისხის მაჩვენებელი პარამეტრების მძაფრი ცვალებადობა სეზონურად (განსაკუთრებით, გაზაფხულის პერიოდში) მკვეთრად აუარესებს გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ნორმალურ მსვლელობას და მოითხოვს ნაგებობათა კომპლექსის იძულებით (ფორსირებულ) რეჟიმებზე გადაყვანას და მუშაობის რეგლამენტის ცვლილებას. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, იწვევს წყლის მიწოდების შემცირებას და მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის ხარისხის გაუარესებას.

საქართველოში (ანალოგიურად უცხოეთშიც) ძირითადად მიღებულია წყლის გაწმენდის ტრადიციული ტექნოლოგიური სქემები და ნაგებობათა კომპლექსები, რომელთა დანიშნულებაა ბუნებრივ წყლებში არსებული დაბინძურების გაუვნებლება და სასმელი წყლის მიყვანა სტანდარტით გათვალისწინებულ კონდიციამდე.

წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები (როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი), რაც გარკვეული არასტაციონარულობით ხასიათდება. აღნიშნულის გამო წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის საკვლევი ამოცანა შეიძლება მიეკუთვნოს ძნელად ფორმალიზებად მათემატიკურ ამოცანათა კლასს, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია ხარისხის მართვის სტატისტიკური თეორიის მეთოდების, სისტემური მიდგომის, მოდელირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის გამოყენების

გარეშე. რეალურ პირობებში ოპერატიულ-სადისპეტჩერო პერსონალი წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მდგომარეობათა შეფასებასა და ოპერატიულ მართვაში ძირითადად ემყარება სუბიექტურ-ინტუიციურ მოსაზრებებს და გადაწყვეტილებებს, რაც შეიძლება ნეგატიურად აისახოს წყლის ხარისხის სტაბილურობაზე.

აღნიშნულ კონტექსტში საკვლევი პრობლემის აქტუალობა განპირობებულია გამწმენდ სადგურებში წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ანალიზისა და შეფასების ერთიანი სისტემური მიდგომით, რომელიც აღნიშნულ პროცესს განიხილავს კომპლექსურად. ამ შემთხვევაში ადამიან-ოპერატორს ეძლევა ეფექტური ინსტრუმენტული საშუალება, ერთდროულად გააანალიზოს და შეფასოს წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობა ნებისმიერ („არამკვეთრ“) სიტუაციაში პროცესგანმაპირობებელი ფაქტორებისა და გაწმენდის სქემაში ჩართული ნაგებობათა კომპლექსის ფუნქციონირების რეჟიმების (და მუშაობის რეგლამენტის) გათვალისწინებით.

სამუშაოს მიზანი და კვლევის ამოცანაა წყალმომარაგების სისტემებში წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის რეგულირებისა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის სისტემური მიდგომის შემუშავება ხარისხის მართვის სტატისტიკური თეორიის მეთოდების, დესკრიფციული მოდელირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის გამოყენებით. მოცემული მიზნის მისაღწევად გადაწყვეტილ იქნა შემდეგი ამოცანები:

- პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის ამოცანა;
- წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის პრინციპების შემუშავება;
- წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების რეგულირებისა და ხარისხის მართვის დესკრიფციული ტიპის მოდელების შედგენა ქ. თბილისის სამგორისა და ღრმაღლელის გამწმენდი სადგურების მაგალითზე;
- გამწმენდი სადგურის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციულ-სისტემური გამოკვლევა.

კვლევის ობიექტები. საკვლევ ბაზად გამოყენებულ იქნა ქ. თბილისის წყალ-მომარაგების სისიტემის ღრმაღელისა და სამგორის გამწმენდი სადგურები, რომელთა ფუნქციონირების მახასიათებელი საინფორმაციო მასალის ბაზაზე აპრობირებულ იქნა სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და მოდელირების შედეგები.

კვლევის მეთოდები ემყარება ხარისხის მართვის სტატისტიკური თეორიის გამოყენების მეთოდებს, არამკაფიო სიმრავლეთა და შესაძლებლობების თეორიის მათემატიკურ აპარატს, დესკრიფიული მოდელირების და გადაწყვეტილებათა მიღების თეორიას.

მეცნიერული სიახლე. შემუშავებულია წყალმომარაგების სისტემის გამწმენდ სადგურებში წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის რეგულირებისა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის სისტემური მიდგომა „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ გამოყენებით, რომელიც ოპერატორ-დისპეტჩერს დამყარებულ სიტუაციურ მდგომარეობათა შესაბამისად პროცესგანმაპირობებელი ფაქტორების ანალიზისა და გაწმენდის სქემაში ჩართული ნაგებობათა კომპლექსის ფუნქციონირების ეფექტური რეჟიმების დადგენისა და ოპერატორული მართვის გადაწყვეტილებათა მიღების რეალურ ინსტრუმენტულ საშუალებას აძლევს.

პრაქტიკული ღირებულება და შედეგების რეალიზაცია. შემუშავებულია წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების რეგულირების და ხარისხის მართვის სისტემური მიდგომა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის პროცესის მათემატიკური აღწერა “არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის” პრინციპის გამოყენებით:

- საკონტროლო-სარეგულაციო რუკების აგების მეთოდიკა;
- წყლის ხარისხის პროცესის დიფერენციული და ინტეგრირებული შეფასება-პროგნოზირების დესკრიფიული ტიპის მოდელები ქ. თბილისის წყალსადენის ღრმაღელისა და სამგორის გამწმენდი სადგურების მაგალითზე;
- 1 ღ რეაგენტის ერთ წუთში გახარჯვის სიხშირის ხარისხობრივი შეფასების დესკრიფიული (აღწერითი) მოდელის შედგენა, რომელიც ნედლი წყლის (გამჭვირვალობის) ხარისხობრივ ცვალებადობასთან

დამოკიდებულებით განსაზღვრავს რეაგენტის დოზირების სათანადო სიხშირის მიზანშეწონილობას (ქ. თბილისის წყალსადენის ღრმალელის გამწმენდი სადგურის მაგალითზე).

მეცნიერული დებულებების, დასკვნების და რეკომენდაციების სარწმუნოობის დასაბუთება. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ყველა დებულება და რეკომენდაცია დასაბუთებულია წყლის გამწმენდი სადგურების ხარისხის მახასიათებელი პარამეტრების დესკრიპტოული ტიპის მოდელების აგებითა და ადეკვატურობაზე შემოწმებით.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის როგორც ცალკეული, ისე ძირითადი შედეგები მოხსენებულ იქნა რესპუბლიკურ ღია სამეცნიერო კონფერენციაზე “შშენებლობა და ოცდამეერთე საუკუნე”, სექცია 3 (24-25 მაისი, 2005 წ.) და სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ ორ სემინარზე.

პუბლიკაციები. სადისერტაციო სამუშაოს ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 8 სამეცნიერო ნაშრომში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნის – თეორიული და პრაქტიკული შედეგების და გამოყენებული ლიტერატურის 124 დასახელების ნუსხისაგან. ტექსტის საერთო მოცულობაა 120 გვერდი, მათ შორის, 25 ნახატი, 8 ცხრილი.

თავი 1. პრობლემის თანამედროვე მდგრადარეობა და კვლევის ამოცანები

1.1. ბუნებრივი წყლის გაწმენდის არსებული მეთოდების მიმოხილვა

მომხმარებელთა ნორმალური (შეუფერხებელი) წყლით უზრუნველყოფა წყალ-მომარაგების სისტემის ძირითადი ფუნქციაა [1, 2]. ამ ფუნქციის (მიზნის) შესრულებას ემსახურება წყალმომარაგების სისტემაში გაერთიანებულ ელემენტ-ნაგებობათა კომპლექსი (წყალმიმღები ნაგებობები, გამწმენდი სადგურები, წყალსადენები, სატუმბი სადგურები, რეზერვუარები, გამანაწილებელი ქსელი), რომლებიც ემსახურებიან წყლის მიღების, გაწმენდის, ტრანსპორტრებისა და განაწილების საქმეს.

წყალმომარაგების სისტემაში დამყარებულ ტექნოლოგიური პროცესების ერთიან ზედამხედველობასა და მართვას ემსახურება ოპერატორ-სადისპეტჩერო პერსონალი. ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის პროცესში წყალმომარაგების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წყლით უზრუნველყოფის დამყარებული პროცესის შესაბამისად (დროის ნებისმიერ მომენტში) ეფექტურად იფუნქციონირებს ერთიანი სისტემის შემადგენელი ყველა ელემენტ-ნაგებობა.

აღნიშნულ კონტექსტში გამწმენდი ნაგებობების გამართულ და რიტმულ მუშაობაზე გარკვეულად დამოკიდებულია მომხმარებელთა წყლის უზრუნველყოფის პროცესის საიმედოობა.

როგორც ცნობილია, სამამულო მეცნიერების მიერ წყალმომარაგების სისტემების ფუნქციონირების ხარისხის შეფასების, მოდელირების, სისტემის საიმედოობის კვლევის, წყლის რესურსების გამოყენების და ა.შ. სისტემური საკითხებისადმი მიძღვნილია არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და კვლევა [3 ÷ 13], მაგრამ ეს ნაშრომები კონკრეტულად არ განეკუთვნება წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობების კვლევის საკითხს. ამ ნაშრომებში წარმოდგენილი და განვითარებულია წყალმომარაგების სისტემების ფუნქციონირების ხარისხის და შეფასების სისტემური მიღომა, რომელიც საშუალებას იძლევა შესწავლილ და დადგენილ იქნას მისი ფუნქციონირების ხარისხი და საექსპლუატაციო საიმედოობა. აქ სისტემის ფუნქცინირების ეფექტურობა მიიღწევა ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის პროცესში, მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის დამყარებულ პროცესის სიტუაციურ მდგომარეობათა დიაგ-

ნოსტიკური შესწავლის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ნაშრომთა [3÷13] კრიტიკულმა განხილვამ შექმნა წყლამომარაგების სისტემის გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირების ხარისხის შეფასების სისტემური საფუძველი [124] ნაშრომში განხილულია წყალმომარაგების საინჟინრო სისტემის ელემენტების, მათ შორის გამწმენდი სადგურების მიმდევრობითი, პარალელური და შერეული შეერთების კომბინაციების დროს შედგენილი შესაძლო ვარიანტულ-სტრუქტურული სქემების სამედოობის შეფასების მეთოდი.

აღნიშნულ კონტექსტში საყურადღებოა აგრეთვე მიმოხილვა წყალმომარაგების გამწმენდი სადგურების მართვის ავტომატიზებული სისტემების მიხედვით [14÷37]. ამ ნაშრომებში ბოლო ათწლეულების პერიოდის შესაბამისად მოყვანილია მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის შედეგები წყალმომარაგების გამწმენდ სადგურებში. აღსანიშნავია, რომ ეს შრომები ძირითადად ასახავენ გამწმენდი სადგურების ელემენტ-ნაგებობების და მოწყობილობების ავტომატიზაციის საკითხებს და ნაკლებად შეეხებიან გამწმენდი სადგურის ფუნქციონირების ხარისხის შეფასებას. ამ შრომებში საერთოდ არაა განხილული საკითხები სადისერტაციო ნაშრომთ გათვალისწინებული კვლევების შესახებ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამამულო მეცნიერების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წყლის გაწმენდის თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები [38÷46]. ამ ნაშრომებში წარმოდგენილი მიღწევების დანერგვა სამამულო წყალმომარაგების სისტემებში მნიშვნელოვნად აამაღლებდა წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სამედოობას.

საყურადღებოა აგრეთვე განვიხილოთ თანამედროვე მდგომარეობა წყლის გაწმენდის მეთოდების მიხედვით:

ნაშრომში [47] წარმოდგენილია ბუნებრივი და ჩამდინარი წყლების გაწმენდის მეთოდების ანალიზი. ამ მეთოდების მიხედვით შესაძლებელია „უნარჩენო ტექნოლოგიების“ შემუშავება;

ნაშრომში [48], რომელიც შესრულებულია სამ ჭომად, გაანალიზებულია ბუნებრივი წყლის შემცველობა მინარევების მიხედვით, განხილულია ბუნებრივი წყლის გაწმენდის თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდების აღწერა, ექსპერიმენტული კვლევის ანალიზები, წყლის გამწმენდი ნაგებობების ანგარიშის მეთოდიკა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ამ ნაშრომებში განხილული არ არის წყლის გამწმენდ ნაგებობებში დამყარებული გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის შეფასებისა და ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის საკითხები.

ნაშრომში [49] განხილულია წყალმომარაგების სისტემების ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის ზოგადი საკითხები.

ნაშრომში [50] დამუშავებულია წყალმომარაგების ზედაპირული წყაროების ინგრედიენტული მონიტორინგის მრავალმიზნობრივი საინფორმციო სისტემის აგების ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძვლები. ეს სისტემა წყლის ობიექტების დამაბინძურებელი კომპონენტ-ფაქტორების მავნე ზეგავლენის ხარისხის შეფასებისა და პროგნოზირების სისტემატიზაციისადმი პრინციპულ მეთოდოლოგიურ მიღებაზეა აგებული. აღსანიშნავია, რომ ამ სისტემის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი წყალმომარაგების ზედაპირული წყაროს დაბინძურების ხარისხის შეფასების მიზნით, საერთაშორისო კომუნიკაციური ქსელის (ინტერნეტის) გამოყენებით. ამ ნაშრომში აპრობირებული დესკრიფიციული მოდელების შედგენის დადებითი გამოცდილება და მეთოდოლოგია ჩვენ მიერ გათვალისწინებული იქნება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომში [51, 115] მოყვნილია წყალმომარაგების ზედაპირული წყაროების დაბინძურების ხარისხის შეფასება-პრგნოზირების დესკრიფიციული მოდელები. ამ ნაშრომში საყურადღებოა ზედაპირული წყაროების ქიმიურ-ბიოლოგიური დაბინძურების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგია, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ისახება წყლის გამწმენდი სადგურების ფუნქციონირების ხარისხის შეფასებისა და წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის საიმედოობის ამაღლებაში. აღნიშნული მიღება ჩვენ მიერ განვითარებული იქნება გამწმენდი სადგურის ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვისათვის მოდელური ბაზის შედგენაში.

წყლის გაწმენდის თანამედროვე მეთოდები და უახლესი მემბრანული ტექნოლოგიები ვრცლადაა განხილული შემდეგ შრომებში [51÷113]. ეს ნაშრომები ამომწურავად იძლევიან წყლის გაწმენდის მეთოდების აღწერის და მათი გამოყენების რეკომენდაციებს, რომლებიც მრავალჯერაა აპრობირებული პრაქტიკაში. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სადისერტაციო ნაშრომის მიმართულებით განხილული არ არის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის საკითხები.

ზემოთ მოყვანილი ლიტერატურული წყაროების მიმოხილვით გამოვლინდა, რომ წყალმომარაგების წყლის გამწმენდი სადგურების ტექნოლოგიური პროცესების ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძვლები არ არის დამუშავებული. აგრეთვე გამოვლინდა, რომ წყლით გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორულ-სადისპეტჩერო მართვის არსებული მეთოდები გარკვეულ სრულყოფას და სამეცნიერო დამუშავებას მოითხოვენ [116÷124].

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი იქნება წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორ-სადისპეტჩერო მართვის შესაძლებლობა ბუნებრივი (ნედლი) წყლის ხარისხის მოდელირებისა და შეფასების საფუძველზე, რაც ოპერატორ-სადისპეტჩერო მართვის ეფექტური გადაწყვეტილებების შემუშავების საფუძველი იქნება.

1.2. პრობლემის არსი და კვლევის ამოცანა

წყალმომარაგების სისტემებში წყლის მომხმარებელთა შეუფერხებელი უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წყლის გამწმენდი სადგურების ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურ რეგულირებასა და ნორმალური ფუნქციონირების შენარჩუნებაზე.

ბუნებრივი (ნედლი) წყლის ხარისხის მაჩვენებელი პარამეტრების (გამჭვირვალობა, სიმღვრივე, ფერი, სუნი, გემო, აქტიური რეაქცი pH, Co/ინდექსი, ბაქტერიუმის საერთო როდენობა და სხვ.) მძაფრი ცვალებადობა წლის სეზონების მიზედვით (განსაკუთრებით, გაზაფხულის პერიოდში) მკვეთრად აუარესებს გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ნორმალურ შველელობას და მოითხოვს ნაგებობათა კომპლექსის იძულებით (ფორსირებულ) რეჟიმებზე გადაყვანას. ეს გარემოება ნეგატიურად აისახება მომხმარებელთა წყლით უზრუნველყოფის ნორმალურ პროცესზე.

წყლის ხარისხის სტაბილური შენარჩუნება რთული და ძნელად მისაღწევი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია წყლის ხარისხის მართვის სტატისტიკური თეორიის მეთოდების, დესკრიფიციული მოდელების, გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის გამოყენების გარეშე.

მოცემული მიზნის მისაღწევად სადისერტაციო ნაშრომში გადაწყვეტილ იქნა შემდეგი ამოცანები:

- პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის ამოცანა;
- წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორ-სადისპეტჩერო მართვის პრინციპები;
- წყლის გაწმენდის რეგულირებისა და ხარისხის მართვის დესკრიფიციული ტიპის მოდელების შედგენა ქ. თბილისის წყალსადენის სამგორისა და ღრმაღელის გამწმენდი სადგურების მაგალითზე;

- გამწმენდი სადგურის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციულ-სისტემური გამოკვლევა.

სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის გადაჭრა და რეალიზაცია გააუმჯობესებს წყლის გამწმენდ სადგურებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესს. ამ მიზნით, ზემოთ აღნიშნული პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების შესაბამისად, შემუშავებულ იქნება საკონტროლო-სარეგულაციო რუკები, მართვის დესკრიფციული (აღწერითი) მოდელები, რომელთა აღეკვატურობა შემოწმდება ქ. თბილისის წყალსადენის სამგორის და ლრმაღელის გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირების მაგალითზე.

თავი 2. წყლის გაფენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორულ-სადისპენსირო მართვის პრინციპები

2.1. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორულ- სადისპენსირო მართვის „შესაძლებლობა „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენებით

ბუნებრივი (ნედლი) წყლის დამუშავების ტექნოლოგიური სისტემები სტრუქტურულ-ტექნოლოგიურ სქემაში აერთიანებენ წყლის გამწმენდ ნაგებობათა კომპლექსს, რომლის დანიშნულებაა სხვადასხვა სახის მომხმარებლისათვის (მოსახლეობა, მრეწველობა და სხვ.) სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის მიწოდება მოქმედი სტანდარტების შესაბამისად („სასმელი წყალი“ სანიტარულ-ბატეოროლოგიური ანალიზის მეთოდები). ბუნებრივია, წყლის გაწმენდის ღონისძიებათა მოცულობა და ხასიათი შერჩეული უნდა იქნას მოცემული წყაროს (ჩვენს შემთხვევაში ჟინვალის წყალსაცავიდან გვირაბით ტრანსპორტირებული წყალი) ხარისხობრივი მაჩვენებლების შედარებით იმ მოთხოვნილებებთან, რომლებიც მომხმარებლებისაგან წაეყენება სასმელი წყლის ხარისხს. მომხმარებელთა მოთხოვნილება სასმელი წყლის ხარისხზე განისაზღვრება საქართველოს სასმელი წყლის სტანდარტის შესაბამისად. ბუნებრივი წყლების წყლის ხარისხი განისაზღვრება მასში ორგანული და არაორგანული ხასიათის წარმოშობის ნივთიერებების არსებობით. ამასთანავე, ეს ნივთიერებები წყალში გვხვდებიან სხვადასხვა მდგომარეობაში: შეწონილი ნაწილაკების სახით, კოლოიდურ და გახსნილ მდგომარეობაში. წყლის ხარისხზე მოთხოვნილება, რომელიც ცენტრალიზებული წყალმომარაგებით ეწოდება მომხმარებელს სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის, რეგლამენტირდება სახელმწიფო სტანდარტით. ამ შემთხვევაში შეწონილი ნაწილაკების რაოდენობა გაწმენდილ სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალში არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მგ-ლიტრს. წყლის ხარისხის დადგენა ხდება მისი ფიზიკურ-ქიმიური და ბატეოროლოგიური ანალიზების საშუალებით. ამ მაჩვენებლებს მიეკუთვნება წყლის გამჭვირვალობა (რომელიც განისაზღვრება წყლის სიმღვრივის ანალიზით), ფერიანობა, გემო, სუნი, ტემპერატურა, წყლის სიხისტე, სხვადასხვა ნაერთების შემცველობა (რკინა, აზოტური ნაერთები, სულფატები და ქლორიდები, ფთორი

და სხვ.), გახსნილი ნივთიერებების შემცველობა (მშრალი ნაშთი) წყლის აქტიური რეაქცია PH, წყლის ბაქტეოროლოგიური დაბინძურების მაჩვენებლები და სხვ.

ზოგადად ცნობილია, რომ უმნიშვნელოვანესწილად, საქართველოს მდინარის წყლები ჩვეულებრივ ხასიათდებიან შეწონილი ნაწილაკების მნიშვნელოვანი რაოდენობით (სიმღვრივით), ორგანიკის უქონლობით, მარილების მცირე შემცველობით, შედარებით მცირე სიხისტით, შედარებით მაღალი მჟავიანობითა და ბაქტერიების მნიშვნელოვანი ოდენობით.

მდინარის ჩამონადენის სეზონური ცვალებადობა განაპირობებს წყლის ხარისხის მაჩვენებლების “მძაფრ” ცვლილებებს (რაც განსაკუთრებით ვლინდება გაზაფხულის წყალდიდობის პერიოდებში). ამ პერიოდში განსაკუთრებით რთულდება წყლის დამამუშავებელი სადგურების მუშაობა - ტექნოლოგიური გაწმენდის პროცესები მოითხოვენ გამწმენდი ნაგებობებისაგან მუშაობის მაღალ ინტენსიურ პირობებს და ფორსირებულ რეჟიმებს. ამ პირობებში უარესდება მომხმარებელთა ნორმალური წყლით უზრუნველყოფა, ირლვევა მომხმარებლებსა და წყლის მოწოდების სისტემებს შორის მუშაობის არსებული ნორმალური რიტმი. განსაკუთრებით წყალდიდობის პერიოდებში (გამწმენდი ნაგებობების მუშაობის მძიმე პირობების გამო) ხდება წყლის მიწოდების იძულებით შემცირება და ა.შ. გარდა აღნიშნული გარემოებებისა, წყლის გამწმენდი სადგურების მუშაობის პირობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყლის მოხმარების დამყარებული რეჟიმების ცვალებადობა, რომელიც ხასიათდება ცვალებადობის არასტაციონარული ბუნებით.

აღნიშნულ გარემოებათა არსებობის გამო (წყლის გაწმენდის ტექნოლოგიურ პროცესზე გარეგანი და შინაგანი პროცესგანმაპირობებელი ფაქტორების ცვალებადობის არასტაციონარული ხასიათის გამო) წყლის დამამუშავებელი სადგურების გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესების ამოცანა ზოგადად შეიძლება მიეკუთვნოს მნელად ფორმალიზებად საინჟინრო ამოცანათა კლასს (წმინდა მათემატიკური თვალსაზრისით). ამას ემატება აგრეთვე ოპერატიული პერსონალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების „ბუნდოვანი“ ხასიათი (სუბიექტური ცდომილების დაშვების გამო). თვით ბუნდოვნებით ხასიათდება აგრეთვე დამყარებული რეალური სიტუაციური მდგომარეობაც, რომელიც უნდა დაედოს საფუძლად მიმდინარე გადაწყვეტილებების მიღებას და ა.შ.

საერთო სახით საკვლევ ამოცანაში გადაწყვეტილებათა მიღების მომზადება და მიღება დაიყვანება განზოგადებული პრობლემური სიტუაციური ინფორმაციის (მდგომარეობის სცენარი) ძიებას, გამოკვლევას, კლასიფიკაციასა და სინთეზის ოპერაციებზე. გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა მოცემულ შემთხვევაში პირობითად შეიძლება აღწერილ იქნას შემდეგი ოპერაციების სახით: საკვლევი პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების მიხედვით ეტალონური მაჩვენებლების წინასწარი ჩამოყალიბება; საკვლევი პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების შედარება რიგ ეტალონურ მაჩვენებლებთან და მათ შორის განსხვავების ხარისხობრივი შეფასება მოდელების დახმარებით; მოდელური სახეების კორექცია; მათი გააზრება მიღწეულ შედეგებთან; ეტალონური მონაცემების შერჩევა და მისი შემოწმება გადაწყვეტილებათა მიღებით. ეს ოპერაციები ზოგადად შეიძლება გაერთიანდეს ორ ჯგუფად: მიმდინარე და ეტალონური სახეების მოდელების შედარება და მათი გარდაქმნები.


გადაწყვეტის განსაკუთრებული ლოგიკური სირთულით გამოირჩევიან განუ-საზღვრელობის სფეროში ფორმირებადი საპროგნოზო ამოცანები, რომელთაც შეიძლება მიეკუთვნოს წყლის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესიც.

ცნობილია, რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესები დამყარებულია აგრეთვე ადამიანის მოღვაწეობის მახასიათებელ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მექანიზმზე. მათ შორის გადაწყვეტილების ინფორმაციული მომზადება დაკავშირებულია თვით ინფორმაციული მექანიზმების ფუნქციონირებასა (დისკრეტული ხელსაწყოებიდან ინფორმაციის აღქმა) და ინფორმაციულ-ევრისტიკულ ძიებაზე (პირველადი ინფორმაციის მიღების დროს). თავად ძიებითი პროგრამები და პროცესები კი ემყარებიან აღქმადი ინფორმაციის სტრუქტურულ ანალიზს.

ამრიგად, ოპერატიულ-სადისპეტჩერო საქმიანობის დახასიათება ინჟინრულ-ფსიქოლოგიური კონცეფციების ანალიზის გამოყენებით საშუალებას მოგვცემს შეჯამებულ იქნას ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიღებით და ადამიანის მოღვაწეობის ძირითადი მახასიათებლები აისახოს მართვის ავტომატიზებულ სისტემებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყლის გაწმენდის საკვლევ ტექნოლოგიურ პროცესს ახასიათებს გარკვეული სირთულე, ამიტომ ამის გათვალისწინებით, შემოთავაზებული მიღების თანახმად, მოდელირებას უნდა დაექვემდებაროს არა თვით

შესასწავლი ფიზიკური ტექნოლოგიური პროცესი, როგორც ასეთი, არამედ ოპერატორის ქცევითი და კოგნიტიური თავისებურებები, რომელსაც ის ამჟღავნებს და ავთარებს თვით მართვითი პროცესების მსვლელობის დროს. რა თქმა უნდა, აქ ჩვენ ვგულისხმობთ პროცესების მართვაში მაღალკალიფიციური ოპერატორის ევრისტიკული გამოცდილების მოდელირებას. მართვის „არამკაფიო“ სახის ეს მოდელი შეიძლება წარმატებით რეალიზებულ იქნას „არამკაფიო ლოგიკურ რეგულატორზე“, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია ისეთი რთული ფიზიკური პროცესების დასახასიათებლად, რომლებშიც აღწერის ზუსტი მათემატიკური მოდელების განვითარება შეუძლებელია. „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ სტრუქტურა მოცემულია 1-ლ ნახ-ზე:




ნახ. 1. არამკაფიო ლოგიკური რეგულატორი

აღსანიშნავია, რომ 1-ლ ნახ-ზე მოცემული რეგულატორი მუშაობს უკუკავშირის პრინციპზე ტრადიციული რეგულატორების ანალოგიურად: პირველი ეტაპი ითვალისწინებს გადახრების მიღებას; მეორე ეტაპი - მიღებული გადახრების გარდაქმნას „არამკაფიო“ სახით; მესამე ეტაპი – მნიშვნელობების შეფასებას გადაწყვეტილებათა მიღების მიზნით (წინასწარ დამუშავებული კომპოზიციური დასკვნების წესების გამოყენებით); ბოლო ეტაპზე გამოითვლება დეტერმინირებული გამოსასვლელი მართვითი ზემოქმედება. ზოგადად შევნიშნავთ, რომ „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ გამოყენება ტექნოლოგიური პროცესების მართვაში

მნიშვნელოვნად აფართოებს “ადამიანი-მანქანა” სისტემის მოქმედების სფეროს „არამკაფიო“ სახის ალგორითმების რეალიზაციის საფუძველზე.

ჩვენ მიერ აგებული ოპერატორი მართვის სისტემა იმუშავებს „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპზე, რომლის მიხედვით ჩვენ მიერ რეალიზებული იქნება ქ. თბილისის წყალსადენის ღრმაღელისა და სამგორის გამწმენდი სადგურების მონაცემების მიხედვით შედგენილი „არამკაფო“ სახის დესკრიფიული ტიპის მოდელები. „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენებით მართვის გადაწყვეტილებათა მიღების ბლოკ-სქემა მოცემულია მე-2 ნახ-ზე




ნახ. 2. „არამკაფიო ლოგიკური რეგულატორის“ პრინციპის გამოყენებით მართვის გადაწყვეტილებათა მიღების ბლოკ-სქემა

ამ ბლოკებს შორის უმთავრესად ჩაითვლება გადაწყვეტილებათა მიღების ბლოკი. მდგომარეობის შეფასების ბლოკით ანალიზდება ოპერატორ-დისპეტჩერისაგან შემოსული ინფორმაცია, რომელიც ასახავს ტექნოლოგიურ პროცესში დამყარებული სიტუაციური მდგომარეობის ფორმალურ აღწერას. ამ ბლოკში სემანტიკის შეფასების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ე.წ. ლინგვისტიკური ცვლადები. არსები ექსპერტული ინფორმაციის ასეთი სახე ატარებს განსაკუთრებულ ფორმას, რომლის საფუძველზე წარმოებს „არამკაფიო“ კატეგორიის სემანტიკური იდენტიფიკაცია. ამრიგად, შედეგად წარმოებს მიმდინარე ინფორმაციის ფორმალიზებული აღწერა და მართვითი გადაწყვეტილებების მიღება მართვითი ზემოქმედების გაცემის მიზნით.

2.2. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სტატისტიკური მართვის პრინციპები

წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრებისათვის სტატისტიკური მართვის უზნების ეტაპობრივ-პრინციპული განთავსება მოცემულია მე-3 ნახ-ზე:




ნახ. 3. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სტატისტიკური მართვის პრინციპები

ჩვენს მიერ შედგენილი წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატორი მართვის საერთო პრინციპი მოცემულია მე-4 ნახ-ზე:

ჩვენ მიერ მიგნებულია სტატისტიკური მართვის თეორიის პრინციპების გამოყენების შესაძლებლობა წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების მართვაში, რომელიც პროცესგანმაპირობებელი

ფაქტორებისთვის გულისხმობს მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული საკონტროლო-სარეგულაციო რუკების აგებას დიდი ბრიტანეთის სტანდარტების მიხედვით [114].



**ნახ. 4. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური
პროცესის ოპერატიული მართვის საერთო პრინციპული სქემა**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სტანდარტების გამოყენება საშუალებას იძლევა გადაწყდეს ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის მხოლოდ კონკრეტული საკითხები, კერძოდ: გარკვეული სტატისტიკური საიმედოობით აგებული იქნას განსახილველი ტექნოლოგიური პარამეტრების ცვლილებათა არების შესაბამისი საზღვრები; განისაზღვროს განსახილველ პარამეტრებში მოცემული რეალიზაციების შესაბამისად ექსტრემალურ მნიშვნელობათა შორის სხვაობები; განისაზღვროს ნომინალური რეჟიმი და მისაღწევი ნომინალის დონე; დაიგეგმოს პარამეტრის ცვლილების შესაძლო ტენდენცია.

2.3. საკონტროლო-სარეგულაციო რუკების აგება ქ. თბილისის წყალსადენის სამგორის გამწმენდი სადგურის მაგალითზე

საკონტროლო რუკების აგების მეთოდოლოგია ჯერ კიდევ 1924 წელს იქნა დამტკიცებული ამერიკელი მეცნიერის უ. შუპარტის მიერ. უ. შუპარტის მიხედვით საკონტროლო რუკების დანიშნულება განისაზღვრებოდა შემდეგი შინაარსით [114]:

- 1) განისაზღვროს პროცესის ნომინალის მოთხოვნილების დონე, რომლის მიღწევასაც უნდა ცდილობდეს საწარმოს პერსონალი;
- 2) გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება ამ ნომინალის მისაღწევად;
- 3) უნდა წარმოადგენდეს ნომინალისა და გადახრის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველს.

ამრიგად, უ. შუპარტის მიხედვით [114], საკონტროლო რუკების აგების პრინციპები მოიცავს რიგ შუალედურ გაანგარიშებებს პარამეტრთა მოცემული სტატისტიკური რეალიზაციების შესაბამისად, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიური პროცესების მახასიათებელი პარამეტრების ოპერატორლ კონტროლსა და მართვასთან. ზოგადად, საკონტროლო რუკები აიგება პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების საშუალოსა და გაბნევისათვის (გაბნევა არის განსხვავებადობა პარამეტრის დაკვირვებულ მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის), გამაფრთხილებელი საზღვრებისა და სარეგულაციო საზღვრების მიხედვით. კერძოდ, გამაფრთხილებელი საზღვრები უდრის მოცემული მახასიათებელი პარამეტრის საშუალო სიდიდეს $\pm 1,96 \times \sigma_0 \div \sqrt{n}$, ხოლო სარეგულაციო საზღვრები კი ტოლი იქნება იმავე პარამეტრის საშუალოს $\pm 3,09 \times \sigma_0 \div \sqrt{n}$. აღნიშნულ გამოსახულებებში σ_0 – პარამეტრის საშუალო კვადრატული გადახრაა, n - ამონაკრების რაოდენობა, 1,96 და 3,09 მიუთითებს პარამეტრის აღებას 95 და 99%-იანი სტატისტიკური სარწმუნოებით.

დიდი ბრიტანეთის სტანდარტის შესაბამისად, საკონტროლო რუკები იგება პროცესის მახასიათებელი პარამეტრის საშუალოსა და აგრეთვე, რეალიზაციაში დაკვირვებულ მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობათა სხვაობის სიდიდეთა (გაბნევების) მიხედვით. დიდი ბრიტანეთის სტანდარტში როგორც გამაფრთხილებელი, ასევე სარეგულაციო საზღვრების სიდიდეები აიღება უ. შუპარტის საკონტროლო რუკების საზღვრების ანალოგიურად იმავე სიდიდეებში. ამ შემთხვევაში პარა-

$$\text{მეტრი } \sigma_0 = \frac{\overline{W}}{d_n}, \text{ სადაც } \overline{W} - \text{რეალიზაციის მაქსიმალურსა და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობების (გაძნევების) საშუალო სიდიდე და იგი გამოითვლება ფორმულით: } \quad (1)$$

$$\overline{W} = \frac{\overline{W}_1 + \overline{W}_2 + \dots + \overline{W}_n}{n}; \quad d_0 - \text{მნიშვნელობები აიღება [114]-ის მე-6 ცხრილის შესაბამისად. პრაქტიკაში მოხერხებულია როგორც გამაფრთხილებელი, ასევე სარეგულაციო საზღვრების აგება მოცემული – პარამეტრის საშუალო მნიშვნელობისათვის პარამეტრისა და [114]-ის მე-4 ცხრილის დახმარებით. ამრიგად, გამაფრთხილებელი საზღვრები საშუალოსათვის შეიძლება, გამოითვალის ფორმულებით:}$$

$$\begin{aligned} \text{ზედა გამაფრთხილებელი საზღვარი} &= \overline{X} + \overline{W} \times A_{0,025} \\ \text{ქვედა გამაფრთხილებელი საზღვარი} &= \overline{X} - \overline{W} \times A_{0,025} \end{aligned} \quad (2.1)$$

სარეგულაციო საზღვრები საშუალოსათვის აიგება იმავე [114]-ის მე-4 ცხრილის დახმარებით შემდეგი ფორმულით:

$$\begin{aligned} \text{ზედა სარეგულაციო საზღვარი} &= \overline{X} + \overline{W} \times A_{0,001} \\ \text{ქვედა სარეგულაციო საზღვარი} &= \overline{X} - \overline{W} \times A_{0,001} \end{aligned} \quad (2.2)$$

მოყვანილ ფორმულებში მამრავლები $A'_{0,025}$ და $A'_{0,001}$ აიღება [114]-ს მე-4 ცხრილის შესაბამისად, დაშვებული სტატისტიკური სარწმუნობის შესაბამისად (ამის შესახებ განმარტება მოყვანილია ქვემოთ).

დიდი ბრიტანეთის სტანდარტის შესაბამისად, დამატებით შეიძლება აგებული იქნას აგრეთვე ზედა გამაფრთხილებელი და ზედა სარეგულაციო საზღვრები მოცემულ რეალიზაციაში დაკვირვებულ მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობათა სხვაობის გაძნევის სიდიდეთა მიხედვით. ამისათვის \overline{W} -ს მნიშვნელობები გამოიყენება ისევე, როგორც წინა შემთხვევაში. კერძოდ, ზედა გამაფრთხილებელი საზღვრის აგებისათვის ვსარგებლობთ ფორმულებით:

$$\begin{aligned} \text{ზედა გამაფრთხილებელი საზღვარი} &= \overline{W} \times D_{0,025} \\ \text{ქვედა გამაფრთხილებელი საზღვარი} &= \overline{W} \times D_{0,015} \end{aligned} \quad (2.3)$$

სადაც მამრავლები $D_{0,025}'$ და $D_{0,001}'$ აიღება [114]-ის მე-5 ცხრილის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ რეალიზაციის დაკვირვებულ მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობათა სხვაობის (გაბნევის) სიდიდეებისათვის (W) აგებენ მხოლოდ ზედა გამაფრთხილებელ და ზედა სარეგულაციო საზღვრებს.

საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად განვმარტოთ დიდი ბრიტანეთის სტანდარტის მიხედვით აღებული საზღვრების არსი [114]; გამაფრთხილებელი საზღვრები დგება იმ სტატისტიკური მოსაზრებით, რომ პროცესის მსვლელობაში შემთხვევით აღებული 40 წერტილიდან მხოლოდ ერთი მოხვდება საკონტროლო რუკის აღნიშნული საზღვრების გარეთ. ამ შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოობა განისაზღვრება ალბათობით $1/40=0.025$; ხოლო სარეგულაციო საზღვრები კი დგება იმ სტატისტიკური მოსაზრებით, რომ პროცესის მსვლელობისას შემთხვევით აღებული 1000 წერტილიდან მხოლოდ ერთი მოხვდება აღნიშნული საზღვრების გარეთ, ე.ო. ამ შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოობა შეფასდება სიდიდით $1/1000=0.001$.

ზემოთ მოყვანილი მეთოდიკის მიხედვით, ქ. თბილისის წყალსადენის სამგორის გამწმენდი სადგურისათვის შედგენილ იქნა საკონტროლო რუკები წყლის ხარისხის მახასიათებელი პარამეტრებისათვის (გამჭვირვალობა, ქლორის დოზა, ჟანგვადობა, ბაქტერიების საერთო რაოდენობა და სხვ.). საკონტროლო რუკები აგებულ იქნა აღნიშნული პარამეტრების მიხედვით შედგენილი რეტროსპექტული საშუალო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. ამისათვის თითოეული პარამეტრისათვის წინასწარ ფორმირებულ იქნა ამონაკრებთა საწყისი რეალიზაციები (ცხრ. 1). მაგალითად: 1-ლი ამონაკრებისათვის (1.IV-2.IV რიცხვის შესაბამისად) გამჭვირვალობის მაჩვენებლის საშუალო სიდიდე მიღებულია როგორც რვა საწყის მონაცემთა საშუალო არითმეტიკული:

$$X_I^{\text{გამჭ.}} = (30 + 30 + 30 + 30 + 30 + 28 + 30 + 30) / 8 = 29.75, \quad (2.4)$$

ხოლო ამ პერიოდისათვის შესაბამისი ამონაკრების ექსტრემალურ (მაქსიმალურ და მინიმალურ) მონაცემთა შორის სხვაობა $\bar{W}_I^{\text{გამჭ.}} = X_{\text{მაქ.}}^{\text{გამჭ.}} - X_{\text{მინ.}}^{\text{გამჭ.}} = 30 - 28 = 2$.

ამრიგად, აიგება ამონაკრებთა მონაცემები თითოეული პარამეტრისათვის (გამჭვირვალობა, ნარჩენი ქლორის დოზა ჟანგვადობა, ბაქტერიების საერთო რაოდენობა და სხვ.), რომელთა რაოდენობა შეადგენს 31 მაჩვენებელს.

1-ლი ცხრილის ამონაკრებთა 31 მონაცემის საფუძველზე თითოეული პარამეტრისათვის ცალ-ცალჭე იგება საკონტროლო რუკების თვალსაჩინო დიაგრამები როგორც განსახილველი პარამეტრების საშუალოსათვის (ზემოთ ფორმულებში \bar{X} -ით აღვნიშნეთ ზოგადად საშუალოს მნიშვნელობა, ხოლო ინდივიდუალურ შემთხვევებში

ის იღებს პარამეტრის შესაბამის აღნიშვნას, მაგალითად, გამჭვირვალობისათვის მიკილეთ აღნიშვნა $\bar{X}_{\text{გამ}}^{\text{გამ}}$ და ა.შ). საკონტროლო რუკების თვალსაჩინო დიაგრამები მოცემულია 5 ა), ბ), გ); 6 ა), ბ); 7 ა), ბ), გ); 8 ა), ბ); ნახაზებზე როგორც პარამეტრთა საშუალოების, ასევე ექსტრემალურ მნიშვნელობათა სხვაობებისათვის წერტილ-წყვეტილოვანი ხაზით დატანილია მათი მნიშვნელობების საშუალო სიღილე-ები (ნომინალები). მაგალითად: გამჭვირვალობის საშუალო ამონაკრებთა რეალიზაციისათვის (ნახ. 5.ბ) მივიღებთ $\bar{X}_{\text{ნომ}}^{\text{გამ}} = (29,75 + 30 + \dots + 40) / 31 = 33.14$, ხოლო ექსტრემალურ მნიშვნელობათა სხვაობების საშუალო არითმეტიკული იმავე პარამეტრისათვის გვექნება: $\bar{W}_{\text{ნომ}}^{\text{გამ}} = (2 + 0 + 0 + 10 + \dots + 15) / 31 = 8.29$ (ნახ. 5. გ).

საკონტროლო რუკების თვალსაჩინო დიაგრამებზე წყვეტილი ხაზებით დაიტანება სარეგულაციო საზღვრების შესაბამისი დონეები, ხოლო სრული ხაზით კი – გამაფრთხილებელი საზღვრების შესაბამისი დონეები. მაგალითად, პარამეტრის გამჭვირვალობისათვის გამაფრთხილებელი საზღვრები გამოითვლება ფორმულებით (იხ. ნახ. 5. ბ.):

$$\begin{aligned} X_{\text{გამაფრთხილა}} &= \bar{X}_{\text{გამ}}^{\text{გამ}} + \bar{W}_{\text{ნომ}}^{\text{გამ}} \times A_{0.025}^I = 33.14 + 8.29 \times 0.244 = 35.16; \\ X_{\text{გამაფრთხილა}} &= \bar{X}_{\text{გამ}}^{\text{გამ}} - \bar{W}_{\text{ნომ}}^{\text{გამ}} \times A_{0.025}^I = 33.14 - 8.29 \times 0.244 = 31.11. \end{aligned} \quad (2.5)$$

ამონაკრების ექსტრემალურ მნიშვნელობათა სხვაობის რეალიზაციისათვის კი, გამაფრთხილებელი საზღვრის დონე შეფასდება მნიშვნელობით $D_{0.025}^I \times \bar{W} = 1.62 \times 8.29 = 13.43$ (იხ. ნახ. 5 გ).

$D_{0.025}^I$, $D_{0.025}^I$ მამრავლების ცხრილური მნიშვნელობები აღებულია შესაბამისი ცხრილებიდან ([114]-ის დანართი 2-დან $A_{0.025}^I = 0.244$ და დანართი 3-დან $D_{0.025}^I = 1.62$), როდესაც ამონაკრების მოცულობა $n=8$;

სამგორის გამწმენდი სადგურის წყლის გაწმენდის ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის გამაფრთხილებელი და სარეგულაციო საზღვრების გაანგარიშების შედეგები ზე-მოთ მოცემული მეთოდიკის სესაბამისად ასახულია ცხრილში 2-ში, რომელთა მიხედვითაც შესაბამის დიაგრამებზე დატანილია საზღვრები ზემოთ მოყვანილი წესებით.

სამგორის წყალსადენის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრებისათვის საკონტროლო რუკებით დადგენილი საზღვრის დონეები მოცემულია ცხრილში 3-ში. ანალიზიდან ჩანს რომ დიდი ბრიტანეთის სტანდარტით აგებული დონეები ეთანადებიან არსებული სტანდარტის მოთხოვნას.

ამრიგად, ზემოთ შედგენილი საკონტროლო რუკები საშუალებას იძლევიან წყლის გაწმენდის ტექნოლოგიურ პროცესში შეფასებულ იქნას ის გარემოება თუ რამდენად სტაბილური რჩება მოცემული პარამეტრები ამა თუ იმ დროით მონაკვეთში (დინამიკაში). გარდა ამისა, აღნიშნული რუკებით შესაძლებელია განისაზღვროს პარამეტრების ცვალებადობის ნომინალების მოთხოვნილი დონეები (იხ. ცხრ. 3), რომლის მიღწევასაც უნდა ცდილობდეს ოპერატიულ-ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი რეალური მართვის პროცესში.

გარდა აღნიშნულისა, შედგენილი საკონტროლო რუკები გამოიყენება როგორც მაჩვენებელი განსხვავებისა (გადახრისა) ნომინალსა და ფაქტიურ მნიშვნელობებს შორის გაწმენდის დამყარებულ პროცესში.

იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ხარისხის მახასიათებელი პარამეტრებიდან რომელიმე გაარღვევს საკონტროლო რუკების გამაფრთხილებელ საზღვრებს (რომ აღარაფერი ვთქვათ სარეგულაციო საზღვრების გარღვევაზე), მაშინ საჭირო ხდება “შემჩნეული” პარამეტრის ნომინალურობის საზღვრებში დაბრუნება. ამ შემთხვევაში გადახრის სიღრიძე ინგარიშება მარტივი გამოსახულებით: $X_{\text{ფაქტ.}} - \bar{X} = \Delta X$, სადაც ΔX კორექციის სიღრმეა.

ქვემოთ მოგვყავს პრაქტიკული ღონისძიებების ის ნუსხა, რომელსაც მიმართავს სამგორის გამწმენდი სადგურის ოპერატიულ-ტექნიკური პერსონალი ე.წ. “შემჩნეული” პარამეტრების კორექციისათვის:

1. ნაკლები გამჭვირვალობის შემთხვევაში ოპერატიულად უნდა შედარდეს თბილისის ზღვის და უზივალის წყალსაცავის წყლების გამჭვირვალობა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს გამჭვირვალობის მაღალმაჩვენებლიან ნედლ წყალს, რომელიც სათანადოდ აუმჯობესებს მოქმედი ფილტრების საექსპლუატაციო პირობებს და ამცირებს საწარმოო ხარჯებს.

1. ქლორის და რეაგენტის დოზა დამოკიდებულია საწყისი წყლის ხარისხზე. ქიმიური ანალიზის საფუძველზე (სტანდარტის მოთხოვნით, იხ. ცხრ. 3) ხდება ქლორის და რეაგენტის საჭირო კორექტირება.

2. უანგვადობის ცვლილების დროსაც ხდება ქლორის და რეაგენტის დოზის რეგულირება.

ზაფხულის პერიოდში თბილისის ზღვიდან საწყისი წყლის აღება ხდება მცირე ინტენსივობით (ბაქტერიების საერთო რაოდენობისა და წყლის ბუნებრივი ტემპერატურის შედარებითი გაუარესების გამო).

ქ. ობილის სამგრადის გამწვენდა სადგურის გეოტოპიული საშუალო სტატისტიკური მონაცემების ამონატრებთა საწყისი
რეალიზაციაზე წელის განვითარების მიხედვით

| ცხრილი 1 | | | | | | |
|---|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| | 1. | 2. | 3. | 4. | 5. | 6. |
| ა) – წელი წყლისთვის | 1.IV–2.IV | 2.IV–3.IV | 3.IV–4.IV | 4.IV–5.IV | 5.IV–6.IV | 6.IV–7.IV |
| ამონატრების ალბის თარიღი (1992) | | | | | | |
| 1. გამჭირვალობა (ზე/ლ): | | | | | | |
| ა) ამონატრების საშუალო - $\bar{X}_{\text{ა,მ}}$ | 29.75 | 30.00 | 30.50 | 32.25 | 30.00 | 30.00 |
| ბ) ამონატრების ექსტრემალურ მნიშვნელობათა ($\bar{X}_{\text{ა,ქ}}$, | 30-28=2 | 30-30=0 | 32-30=2 | 40-30=10 | 30-30=0 | 30-30=0 |
| გ) შორის სხვაობა - $W_{\text{ა,მ}}$ | 12.00 | 7.00 | 12.00 | 10.00 | 8.00 | 10.00 |
| 2. ქლორის დოზა (ზგ/ლ): | | | | | | |
| ა) ამონატრების საშუალო - \bar{X}_{j} | 0.61 | 0.62 | 0.60 | 0.61 | 0.64 | 0.60 |
| ბ) ამონატრების ექსტრემალურ მნიშვნელობათა ($\bar{X}_{\text{ა,ქ}}$, | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 | 0.6-0.6=0 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 |
| გ) შორის სხვაობა - W_{j} | 1.06 | 1.06 | 1.17 | 0.99 | 1.11 | 1.09 |
| 3. ჟანგვალობა: | | | | | | |
| ა) ამონატრების საშუალო - $\bar{X}_{\text{ა,მ}}$ | | | | | | |
| ბ) ამონატრების ექსტრემალურ მნიშვნელობათა ($\bar{X}_{\text{ა,ქ}}$, | 1.12-0.96=0.16 | 1.12-1.04=0.08 | 1.20-1.12=0.08 | 1.12-0.88=0.24 | 1.20-1.04=0.16 | 1.20-1.04=0.16 |
| გ) ნედლი მასალის - $W_{\text{ა,მ}}$ | 1.44 | 1.52 | 1.44 | 1.52 | 1.52 | 1.52 |
| 4. ბაქტერიუმების საშროო რაოდენობა: | | | | | | |
| ა) ამონატრების საშუალო - $\bar{X}_{\text{ა,ქ}}$ | 18.13 | 14.88 | 9.88 | 22.25 | 15.38 | 14.5 |
| ბ) ამონატრების ექსტრემალურ მნიშვნელობათა ($\bar{X}_{\text{ა,ქ}}$, | 32-6=26.0 | 22-8=14.0 | 19-3=16.0 | 42-2=40.0 | 42-2=40.0 | 30-6=24.0 |
| გ) ნედლი მასალის - $W_{\text{ა,ქ}}$ | - | - | 2500 | - | - | - |

ცხრილი 1-ის გავრცელება

| | | 7. | 8. | 9. | 10. | 11. | 12. | 13. | 14. |
|-------|------------------------|----------------|----------------|----------------|---------------|----------------|----------------|----------------|---------------|
| | | 7.IV—8.IV | 8.IV—9.IV | 9.IV—10.IV | 25.IV—26.IV | 27.IV—28.IV | 28.IV—29.IV | 29.IV—30.IV | 1.VI—2.VII |
| 5) | \bar{X}_{v_1} | 31.00 | 31.25 | 31.13 | 31.63 | 31.50 | 32.13 | 35.12 | 37.00 |
| 1. δ) | \bar{W}_{v_1} | 34-30=4 | 35-30=5 | 36-30=6 | 38-30=8 | 36-30=6 | 36-30=6 | 45-30=15 | 45-30=15 |
| 2.) | \bar{X}_{v_2} | 14.00 | 20.00 | 13.00 | 18.00 | 24.00 | 20.00 | 16.00 | 25.00 |
| 2. δ) | \bar{X}_1 | 0.60 | 0.60 | 0.60 | 0.62 | 0.62 | 0.61 | 0.63 | 0.60 |
| 3.) | \bar{W}_1 | 0.6-0.6=0 | 0.65-0.5=1.15 | 0.65-0.55=0.1 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.55=0.1 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.55=0.1 | 0.6-0.6=0.0 |
| 3. δ) | \bar{X}_{v_3} | 1.11 | 1.03 | 1.11 | 1.00 | 1.03 | 1.04 | 1.00 | 0.94 |
| 3.) | \bar{W}_{v_3} | 1.20-1.04=0.16 | 1.12-0.96=0.16 | 1.20-1.04=0.16 | 1.12-0.8=0.32 | 1.12-0.96=0.16 | 1.12-0.96=0.16 | 1.12-0.88=0.24 | 1.04-0.8=0.24 |
| 3.) | \bar{X}_{v_4} | 1.44 | 1.44 | 1.52 | 1.28 | 1.44 | 1.44 | 1.44 | 1.36 |
| 4. δ) | \bar{X}_{v_5} | 10.75 | 15.38 | 14.75 | 8.00 | 13.13 | 9.13 | 9.13 | 12.75 |
| 4. δ) | \bar{W}_{v_5} | 20-5=15.0 | 42-3=39.0 | 41-2=39.0 | 13-4=9.0 | 24-3=21.0 | 19-3=16.0 | 19-3=16.0 | 41-1=40.0 |
| 3.) | \bar{X}_{v_6} | - | - | - | - | - | - | - | - |

ცხრილი 1-ის გავრცელება

| | | 15. | 16. | 17. | 18. | 19. | 20. | 21. | 22. |
|-------|------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| | | 3.VII—4.VII | 5.VII—6.VII | 7.VII—8.VII | 9.VII—10.VII | 11.VII—12.VII | 15.VII—16.VII | 20.VII—21.VII | 25.VII—26.VII |
| 5) | \bar{X}_{v_1} | 31.88 | 33.13 | 33.38 | 32.71 | 35.5 | 29.75 | 34.80 | 31.75 |
| 1. δ) | \bar{W}_{v_1} | 40-30=10 | 38-30=8 | 40-30=10 | 38-30=8 | 45-30=15 | 45-30=15 | 40-30=10 | 37-30=7 |
| 3.) | \bar{X}_{v_2} | 10.00 | 16.00 | 18.00 | 14.00 | 20.00 | 22.00 | 18.00 | 15.00 |
| 2. δ) | \bar{X}_1 | 0.61 | 0.61 | 0.61 | 0.61 | 0.61 | 0.60 | 0.62 | 0.61 |
| 3.) | \bar{W}_1 | 0.65-0.55=0.1 | 0.65-0.55=0.1 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.55=0.1 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.55=0.1 |
| 3. δ) | \bar{X}_{v_3} | 1.05 | 1.05 | 1.02 | 1.06 | 0.99 | 0.99 | 0.97 | 1.06 |
| 3.) | \bar{W}_{v_3} | 1.12-0.96=0.16 | 1.12-0.96=0.16 | 1.12-0.96=0.16 | 1.12-0.88=0.24 | 1.04-0.96=0.08 | 1.12-0.88=0.24 | 1.12-0.96=0.16 | 1.12-0.96=0.16 |
| 3.) | \bar{X}_{v_4} | 1.52 | 1.36 | 1.44 | 1.52 | 1.44 | 1.28 | 1.36 | 1.52 |
| 4. δ) | \bar{X}_{v_5} | 12.50 | 10.00 | 10.63 | 16.25 | 12.88 | 11.71 | 11.38 | 15.00 |
| 4. δ) | \bar{W}_{v_5} | 25-5=20.0 | 19-1=18.0 | 28-5=23.0 | 38-5=33.0 | 19-5=14.0 | 21-3=18.0 | 27-2=25.0 | 38-5=33.0 |
| 3.) | \bar{X}_{v_6} | - | 2500 | - | - | - | 2400 | - | - |

Օկտոբեր 1-ին օր օպերատորներին

| | | 23. | 24. | 25. | 26. | 27. | 28. | 29. | 30. | 31. |
|-------|---------------------------|----------------|----------------|---------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| | | 29.VII-30.VII | 1.X-2.X | 8.X-9.X | 10.X-11.X | 13.X-14.X | 16.X-17.X | 18.X-19.X | 23.X-24.X | 29.X |
| 1. օ) | $\bar{\mathbf{X}}_{j,45}$ | 32.75 | 33.00 | 36.25 | 35.62 | 34.50 | 37.00 | 38.50 | 33.60 | 40.00 |
| օ) | $\bar{\mathbf{W}}_{j,45}$ | 38-30=8 | 40-30=10 | 45-30=15 | 45-30=15 | 40-30=10 | 40-30=10 | 40-36=4 | 38-30=8 | 45-30=15 |
| 3. օ) | $\bar{\mathbf{X}}_{j,45}$ | 17.00 | 20.0 | 22.00 | 23.00 | 15.00 | 25.00 | 30.00 | 23.00 | 22.00 |
| 2. օ) | $\bar{\mathbf{X}}_j$ | 0.63 | 0.61 | 0.62 | 0.60 | 0.60 | 0.63 | 0.61 | 0.61 | 0.60 |
| օ) | $\bar{\mathbf{W}}_j$ | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.5= 0.15 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.5=0.15 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 | 0.65-0.6=0.05 | 0.6-0.6=0 |
| 3. օ) | $\bar{\mathbf{X}}_{j,45}$ | 1.04 | 1.06 | 0.99 | 0.95 | 1.00 | 0.92 | 0.86 | 1.03 | 0.86 |
| օ) | $\bar{\mathbf{W}}_{j,45}$ | 1.12-0.96=0.16 | 1.12-0.88·0.24 | 1.12-0.8=0.32 | 1.04-0.88=0.16 | 1.12-0.88=0.24 | 1.04-0.88=0.16 | 0.96-0.80=0.16 | 1.12-0.96=0.16 | 0.96-0.80=0.16 |
| 3. օ) | $\bar{\mathbf{X}}_{j,45}$ | 1.44 | 1.44 | 1.36 | 1.44 | 1.44 | 1.20 | 1.20 | 1.36 | 1.36 |
| 4. օ) | $\bar{\mathbf{X}}_{j,45}$ | 8.14 | 9.00 | 12.71 | 8.75 | 15.13 | 8.71 | 6.62 | 7.12 | 7.50 |
| օ) | $\bar{\mathbf{W}}_{j,45}$ | 16-4=12.0 | 16-3=1.0 | 28-4=24.0 | 14-6=8.0 | 20-8=12.0 | 16-4=12.0 | 13-1=12.0 | 12-4=8.0 | 18-2=16.0 |
| 3) | $\bar{\mathbf{X}}_{j,45}$ | 2400 | - | 1200 | - | 1700 | - | - | - | - |

სამგორის გაწმენდი სადგურის წელის გაწმენდის მაჩვენებლებისათვის გამაფრთხილებელი და სარეზულაციო საზღვრების გააზიაროშების შედეგი


ცხრილი 2

| | გამაფრთხილებული ზედა და ქვედა საზღვრები | გამაფრთხილებული ზედა და ქვედა საზღვრები |
|----|--|---|
| 1. | $\overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} + \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 =$ $= 33.14 + 8.29 \cdot 0.244 = 35.16$ $\overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} - \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 =$ $= 33.14 - 8.29 \cdot 0.244 = 31.11$ $\mathbf{D}_{0.025}^1 \cdot \overline{\mathbf{W}} = 1.62 \cdot 8.29 = 13.43$ | $\overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} + \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.001}^1 =$ $= 33.14 + 8.29 \cdot 0.384 = 36.32$ $\overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} - \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.001}^1 =$ $= 33.14 - 8.29 \cdot 0.384 = 29.96$ $\mathbf{D}_{0.001}^1 \cdot \overline{\mathbf{W}} = 2.04 \cdot 8.29 = 16.29$ |
| 2. | $\begin{aligned} & \text{ქლორის დოზა:} \\ & \text{a) ამონაკრების საშუალოთა} \\ & \text{რეალიზაციისათვის } - \overline{\mathbf{x}}_{\delta^{3j}} \\ & \text{b) ამონაკრების ექსტრემალურ} \\ & \text{მნიშვნელობათა } (\mathbf{X}_{\delta^{3j}}, \mathbf{X}_{\delta^{3k}}) \text{ შორის} \\ & \text{სხვაობათა რეალიზაციისათვის } - \mathbf{W}_{\delta^{3j}} \end{aligned}$ | $\begin{aligned} & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} + \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 = \\ & = 0.61 + 0.064 \cdot 0.244 = 0.625 \\ & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} - \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 = \\ & = 0.61 - 0.064 \cdot 0.244 = 0.594 \\ & \mathbf{D}_{0.025}^1 \cdot \overline{\mathbf{W}} = 1.62 \cdot 0.064 = 0.104 \end{aligned}$ $\begin{aligned} & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} + \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.001}^1 = \\ & = 1.0187 + 0.1806 \cdot 0.244 = 1.06 \\ & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} - \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.001}^1 = \\ & = 1.0187 - 0.1806 \cdot 0.244 = 0.97 \\ & \mathbf{D}_{0.001}^1 \cdot \overline{\mathbf{W}} = 2.04 \cdot 0.064 = 0.131 \end{aligned}$ |
| 3. | $\begin{aligned} & \text{ქანგგვალობა:} \\ & \text{a) ამონაკრების საშუალოთა} \\ & \text{რეალიზაციისათვის } - \overline{\mathbf{x}}_{\delta^{3j}} \\ & \text{b) ამონაკრების ექსტრემალურ} \\ & \text{მნიშვნელობათა } (\mathbf{X}_{\delta^{3j}}, \mathbf{X}_{\delta^{3k}}) \text{ შორის} \\ & \text{სხვაობათა რეალიზაციისათვის } - \mathbf{W}_{\delta^{3j}} \end{aligned}$ | $\begin{aligned} & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} + \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 = \\ & = 1.0187 + 0.1806 \cdot 0.384 = 1.09 \\ & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} - \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.001}^1 = \\ & = 1.0187 - 0.1806 \cdot 0.384 = 0.95 \\ & \mathbf{D}_{0.025}^1 \cdot \overline{\mathbf{W}} = 2.04 \cdot 0.1806 = 0.37 \end{aligned}$ $\begin{aligned} & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} + \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 = \\ & = 12 + 21.16 \cdot 0.244 = 17.16 \\ & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} - \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 = \\ & = 12 - 21.16 \cdot 0.244 = 6.84 \\ & \mathbf{D}_{0.025}^1 \cdot \overline{\mathbf{W}} = 1.62 \cdot 21.16 = 34.3 \end{aligned}$ |
| 4. | $\begin{aligned} & \text{ბაქტერიების საერთო რაოდეობა:} \\ & \text{a) ამონაკრების საშუალოთა} \\ & \text{რეალიზაციისათვის } - \overline{\mathbf{x}}_{\delta^{3j}} \\ & \text{b) ამონაკრების ექსტრემალურ} \\ & \text{მნიშვნელობათა } (\mathbf{X}_{\delta^{3j}}, \mathbf{X}_{\delta^{3k}}) \text{ შორის} \\ & \text{სხვაობათა რეალიზაციისათვის } - \mathbf{W}_{\delta^{3j}} \end{aligned}$ | $\begin{aligned} & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} + \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.025}^1 = \\ & = 12 + 21.16 \cdot 0.384 = 20.13 \\ & \overline{\mathbf{X}}_{\delta^{3j}} - \overline{\mathbf{W}}_{\delta^{3j}} \cdot \mathbf{A}_{0.001}^1 = \\ & = 12 - 21.16 \cdot 0.384 = 3.87 \\ & \mathbf{D}_{0.001}^1 \cdot \overline{\mathbf{W}} = 2.04 \cdot 21.16 = 43.17 \end{aligned}$ |

სამგორის წყალსაღენის წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი კარამეტრისათვის საკონტროლო აუქტიონის გადაწყვეტილი საზოგადო დოკუმენტი დაიღებით დონეები დიდი გრადაციის სტანდარტის შესაბამისად


| No | წყლის გაწმენდის პროცესის განვითარებული პარამეტრი | პარამეტრის ცვლილების ნოტინალი | გამაფრთხილებელი საზღვრები | სარგებლაციო საზღვრები | მოთხოვნა არსებუ- ლი სტანდარტით გოსტ 2874-73 | | |
|----|--|-------------------------------------|------------------------------|-----------------------|---|-------|---|
| 1. | გამჭირვალობა | 33.14 | 35.16 | 31.11 | 36.32 | 29.96 | არანაკლები 30 სმ |
| 2. | ქლორის დოზა | 0.61 | 0.625 | 0.594 | 0.634 | 0.585 | არანაკლები 0.3 მგ/ლევ ³ |
| 3. | ჟანგგალობა | 1.019 | 1.06 | 0.97 | 1.09 | 0.95 | არაუმტეს 4 მგ/დღ ³ |
| 4. | ბაქტერიუმის საერთო რაოდენობა | 12.0 | 17.16 | 6.84 | 20.13 | 3.87 | 1 მლ. გაუსნელ წყალში არაუმტეს 100 კოლონიას, როდესაც $t=27^{\circ}\text{C}$ |



სამგრილის გამჭვინდის სალგურის წევლის გაწმენდის ტექნიკური პროცესის ოპერატორული კონტროლისა და მართვისთვის
შედეგის საკონტროლო რეცენზინგის დაგენერინგის სახით





ნახ. 5 ა), ბ)

ବାବ. ୫ ୯






б,в. 6 δ , δ)



69b. 7 δ), δ), δ)



6а, 8 а), б)

**თავი 3. წყლის გაფარედის ტექნიკური პროცესის
მახასიათებელი პარამეტრების კონტროლის,
რეგულირების და ხარისხის მართვის სტატისტიკური
მოდელების შედგენა ქ. თბილისის წყალსადღინის
სამგროის და ღრმაღელის გამომედი
საღმისამართზე**

**3.1. ხარისხის მართვის სტატისტიკური მოდელების დანიშნულება წყლის
გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების
სუბიექტურ-კრიტერიულ შეფასებაში**

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, საკონტროლო რუკების გამოყენება თვალსაჩინო დიაგრამების სახით საშუალებას იძლევა წყლის გაწმენდის ტექნოლოგიურ პროცესის მსვლელობაში (და არა მარტო მსვლელობაში) გაანალიზდეს და დაისახოს პროცესის მახასიათებელი პარამეტრების სათანადო ცვლილებები მოთხოვნილი ნომინალების შესაბამისად. ეს ოპერატიულ-ტექნიკურ პერსონალს საშუალებას აძლევს მიმდინარე სადისპეტჩერო მართვის პირობებში შეინარჩუნოს წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სტაბილურობა და მოახდინოს მისი სათანადო კორექცია ნომინალური რეჟიმების შესაბამისად.

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოუხდავად საკონტროლო-სარეგულაციო რუკების გამოყენების დადებითი შხარებისა, ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებენ ოპერატიულ-ტექნიკური პერსონალის მოთხოვნებს ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების მართვის გადაწყვეტილებათა შემუშავებაში. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრები, გარდა ოპერატიული შეფასებებისა, საჭიროებენ აგრეთვე მათი ცვლილებების ტენდენციების წინასწარ ჭვრეტას (პროგნოზირებას) როგორც თითოეული პარამეტრის, ასევე მათი კომპლექსური ცვალებადობის შემთხვევაში. აღნიშნული საკითხის განვითარება მოყვანილია სადისერტაციო ნაშრომის შესაბამის ქვეთავებში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტურ-ხარისხობრივ კრიტერიულ შეფასებათა მოდელების შედგენა საკონტროლო-სარეგულაციო რუკებთან ერთად ტექ-

ნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრებისათვის წარმოადგენს მძღავრის ტრუმენტულ საშუალებას ოპერატიულ-ტექნიკური პერსონალის წინაშე დასმული „არამკაფიო“ სახის მრავალპარამეტრიანი მართვის სადისპეტჩერო ამოცანის უფაქტური გადაწყვეტის მიზნით.

3.2. სუბიექტურ-ხარისხობრივ კრიტერიულ შეფასებათა ხარისხის მართვის სტატისტიკური მოდელების შედგენის მეთოდოლოგია

ხარისხობრივ-კრიტერიალურ შეფასებათა მოდელების შედგენის აუცილებლობა განპირობებულია მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის მახასიათებელი პარამეტრების მიხედვით დამყარებული ერთიანი მდგომარეობის მართვის ეფექტურ გადაწყვეტილებათა შერჩევის მიზნით. ეფექტურ მართვაში იგულისხმება ისეთი რეჟიმების შედგენა, რომელთა პირობებშიც თითოეული პარამეტრის ცვალებადობის სიღრმე რამე მოთხოვნილი სტატისტიკური სამედოობით მოქცეული იქნება საკონტროლო რუკების მაფრთხილებელ არეში. თითოეული პარამეტრისათვის ასეთი ცვალებადობის სიღრმეს ვსაზღვრავთ საკონტროლო რუკების მიხედვით, რომლებიც წინა ქვეთავში იყო განხილული. მართვის დასაშვები არის სიღრმე, ამ შემთხვევაში, უნდა შესაბამებოდეს პროცესგანმაპირობებელი ფაქტორის (პარამეტრის) ცვალებადობის ნომინალს (ეტალონს), რომლის მიღწევასაც უნდა ცდილობდეს ოპერატიულ-სადისპეტჩერო პერსონალი რეალური მართვის პროცესში.

ცხადია, უფექტურ გადაწყვეტილებათა მოთხოვნილი დონე ტექნოლოგიური პროცესის თითოეული პარამეტრისათვის უნდა შემოისაზღვრებოდეს მისი მახასიათებელი ნომინალური სიდიდით, მაგრამ პრაქტიკაში ნომინალური დონეების ცალ-სახად უზრუნველყოფა შეუძლებელია მათზე მრავალრიცხოვანი გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ზეგავლენის გამო. ამიტომ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეფექტურ გადაწყვეტილებათა სიღრმეებად თითოეული პროცესგანმაპირობებელი პარამეტრისათვის შესაბამისად შეიძლება აღებულ იქნას მაფრთხილებელი საზღვრების არები საკონტროლო რუკების მიხედვით.

ამრიგად, კრიტერიალურ-სუბიექტურ შეფასებათა დესკრიფიული (აღწერითი) მოდელები შედგენილ უნდა იქნას ნომინალური არის გამაფრთხილებელი საზ-

ლვრების შესაბამისად იმ მოსაზრებით, რომ თითოეული პარამეტრის ნომინალი უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის მაქსიმუმს ანუ ერთიანს, ხოლო თვითონ გამაფრთხილებელი არის საზღვრითი წერტილი კი ამ შემთხვევაში უნდა ასახავდეს პარამეტრის ცვალებადობის არასასურველ ფაქტს ანუ ნულს. ასეთი სახის ფსიქოფიზიკური ხასიათის სუბიექტური მიღვომების გამოყენება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის განვითარებაში საშუალებას მოგვცემს შედგენილ იქნას მართვის მოდელები [1].

მოდელების შედგენაში გათვალისწინებული უნდა იქნას "მიზნის მიღწევის" ფუნქციის - P_i ცვალებადობის ხარისხობრივი გრადაციები $0 \leq P_i \leq 1$ ფარგლებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეტალონური პროცესის ინტეგრალური ხარისხობრივი მახასიათებელი ვერ აღწევს 1-ს, რადგან პროცესის მსვლელობაზე მოქმედებს როგორც ობიექტური (ტექნოლოგიური პროცესის ცვლილებები), ასევე სუბიექტური სახის ფაქტორები (გამოწყვეტილი ოპერატორ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობაში შეცდომების დაშვებით გადაწყვეტილებათა მიღების შერჩევისას). არსებულ პროცესში, პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების შესაფასებლად, რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას სუბიექტურ-კრიტერიული შეფასების პარინგტონის სკალა [1]:

| № | პარამეტრის სუბიექტურ-კრიტერიული შეფასების მაჩვენებელი | ხარისხობრივი შეფასების ინტერვალები (P_i -ცვალებადობის დიაპაზონში) |
|---|---|---|
| 1 | ძალიან ცუდი | 0,00 0,20 |
| 2 | ცუდი | 0,20 0,37 |
| 3 | დამაკმაყოფილებელი | 0,37 0,63 |
| 4 | კარგი | 0,63 0,80 |
| 5 | ძალიან კარგი | 0,80 1,00 |

სუბიექტურ-ხარისხობრივი შეფასებების წარმოდგენილი კრიტერიალური ცხრილის დახმარებით შესაძლებელი ხდება ტექნოლოგიური პროცესის

მახასიათებელი პარამეტრების სიტუაციურ მდგომარეობათა ცვალებადობის შეფასება პარამეტრების როგორც ცალკეული, ასევე ერთდროული (კომპლექსური) ცვალებადობის პირობებში. წარმოდგენილი ცხრილი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დახასიათდეს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის ერთიანი ეფექტური რეჟიმი სხვადასხვა სიტუაციურ მდგომარეობათა მიხედვით. აღნიშნული საკითხის წარმატებით გადაწყვეტა, ცხადია, შეუძლებელი იქნება მხოლოდ ოპერატორულ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილებასა და ინტუიციაზე დაყრდნობით.

“მიზნის მიღწევის” ფუნქციის აპროქსიმაციის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნას ორმაგი ექსპონენციალური სახის მათემატიკური დამოკიდებულებები [1], რომლებსაც ექნებათ შემდეგი სახე:

$$P_i = \exp[-\exp(-b_0 - b_i X_i)]. \quad (3.1)$$

ამ დამოკიდებულების გარდაქმნა შეიძლება შემდეგი სახით: $b_0 + b_i X_i = \ln \ln(1/P_i)$. ამ გამოსახულებაში b_0 და b_i რეგრესიის კოეფიციენტებია, რომელთა გამოსათვლელად “მიზნის მიღწევის ფუნქციაში” სუბიექტურად შეირჩევენ პროცესგანმაპირობებელი პარამეტრის ხარისხობრივი მდგომარეობის ორ უკიდურეს მაჩვენებელს – ცუდს და კარგს – (X_{i1}, X_{i2}) , რომელთაც მიმდევრობით ჩასვამენ სისტემის შესაბამის განტოლებებში:

$$\begin{cases} b_0 + b_i X_{i1} = -\ln \ln(1/P_{i1}) \\ b_0 + b_i X_{i2} = -\ln \ln(1/P_{i2}) \end{cases}. \quad (3.2)$$

როგორც წესი, X_{i1} და X_{i2} მნიშვნელობების შესარჩევად იღებენ $X_{i \min}$ -ისა და $X_{i \max}$ -ის სიდიდეებს და მათ სუბიექტურად შეუსაბამებენ $P_{i1} = 0.2$ (პარამეტრის ცუდი მდგომარეობა) და $P_{i2} = 0.8$ (პარამეტრის კარგი მდგომარეობა) მნიშვნელობებს. ამ მოდელის აგებისას დაიშვება, რომ აღებულ იქნას: $P_i = 0.8$ – ნომინალური დონის შესაბამისი სიდიდე (კარგი ხარისხობრივი შეფასება) და $P_i = 0.2$ (ცუდი ხარისხობრივი შეფასება), საკონტროლო რუკების გამაფრთხილებელი არების შესაბამისად [1].

უნდა აღინიშნოს, რომ აქ წარმოდგენილი მოდელების შედგენის მეთოდოლოგია “მიზნის მიღწევის” ფუნქციების სახით, შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერი სახის პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების დასახასიათებლადაც, მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთის მიმართ ატარებენ ცვალებადობის უკუხასიათს, თუ არა.

ამის შემდეგ „მიზნის მიღწევის“ ფუნქციების მიხედვით აიგება ე.წ. ჯამური „აზრობრივი შინაარსის“ დამოკიდებულებები შემდეგი სახით:

$$C_{\Sigma} = \lg(P_{X_{\text{გამჭ.}}} P_{X_{\text{ქ.}}} P_{X_{\text{ქან.}}} P_{X_{\text{ბაქტ.}}}) = \lg P_{X_{\text{გამჭ.}}} + \lg P_{X_{\text{ქ.}}} + \lg P_{X_{\text{ქან.}}} + \lg P_{X_{\text{ბაქტ.}}} \quad (3.3)$$

$$\text{თუ } \text{აღვნიშნავთ } \lg P_{X_{\text{გამჭ.}}} = C_{\text{გამჭ.}}, \quad \lg P_{X_{\text{ქ.}}} = C_{\text{ქ.}}, \quad \lg P_{X_{\text{ქან.}}} = C_{\text{ქან.}} \quad \text{და}$$

$$\lg P_{X_{\text{ბაქტ.}}} = C_{\text{ბაქტ.}}, \quad \text{მაშინ}$$

$$C_{\Sigma} = C_{\text{გამჭ.}} + C_{\text{ქ.}} + C_{\text{ქან.}} + C_{\text{ბაქტ.}}, \quad (3.4)$$

ზოგადად „აზრობრივი შინაარსის“ დამოკიდებულებები ასახავენ X პარამეტრის ამა თუ იმ მნიშვნელობის შერჩევის ფარდობით მიზანშეწონილობას. როდესაც $C_{\Sigma} \rightarrow 0$, მაშინ „აზრობრივი შინაარსის“ დამოკიდებულებები ასახავენ ნომინალუბთან ფიქსირებულ სიტუაციას (პარამეტრების ერთ-ერთ ხელსაყრელ ტექნოლოგიურ მდგომარეობას).

იმ შემთხვევაში, თუ სივრცეში ასაგებია ტექნოლოგიური პროცესის მისაღები ტრაექტორია მოცემულ პარამეტრთა ხარისხობრივი ცვალებადობის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, მაშინ დამატებით უნდა განისაზღვროს აგრეთვე „აზრობრივი შინაარსის“ გრადიენტიც $A = grandC$, იმ მოთხოვნით, რომ $A_{\Sigma} \rightarrow 0$.

აღნიშნული მიდგომა, პროცესის ცვალებადობის ოპტიმალური ტრაექტორიის აგებით წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული მართვის ამოცანების გადაწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, ვიდრე ეს შეიძლება წარმატებით შესრულდეს ვექტორული ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენებით [1].

3.3. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული მართვის დესკრიფციული (აღწერითი) მოდელების შედგენა ქ. თბილისის წყალსადნის სამგორის გამწმენდი სადგურისათვის

წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალური მართვის საერთო მოდელის შესადგენად თანმიმდევრობით უნდა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები:

1. განისაზღვროს „მიზნის მიღწევის“ ფუნქცია მახასიათებელი პარამეტრებისათვის $P_{X_{\text{გამჭ.}}}, P_{X_{\text{ქ.}}}, P_{X_{\text{ქან.}}}, P_{X_{\text{ბაქტ.}}}$. წარმოდგენილი სახის ფუნქციები შედგენილია პროცესგანმაპირობებელი ფაქტორების მიხედვით აგებული საკონტროლო რუკების როგორც ზედა მაფრთხილებელი საზღვრების, ასევე ქვედა მაფრთხილებელი

საზღვრების შესაბამისად. ამ ფუნქციებში თუ შევიტანთ შესაბამისად პარამეტრების ნომინალურ მნიშვნელობებს, მაშინ ისინი ასახავენ სარგებლიანობის კარგ ხარისხს ($P_x = 0.8$), ხოლო მათში გამაფრთხილებელი საზღვრების შესაბამისი მნიშვნელობის ჩასმა კი იძლევა სარგებლიანობის არადამაკმაყოფილებელ (ცუდ) ხარისხს ($P_x = 0.2$). განსახილველი პარამეტრისათვის ორი შესადარებელი მნიშვნელობიდან უპირატესობა მიენიჭება იმას, რომლის სარგებლიანობის მაჩვენებელი (ხარისხი) მაღალია (ანუ შესაფასებელი ფიქსირებული მდგომარეობა მიახლოებულია პარამეტრის ნომინალურ სიდიდესთან). მაგალითად, შესადარებელია $X_{\text{გამ}} = 1.05$ და $X_{\text{ჯან}} = 1.019$. ამისათვის ვიყენებთ შედგენილი მოდელის მიხედვით (იხ. მე-4 ცხრილის მე-3 გრაფა) მოცემულ მნიშვნელობებს $P_{X_{\text{გამ}}} (1.05) = 0.37$ და $P_{X_{\text{ჯან}}} (1.019) = 0.8$, ცხადია, $0.37 < 0.8$, ამიტომაც უპირატესობა ენიჭება პარამეტრს $P_{X_{\text{ჯან}}} (1.019)$.

2. მიღებული “მიზნის მიღწევის” ფუნქციების მიხედვით განისაზღვრება ჯამური “აზრობრივი შინაარსის” დამოკიდებულებები:

$$C_{\Sigma} = \lg(P_{X_{\text{გამ}}}) + \lg(P_{X_{\text{ჯ}}}) + \lg(P_{X_{\text{გან}}}) + \lg(P_{X_{\text{ბაქ}}}). \quad (3.5)$$

თუ აღვნიშნავთ $\lg P_{X_{\text{გამ}}} = C_{\text{გამ}}$, $\lg P_{X_{\text{ჯ}}} = C_{\text{ჯ}}$, $\lg P_{X_{\text{გან}}} = C_{\text{გან}}$ და $\lg P_{X_{\text{ბაქ}}} = C_{\text{ბაქ}}$, მაშინ მოცემული პარამეტრების ჯამური “აზრობრივი შინაარსი” მიიღებს შემდეგ სახეს:

$$C_{\Sigma} = C_{\text{გამ}} + C_{\text{ჯ}} + C_{\text{გან}} + C_{\text{ბაქ}}. \quad (3.6)$$

პარამეტრების ჯამური “აზრობრივი შინაარსის” გამომხატველი დამოკიდებულებები სამგორის სადგურის მოცემული ტექნოლოგიური პარამეტრებისათვის შეტანილია მე-4 ცხრილში. მოდელები შედგენილია, როგორც წინა შემთხვევაში, საკონტროლო რუკების ზედა და ქვედა მაფრთხილებელი საზღვრების შესაბამისად. ცალკე აღებული თითოეული მოდელი (როგორც წინა შემთხვევაში) საშუალებას იძლევა, ხარისხობრივი უპირატესობის მიხედვით შედარდეს პარამეტრის ორი სიდიდე. მაგალითად, ნარჩი ქლორის ქვედა გამაფრთხილებელი საზღვრის მიხედვით აგებული მოდელის თანახმად $C_{\text{ჯ}} (0.97) < C_{\text{ჯ}} (1.019)$, ვინაიდან $|0.097| < |0.7|$, ე.ი. უპირატესობა ენიჭება პარამეტრის იმ მნიშვნელობას, რომლის აბსოლუტური სიდიდეც

ახლოსაა ნულთან (ანუ ნომინალური პარამეტრის სიდიდესთან). მე-4 ცხრილის მე-4 გრაფიკის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოცემული პარამეტრების ჯამური აზრობრივი მახასიათებლის სიდიდე პარამეტრების ნომინალისათვის შეადგენს $C_X^{\text{ნომ.}} = C_{\text{გამჭ.}}^{\text{ნომ.}} + C_{\text{ქ.}}^{\text{ნომ.}} + C_{\text{ქანგ.}}^{\text{ნომ.}} + C_{\text{ბაქტ.}}^{\text{ნომ.}} = 0.097 + 0.097 + 0.097 = 0.388$, მაშინ, როდე-საც ქვედა მაფრთხილებელი საზღვრების შესაბამისად,

$$C_X^{\text{ქ.}} = C_{\text{გამჭ.}}^{\text{ქ.}} + C_{\text{ქ.}}^{\text{ქ.}} + C_{\text{ქანგ.}}^{\text{ქ.}} + C_{\text{ბაქტ.}}^{\text{ქ.}} = 0.698 + 0.699 + 0.7 = 2.8. \quad (3.7)$$

განხილული მაგალითის მიხედვით ადვილად დავასკვნით, რომ, ვინაიდან $0.388 < 2.8$, ჯამური აზრობრივი შინაარსის მიხედვით უპირატესობა ენიჭება პირველს (ნომინალის შესაბამის სიდიდეებს);

3. სივრცეში მახასიათებელი პარამეტრების წერტილის კოორდინატების მოსამებნად საჭიროა თითოეული განსახილველი პარამეტრებისათვის აგებულ იქნას ე.წ. “ლოგიკური კავშირების” განმსაზღვრელი მოდელები საკონტროლო რუკების ზედა და ქვედა მაფრთხილებელი საზღვრების შესაბამისად. ამ მიზნით ვადგენთ ლოგიკური კავშირების ბალანსის განტოლებებს ისეთი სახით, როგორც ესაა წარმოდგენილი მე-5 ცხრილში. შევადგინოთ ზედა მაფრთხილებელი საზღვრის შესაბამისი ლოგიკური კავშირების განტოლებები შემდეგი სახით: $\frac{dc}{dx_{\text{გამჭ.}}} = 0$;

$$\frac{dc}{dx_{\text{ქ.}}} = 0; \quad \frac{dc}{dx_{\text{ქანგ.}}} = 0. \quad \frac{dc}{dx_{\text{ბაქტ.}}} = 0. \quad \text{მაშინ } \text{ლოგიკური } \text{კავშირების } \text{ბალანსის } \text{განტოლება } \text{ჩაიწერება } \text{ასე:}$$

$$\frac{dc}{dx_{\text{გამჭ.}}} + \frac{dc}{dx_{\text{ქ.}}} + \frac{dc}{dx_{\text{ქანგ.}}} + \frac{dc}{dx_{\text{ბაქტ.}}} = 0. \quad (3.8)$$

თუ ბალანსის განტოლებაში ჩავსვამთ პარამეტრების ნომინალის სიდიდეებს, მაშინ სივრცეში საძიებელი ოპტიმალური წერტილი იქნება ის, რომლის სიდი-დესაც განაპირობებენ მოცემული ნომინალები. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვინდა ვიპოვოთ ოპტიმალური მოძრაობის ტრაექტორია $\frac{d\bar{r}}{dt} = \bar{\Lambda}_\Sigma$ სადაც $\bar{\Lambda}_\Sigma$ აღნიშნავს

$\frac{dc}{dx}$ -ს, ერთად აღებულს ყველა პარამეტრისათვის, პარამეტრების რაიმე საწყისი მნიშვნელობებიდან, მაშინ ტრაექტორიის საძებნ გამოსახულებას ექნება სახე:

$$\frac{d\bar{r}}{dt} = \bar{\Lambda}_\Sigma = \frac{dx}{dt} = \sum \Lambda_i. \quad (3.9)$$

მაგალითად, მე-6 ცხრილის მონაცემების მიხედვით ლოგიკური კავშირების განმსაზღვრელ მოდელებში თუ ჩავსვამთ პარამეტრების ნომინალურ სიდიდეებს, მაშინ მივიღებთ (იხ. გრაფა 6).

$$\Lambda_x^{\text{ნომ.}} = \Lambda_{\text{გამჟ.}}^{\text{ნომ.}} + \Lambda_{\text{ქ.}}^{\text{ნომ.}} + \Lambda_{\text{ფანგ.}}^{\text{ნომ.}} + \Lambda_{\text{ბაქტ.}}^{\text{ნომ.}} = 0.094 + 11.97 + 3.907 + 0.037 = 16.008,$$

მაშინ, როდესაც

$$\Lambda_x^{\text{ქ.}} = \Lambda_{\text{გამჟ.}}^{\text{ქ.}} + \Lambda_{\text{ქ.}}^{\text{ქ.}} + \Lambda_{\text{ფანგ.}}^{\text{ქ.}} + \Lambda_{\text{ბაქტ.}}^{\text{ქ.}} = 0.686 + 86.33 + 28.185 + 0.268 = 115.469.$$

როგორც ვხედავთ, ნომინალების შესაბამისი მნიშვნელობა შეადგენს $\Lambda_\Sigma^{\text{ნომ.}} = 16.008$, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ქვედა მაფრთხილებელი საზღვრის გაანგარიშებულ სიდიდეზე $\Lambda_\Sigma^{\text{ქ.}} = 115.469$. ეს მიგვანიშნებს, რომ ტექნოლოგიური პროცესის მართვის გაუმჯობესებისათვის არსებობს მნიშვნელოვანი რეზერვი.

როგორც თეორიულ წინამდლვრებში აღვნიშნეთ, და რაც დადასტურდა სამგორის გამწმენდი სადგურის სტატისტიკურ მონაცემთა პარამეტრების დამუშავების მიხედვით, წარმოდგენილი მიდგომით ტექნოლოგიური პროცესის ეფექტური მართვის მიღწევა სრულიად რეალურია, ვიდრე ეს შეიძლება მიღწეს ვექტორული ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენებით [1]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვექტორული ოპტიმიზაციის მიხედვით ამოცანის გადაწყვეტა დაიყვანება კომპრომისული არის მოძებნაზე (პარეტოს სიმრავლე), წარმოდგენილ შემთხვევაში კი სივრცეში მოიძებნება არა მარტო ერთადერთი ოპტიმალური წერტილი (რომლისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ პარამეტრის რეალური მართვის დროს), არამედ მოიძებნება კიდევ თანამდებობის წერტილისაკენ მოძრაობის ტრაექტორიის განტოლებაც. ოპტიმიზაციის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ განსახილველი პარამეტრებისათვის ეფექტიანობის მაჩვენებელი შერჩეული იქნა სამართლიანი დათმობა-ფარდობითობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს, რომ ყოველი პარამეტრის ეფექტურობის მაჩვენებელი ერთნაირად მნიშვნელოვანია, რაც აგრეთვე აკმაყოფილებს სკალური ოპტიმიზაციის პრინციპებსაც.

„აზრობრივი უინაარსის“ გამოშატველი მოდელები უეჯპინილი სამკორის წარალისალენის წყლის გაზევნილი კარამეტრულელი კახასიათგვის

(ცხრილი 4)

| | | | | |
|----|---|--|--|---|
| | წყლის გაწმენდის ხარისხის განვი- ათებელი პარამეტ- რების დასახელება: | წყლის გამაცრონის ბელი საზღვრის შესაბამისად | წყლის გამაცრონის ბელი საზღვრის შესაბამისად | საილუსტრაციო მაგალითები გაანგარიშებული მოლექტებები |
| 1. | გამჭვირვალობა: ა) ამონატრების საშუალოთა რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j}$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -0.4343[\exp(30.745 -$ $- 0.973 \cdot \bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j})]$ $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j} \in [31.11, 33.14]$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -0.4343[\exp(30.745 -$ $- 0.973 \cdot \bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j})]$ $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j} \in [31.11, 33.14]$ | $X=31.11, \text{ გაშინ}$ $C_{\beta_j} = -0.698; X=33.14,$ $\text{გაშინ } C_{\beta_j} = -0.97. \text{ ქ. o.}$ $ 0.097 < 0.698 $ |
| 2. | ქლორის დოზა: ა) ამონატრების საშუალოთა რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{X}}_j$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -0.4343[\exp(-81.857 +$ $+ 131.733 \cdot \bar{\mathbf{X}}_j)]$ $\bar{\mathbf{X}}_j \in [0.61, 0.625]$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -0.4343[\exp(73.855 -$ $- 123.5 \cdot \bar{\mathbf{X}}_j)]$ $\bar{\mathbf{X}}_j \in [0.594, 0.61]$ | $X=0.61, \text{ გაშინ}$ $C_j = -0.097; X=0.625,$ $\text{გაშინ } C_j = -0.699. \text{ ქ. o.}$ $ 0.097 < 0.699 $ |
| 3. | უანველობა: ა) ამონატრების საშუალოთა რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j}$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -1.4343[\exp(-50.61 +$ $+ 48.195 \cdot \bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j})]$ $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j} \in [1019, 1.06]$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -0.4343[\exp(39.593 -$ $- 40.327 \cdot \bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j})]$ $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j} \in [0.97, 1.019]$ | $X=1.019, \text{ გაშინ}$ $C_{\beta_j} = -0.097; X=1.06,$ $\text{გაშინ } C_{\beta_j} = -0.7. \text{ ქ. o.}$ $ 0.097 < 0.7 $ |
| 4. | ბაქტერიების საერთო რაოდენობა: ა) ამონატრების საშუალოთა რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j}$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -0.4343[\exp(-6.096 +$ $+ 0.383 \cdot \bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j})]$ $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j} \in [120, 17.16]$ | $C_{\bar{\mathbf{x}}_j}^{\text{გელ}} = -0.4343[\exp(3.096 -$ $- 0.383 \cdot \bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j})]$ $\bar{\mathbf{X}}_{j,\beta_j} \in [684, 12.0]$ | $X=12.0, \text{ გაშინ}$ $C_{\beta_j} = -0.097; X=17.16,$ $\text{გაშინ } C_{\beta_j} = -0.7. \text{ ქ. o.}$ $ 0.097 < 0.7 $ |

„ლოგიკური კავშირების“ განმასზღვრული მოდელები უძღვნილი სამგრადის წარადგინების წყლის გაჩენის ტექნოლოგიური პროცესის

ცხრილი 5

| ნ. 2 | შედეგის გრაფიკი მოდელები | შედეგის გრაფიკი მოდელები | საილუსტრაციო მაგალითები გაანგარიშებული მოდელებზე |
|------|---|---|---|
| 1. | ზედა გამა: ურთხილებელი ს. ზღვიკი, ჟესაბარისად ა) გამჭვირვალობა: სამუშაოობას რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{x}}_{1,15}$ | $\frac{dc}{dx_{\delta^{\alpha} \beta_3}} = 0.4343 \cdot 0.973 \cdot [\exp(30.745 - 0.973 \cdot \bar{\mathbf{x}}_{\delta^{\alpha} \beta_3})]$ $\bar{\mathbf{x}}_{\delta^{\alpha} \beta_3} \in [31.11, 33.14]$ | ზე-3 გრაფიკ ჟესაბარისად $X=31.11, \partial_x = 0.686; X=33.14,$ $\frac{dc}{dx_{\delta^{\alpha} \beta_3}} = 0.094 \cdot \partial_x$ $0.094 < 0.686$ |
| 2. | ზეორიგის დონა: ა) ამონაკრების სამუშაოობას რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{x}}_{1,15}$ | $\frac{dc}{dx_j} = 0.4343 \cdot 1 \cdot 1.733 \cdot [\exp(-818.57 + 131.733 \cdot \bar{\mathbf{x}}_j)]$ $\bar{\mathbf{x}}_j \in [061.0, 625]$ | ზე-3 გრაფიკ ჟესაბარისად $X=0.61, \partial_x = 12.77; X=0.625, \partial_x = 12.77$ $\frac{dc}{dx_j} = 92.1 \cdot \partial_x$ $12.77 < 92.1$ $11.97 < 86.33$ |
| 3. | ზენდენალობა: ა) ამონაკრების სამუშაოობას რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{x}}_{1,15}$ | $\frac{dc}{dx_{\delta^{\alpha} \beta_0}} = 0.4343 \cdot 48.195 \cdot [\exp(-50.61 + 48.195 \cdot \bar{\mathbf{x}}_{\delta^{\alpha} \beta_0})]$ $\bar{\mathbf{x}}_{\delta^{\alpha} \beta_0} \in [11.019, 1.06]$ | ზე-3 გრაფიკ ჟესაბარისად $X=1.019, \partial_x = 4.673; X=1.06,$ $\frac{dc}{dx_{\delta^{\alpha} \beta_0}} = 33.714 \cdot \partial_x$ $4.673 < 33.714$ $3.907 < 28.185$ |
| 4. | გაქტირიების სატრან ა) ამონაკრების სამუშაოობას რეალიზაციისათვის - $\bar{\mathbf{x}}_{1,15}$ | $\frac{dc}{dx_{\delta^{\alpha} \beta_0}} = 0.4343 \cdot 0.383 \cdot [\exp(30.096 - 0.383 \cdot \bar{\mathbf{x}}_{\delta^{\alpha} \beta_0})]$ $\bar{\mathbf{x}}_{\delta^{\alpha} \beta_0} \in [684.12, 0]$ | ზე-3 გრაფიკ ჟესაბარისად $X=12.0, \partial_x = 0.037; X=17.16,$ $\frac{dc}{dx_{\delta^{\alpha} \beta_0}} = 0.268 \cdot \partial_x$ $0.037 < 0.268$ |

3.4. ქ. თბილისის წყალსადენის სამგორის გამწმენდი ნაგებობების ოპერატიული მართვის გადაწყვეტილებათა მიღების სტრატეგიების შერჩევა წყლის გაწმენდის პროცესის მართვის მიზნით

ოპერატიულ-სადისპეტჩერო პერსონალი, რომელიც მართავს წყლის გაწმენდის ტექნოლოგიურ პროცესს, არც თუ ყოველთვის არის ახლოს პროცესის მსვლელობის მიზანდასახულ პირობებთან, ამიტომ, გადაწყვეტილებათა მიღებაში ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევას, წყლის გაწმენდის დამყარებული პროცესის შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალურ მართვას და შესაბამისად, გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტურ სტრატეგიას, მიმართავენ ოპერატიული მართვის ხარისხობრივი შეფასებისათვის საპროგნოზო მოდელების აგებას. თეორიული წინამდლვრები აღნიშნული ტიპის მოდელების აგების შესახებ მოცემული იყო ადრე განხილულ ქვეთავებში. აქ შეიძლება აღინიშნოს ის გარემოება, რომ ცალკეული საკონტროლო რუკები, ასევე აკუმულაციური ჯამის რუკები და სხვა სკალები არ იძლევიან პროცესის ხარისხობრივი შეფასების სრულ საშუალებას ოპერატიულ მართვაში (დინამიკაში). თავისი შინაარსით წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესი წარმოადგენს ოპერატიული ოპტიმიზაციის ამოცანას.

გამოვყოთ ორი შემთხვევა – პროცესის ოპტიმალური მართვის პრინციპების ჩამოყალიბება პარამეტრის ნომინალის შესაბამისად და ნომინალის არის ცვალებადობის საზღვრების შესაბამისად, ტექნოლოგიური პროცესისათვის საპროგნოზო მოდელების აგებით. ეს მოდელები ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დიაგნოსტიკური მდგომარეობის სუბიექტურ-ხარისხობრივი შეფასებისათვის („დამაკმაყოფილებელი“, „კარგი“, „ძალიან კარგი“ სკალური გრადაციებით), ასევე საპროგნოსტიკო მიზნებისათვის პარამეტრის შესაძლო მნიშვნელობის შერჩევის მიზნით. აღნიშნული ტიპის მოდელებს მართვის მოდელებს ვუწოდებთ იმ მოსაზრებით, რომ ისინი პროცესზე ზემოქმედების და ხარისხის მახასიათებელ პარამეტრებზე ვარირების საშუალებას იძლევიან. ასეთი ტიპის მოდელები ჯამში საშუალებას იძლევიან, შემუშავებულ იქნას გადაწყვეტილებათა მიღების წესები ნომინალურ არეებში მართვის მიზნით. გადაწყვეტილებათა მიღების ეს წესები

შემოიფარგლება ორი პუნქტით: 1. წყლის გაწმენდის საერთო ხარისხობრივი შეფასება ჩაითვლება „დამაკმაყოფილებლად”, „კარგად” ან „ძალიან კარგად” მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად მოქმედი წყლის გაწმენდის მახასიათებელი პარამეტრის თითოეული შეფასება მიღებული მოდელების მიხედვით არანაკლება $P \geq 0.37$ -ზე; 2. წყლის გაწმენდის საერთო ხარისხობრივი შეფასება ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც $P < 0.37$ -ზე. ამ შემთხვევაში გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად (ერთი „შემჩნეული” პარამეტრის ფიქსირებისასაც კი), რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ რომელიმე მახასიათებელი პარამეტრი (ან პარამეტრები) გამოსულია საკონტროლო რუკების გამაფრთხილებელი საზღვრებიდან, მაშინ პროცესის სტაბილურ მდგომარეობაზე გადასაყვანად საჭირო იქნება „შემჩნეული” პარამეტრების კორექცია ზემოთ მოყვანილი ღონისძიებების შესაბამისად.

სამგორის სადგურისათვის შედგენილი საპროგნოზო მოდელები მოცემული პარამეტრებისათვის მოყვანილია მე-6 ცხრილში, ხოლო საილუსტრაციო მაგალითები აღნიშნულ მოდელებზე ასახულია მე-3 და მე-4 გრაფებში. წარმოდგენილი მოდელების პრაქტიკული გამოყენება ოპერატიულ მართვაში არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს.

მრავალპარამეტრიანი ოპტიმიზაციის მეორე შემთხვევა წარმოადგენს შედგენილი მოდელების განვითარებას ოპტიმიზაციური მიზნების მისაღწევად. თეორიული წინამდლვრები აღნიშნული ჰიპის მოდელების შესადგენად ზემო ქვეთავში იყო მოცემული, ეს მოდელები წარმოდგენილი იყო ორ ქვეტიპად: “აზრობრივი შინაარსის” გამომხატველი მოდელები და “ლოგიკური კავშირების” განმსაზღვრელი მოდელები.

“აზრობრივი შინაარსის” გამომხატველი მოდელების დანიშნულებაა გადაწყვეტილებათა მიღების ფარდობით მიზანშეწონილობის შერჩევა მახასიათებელი პარამეტრის ნომინალების მიხედვით. პარამეტრის შეფასებაში “აზრობრივი შინაარსი” აღწევს თავის მაქსიმუმს, როდესაც $X_{\text{შესარჩევი}} = \bar{X}_{\text{ნომ.}}$ სიდიდეს თითოეული განსაზილებლი შემთხვევისათვის. აზრობრივი შინაარსის მოდელები სამართლიანია საკონტროლო რუკების გამაფრთხილებელი (ზედა და ქვედა) საზღვრების ფარგლებში. „აზრობრივი შინაარსის” გამომხატველი მოდელები, შედგენილი სამგორის

წყლის გამწმენდი სადგურის ტექნოლოგიური პროცესის ხარისხის მახასიათებელი პარამეტრებისათვის მისთვის ეფექტურ გადაწყვეტილებათა მიღების მიზნით მოყვანილია მე-4 ცხრილში, ხოლო მათ მიხედვით გაანგარიშებული საილუსტრაციო მაგალითები დემონსტრირდება მე-3 და მე-4 გრაფებში. ისევე როგორც საპროგნოზო მოდელების გამოყენება, აგრეთვე „აზრობრივი შინაარსის“ გამომსატველი მოდელების გამოყენებაც არ არის დაკავშირებული რაიმე სიძნელესთან. განსახილველლი დარჩა მხოლოდ “ლოგიკური კავშირების” განმსაზღვრელი მოდელები. ამ ტიპის მოდელების დანიშნულებაა ნაჩვენები იქნას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში $X_{\text{შესარჩევი}}$ პარამეტრის ცვლილების მიზანშეწონილობა და ამ მიზანშეწონილობის ხარისხი. მე-5 ცხრილში მოყვანილია „ლოგიკური კავშირების“ განმსაზღვრელი მოდელები შედგენილი სამგორის გამწმენდი სადგურისათვის, ხოლო იქნა, მე-3 და მე-4 გრაფებში მოცემულია ამ მოდელებზე ჩატარებული ანგარიშის შედეგები პარამეტრების ნომინალური არის ცვალებადობის შესაბამისად.

ამრიგად, შედგენილი სახის მოდელები „აზრობრივი შინაარსის“ და „ლოგიკური კავშირების“ განმსაზღვრელი მოდელები, საკონტროლო რუკებთან ერთად წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტულ საშუალებას წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული მართვისათვის. აღნიშნული რუკები და მოდელები პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ოპერატიული მართვის პერსონალის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების სტრატეგიის შერჩევაში და თუ ჩვენ შევძლებთ ამ მოდელების გადატანას კომპიუტერში, მაშინ აღნიშნული ტიპის მოდელების გამოყენების ეფექტურობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამ შემთხვევაში ოპერატიული მართვის პერსონალისათვის კომპიუტერი იქნება ე.წ. „კეთილი მრჩეველი“ ნების-მიერი არაორდინარული სიტუაციის წარმოსახვისა და გადაწყვეტისათვის. ასეთ პირობებში რეკომენდებულია „ადამიანი-მანქანა“ პრინციპით სისტემის ოპერატიული მართვის ორგანიზაცია.

სამეცნიერო გამუშავების დაწესენის წყლის გაწევენის განასაზღვრებელი კარავეტრობისათვის გამაფრთხილებელი საზღვრებელი შესაბამისად, ოპერატორი მართვის ნარისხის განვითარების შეცასებისათვის აგებული საღიანოსტიკო მოდელები

ცხრილი 6

| | | | | | |
|----|---|--|--|---|--|
| № | წყლის გაწევენის ნარისხის განვითარების დაწესენის განვითარებისათვის გამაფრთხილებელი საზღვრებელი შესაბამისად, | წელი გამაფრთხილებელი საზღვრის შესაბამისად | წელი გრაფის შესაბამისად | საილუსტრაციო მაგალითები გაანგარიშებული მოდელებზე | |
| | | | | მოც. $\mathbf{X}_{\delta, \beta} = 32.0$, | მოც. $\mathbf{P}_{\mathbf{X}_{\delta, \beta}} = 0.508$. |
| 1. | ა) განვითარება: სამუნაკებელი კარავეტრობის დასახელება: $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta}$ | ზედა გამ. ფრთხილებელი საზღვრის შესაბამისად | $P_{\mathbf{X}_{\delta, \beta}}^{წელი} = \exp[-\exp(30.745 -$ $- 0.973 \cdot \bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta})]$ $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta} \in [31.11, 33.14]$ | — | ვინაიდან $0.508 \in [0.37, 0.63]$, ამიტომ გვენება დამტკიცოთ, შეცვალა |
| 2. | ა) ქლორინ დოზა: სამუნაკებელი კარავეტრობის დასახელება: $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta}$ | $P_{\mathbf{X}_{\delta, \beta}}^{წელი} = e^{\rho[-\exp(-81.857 +$ $+ 131.733 \cdot \bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta})]}$ $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta} \in [0.61, 0.625]$ | $P_{\mathbf{X}_{\delta, \beta}}^{წელი} = \exp[-\exp(73.835 -$ $- 123.5 \cdot \bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta})]$ $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta} \in [0.594, 0.61]$ | მოც. $\mathbf{X}_{\delta} = 0.615$, | მოც. $\mathbf{X}_{\delta} = 0.6$, კაშინ მაშინ $\mathbf{P}_{\mathbf{X}_{\delta}} = 0.649$. |
| 3. | ა) ჟანგვალობა: სამუნაკებელი კარავეტრობის დასახელება: $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta}$ | $P_{\mathbf{X}_{\delta, \beta}}^{წელი} = \exp[-\exp(-50.61 +$ $+ 48.195 \cdot \bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta})]$ $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta} \in [0.019, 0.06]$ | $P_{\mathbf{X}_{\delta, \beta}}^{წელი} = \exp[-\exp(39.593 -$ $- 40.327 \cdot \bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta})]$ $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta} \in [0.971, 0.19]$ | მოც. $\mathbf{X}_{\delta, \beta} = 1.05$, | ვინაიდან $0.649 \in [0.63, 0.8]$, ამიტომ გვენება დარიგ შევასრა |
| 4. | ბაქტერიების საერთო რაოდენობა: ა) ამონაკრების სამუნაკებელი კარავეტრობის დასახელება: $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta}$ | $P_{\mathbf{X}_{\delta, \beta}}^{წელი} = \exp[-\exp(-6.096 +$ $+ 0.383 \cdot \bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta})]$ $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta} \in [12.0, 17.16]$ | $P_{\mathbf{X}_{\delta, \beta}}^{წელი} = \exp[-\exp(3.096 -$ $- 0.383 \cdot \bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta})]$ $\bar{\mathbf{X}}_{\delta, \beta} \in [6.84, 12.0]$ | მოც. $\mathbf{X}_{\delta, \beta} = 15.0$, | მოც. $\mathbf{X}_{\delta, \beta} = 10.0$, |
| | | | | მაშინ $\mathbf{P}_{\mathbf{X}_{\delta, \beta}} = 0.495$. | მაშინ $\mathbf{P}_{\mathbf{X}_{\delta, \beta}} = 0.619$. |
| | | | | ვინაიდან $0.495 \in [0.37, 0.63]$, ამიტომ გვენება დამტკიცოთ, შეცვალა | ვინაიდან $0.619 \in [0.63, 0.8]$, ამიტომ გვენება დამტკიცოთ, შეცვალა |

3.5. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მართვის დესკრიფციული (აღწერითი) მოდელების შედგენა ქ. თბილისის ღრმაღლის გამწმენდი სადგურისათვის


ქვეთავში განხილულია წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მახა-
სიათებელი პარამეტრების რეგულირებისა და ხარისხის მართვის დესკრიფციული
ტიპის მოდელების შედგენა ქ. თბილისის ღრმაღლის გამწმენდი სადგურის მაგა-
ლითზე.

პროცესგანმაპირობებელი პარამეტრების შესაბამისად, წყლის გაწმენდის
ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიულ-სადისპეტჩერო მართვის სტრატეგიის
შემუშავების მიზნით შემოთავაზებულია ამ პარამეტრების ნომინალისა და მისი
ცვლილების არების (ზედა და ქვედა მაფრთხილებელი და სარეგულაციო
საზღვრები) დადგენის შესაძლებლობა წინასწარ შედგენილი დესკრიფციული
მოდელების გამოყენებით. გადაწყვეტილებათა მიღების წესი ასეთ შემთხვევაში
შემოიფარგლება ორი პუნქტით: 1. წყლის გაწმენდის საერთო ხარისხობრივი
შეფასება ჩაითვლება “დამაკმაყოფილებლად”, “კარგად” ან “ძალიან კარგად”
მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად მოქმედი წყლის
გაწმენდის მახასიათებელი პარამეტრის თითოეული შეფასება მიღებული მოდელების
მიხედვით, სულ მცირე, $P \geq 0.37$ -ია. 2. წყლის გაწმენდის საერთო ხარისხობრივი
შეფასება ჩაითვლება “არადამაკმაყოფილებლად” მხოლოდ და მხოლოდ იმ
შემთხვევაში, როდესაც $P < 0.37$. ამ შემთხვევაში გაწმენდის ტექნოლოგიური
პროცესი მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად (ერთი “შემჩნეული” პარამეტრის
შემთხვევაშიც კი), რაც გამოიხატება იმაში, რომ მახასიათებელი პარამეტრი
გამოსულია საკონტროლო რუკების მაფრთხილებელი საზღვრებიდან.

პროცესის სტაბილურ მდგომარეობაზე მისაყვანად საჭირო იქნება მოცემული
წესის შესაბამისად “შემჩნეული” პარამეტრების კორექცია განსაზღვრული ნომინალის
ფარგლებში. აქ P არის ე.წ. “მიზნის მიღწევის” ფუნქცია, რომელიც ასახავს პრო-
ცესგანმაპირობებელი პარამეტრების მიხედვით აგებული საკონტროლო რუკების ზედა
და ქვედა მაფრთხილებელი საზღვრების შესაბამის ხარისხობრივ მდგომარეობას.

მე-7 ცხრილში მოყვანილია ქ. თბილისის ღრმაღლის გამწმენდი სადგურის ოპე-
რატიულ-სადისპეტჩერო მართვისთვის შედგენილი სუბიექტურ-ხარისხობრივი შეფა-

სების და პროგნოზირების დესკრიფტოლი ტიპის მოდელები. ამ მოდელების დახმარებით მე-8 ცხრილში წარმოდგენილია ქ. თბილისის წყალსადენის ორმაღლელის გამწმენდი საღვურის ბუნებრივი და სასმელი წყლის ხარისხის სეზონური ცვალებადობის სუბიექტურ-კრიტერიული შეფასების შედეგები პროცესგანმაპირობებელი პარამეტრის შესაბამისად, რომლთა გრაფიკული ინტერპრეტაცია მოცემულია მე-5 ნახ-ზე.



ნახ. 9. ქ. თბილისის ორმაღლელის გამწმენდი საღვურის ბუნებრივი და სასმელი წყლის ხარისხის სეზონური ცვალებადობის სუბიექტურ-კრიტერიული შეფასება
მახასიათებელი პარამეტრების მიხედვით

მე-7 ცხრილში წარმოდგენილი დესკრიფციული მოდელები საშუალებას იძლევა, მოცემული პროცესგანპირობებელი პარამეტრების მიხედვით განისაზღვროს სასმელი წყლის შესაბამისი ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასებები.

ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასებები ზოგადად განისაზღვრება $0 \leq d_i \leq 1$ დრაპაზონში (როდესაც $d_i = 0$, აღინიშნება პარამეტრის ხარისხობრივი შეფასების აბსოლუტურად “ცუდი” მნიშვნელობა, ხოლო როდესაც $d_i = 1$, მაშინ აღინიშნება პარამეტრის “ძალიან კარგი” მნიშვნელობა). შესაბამისად, ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების სხვა გრადაციები d_i -სათვის იქნება: $0 \leq d_i \leq 0,33$ – “ცუდი მდგო-მარეობა” (i -აღნიშნავს i -ურ პროცესგანმაპირობებელ პარამეტრს); $0,33 \leq d_i < 0,67$ – „შუალედური მდგომარეობა”; $0,67 \leq d_i \leq 1$ – „კარგი და ძალიან კარგი” მდგომარეობა. ამის გათვალისწინებით ერთობლივი კრიტერიული შეფასებები განისაზღვრება ფორმულით: $D = \sqrt[n]{d_1 \times d_2 \times \dots \times d_n}$, რომლის ცვლილების არე განისაზღვრება $0 \leq D \leq 1$ ფარგლებში. აქვე აღსანიშნავია, რომ D სკალური მნიშვნელობები შეფასდება იმავე ზემოთ წარმოდგენილ ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასებების გრადაციებში, რაც ამ მიზგომის დადებით მაჩვენებლად ითვლება. როდესაც რომელიმე პროცესგანმაპირობებელი პარამეტრის ხარისხობრივი შეფასება “ცუდი” აღმოჩნდება (ანუ 0 -ის ტოლია), მაშინ ერთობლივი შეფასებაც მიიღებს “ცუდ” ხარისხობრივ შეფასებას (ანუ პროცესი საჭიროებს გარკვეულ კორექციას).

ცხრილი 7

ქ. ობილისის დოკუმენტის გამჭველი სადგურისათვის შედგენილი სასტელი წყლის ხარისხის შეფასების

დესკრიპტორებით გიპის მოდელები

| | | | |
|----------------|--|---|---|
| N _o | წყლის ხარისხის მახასიათებელი პარამეტრი | პარამეტრის ცვალებასთვის არე სუბიექტურ-კრიტიკული მაჩვენებლის მიხედვით | მოცველული პარამეტრისათვის შედგენილი წყლის ხარისხის შეფასების მოდელი |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ტემპერატურა, $t^0 C$ | $17^0 - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $8^0 - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_\delta = \exp[-\exp(-3,256 + 0,228)]$ |
| 2 | გამჭვირვალობა, C^a | $29\delta\vartheta - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $50\delta\vartheta - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_{\delta\vartheta} = \exp[-\exp(3,205 - 0,094_{\delta\vartheta}]$ |
| 3 | FT_U პანგენერელი | $3,6 - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $2,6 - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_{FTU} = \exp[-\exp(-6,638 + 1,976_{FTU})]$ |
| 4 | ყვერი, გრად. | $30,1 - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $0,01 - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_{q\vartheta\alpha} = \exp[-\exp(-1,5006 + 0,0656_{q\vartheta\alpha})]$ |
| 5 | სუნი, ბალი | $5 - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $0,01 - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_{b\vartheta\beta} = \exp[-\exp(-1,5036 + 0,396_{b\vartheta\beta})]$ |
| 6 | გემო, ბალი | $0,001 - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $0,0001 - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_{\alpha\vartheta\beta} = \exp[-\exp(-1,72 + 2195,5_{\alpha\vartheta\beta})]$ |
| 7 | PH | $6 - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $9 - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_{PH} = \exp[-\exp(4,431 - 0,659PH)]$ |
| 8 | $(NH_3 + NH_4),$ $\vartheta_\delta/\varrho\beta^3$ | $0,01 - d = 0,2 \rightarrow$ ცვლი $0,001 - d = 0,8 \rightarrow$ კარგი | $d_{NH_3 + NH_4} = \exp[-\exp(-1,72 + 2195,5_{NH_3 + NH_4})]$ |

ცხრილი 7-ის გავრცელებას

| | | | |
|----|---------------------------------------|--|--|
| 9 | ნარჩ. ქლორინი, მგ/დგ ³ | 0,5-დ = 0,2 → ცუდი 0,8-დ = 0,8 → კარგი | $d_{6,\text{f}} = \exp[-\exp(-3,77 + 6,587_{\text{f},\text{დგ}})]$ |
| 10 | ქლორიდები, მგ/დგ ³ | 300-დ = 0,2 → ცუდი 0,5-დ = 0,8 → კარგი | $d_{\text{დგ.}} = \exp[-\exp(-1,503 + 0,0066_{\text{დგ.}})]$ |
| 11 | ჰანგმადობა, მგ/დგ ³ | 3,0-დ = 0,2 → ცუდი 0,8-დ = 0,8 → კარგი | $d_{\text{ფნ.}} = \exp[-\exp(-2,218 + 0,898_{\text{ფნ.}})]$ |
| 12 | საერთო სიხისტე, მგ/დგ ³ | 10-დ = 0,2 → ცუდი 0,5-დ = 0,8 → კარგი | $d_{\text{ს.ხის}} = \exp[-\exp(-1,604 + 0,208_{\text{ს.ხის}})]$ |
| 13 | ნარჩ. ალუმინი, მგ/დგ ³ | 0,5 → დ = 0,2 → ცუდი 0,01 → დ = 0,8 → კარგი | $d_{\text{6,სკ}} = \exp[-\exp(-1,54 + 4,033_{\text{6,სკ.}})]$ |
| 14 | C_0 ონდექსი (სუფთა წყლის) | 3-დ = 0,2 → ცუდი 0,01-დ = 0,8 → კარგი | $d_{C_0} = \exp[-\exp(-1,507 + 0,66C_0)]$ |
| 15 | ბაქტერიუმის რაობა | 50-დ = 0,2 → ცუდი 1-დ = 0,8 → კარგი | $d_{\text{ბა.დ.}} = \exp[-\exp(-1,54 + 0,04_{\text{ბა.დ.}})]$ |
| 16 | C_0 ონდექსი (ბუნებრივი წყლის) | 300-დ = 0,2 → ცუდი 1-დ = 0,8 → კარგი | $d_{C_{0,k}} = \exp[-\exp(-1,5066 + 0,0066C_{0,k})]$ |

უკავშირი: $0 \leq d_i \leq 0,33$ — ჰესაბამება „ცუდ“ მდგრადადას;

$0,33 \leq d_i \leq 0,67$ — ჰესაბამება „უსაღელურ“ მდგრადადას;

$0,67 \leq d_i \leq 1$ — ჰესაბამება „კარგ“ ან ძლიერ კარგ“ მდგრადადას;

| ტელიკონის სარიცხვის საშინეული პრიზმული გეფასება | | | | | | | |
|---|----------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|-------------------------------|------------------------------------|
| Nº | მასასიათებალი აარამდრი | $d_{\text{აარ}}$ | $d_{\text{აარ}}$ | $d_{\text{აარ}}$ | $d_{\text{აარ}}$ | $D_{\text{აარ}}$ | d |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1 | ტემპერატურა, t^0C | $\frac{0,86(6)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,43(14)}{\text{გუალედ}}.$ | $\frac{0,27(18)}{\text{გუალედ}}.$ | $\frac{0,43(14)}{\text{გუალედ}}.$ | $\frac{0,45}{\text{გუალედ}}.$ | $\frac{0,51(13)}{\text{გუალედ}}.$ |
| 2 | გამჭვირვალობა, სა გარგი | $\frac{0,8(50)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,7(45)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,56(40)}{\text{გუალედ}}.$ | $\frac{0,7(45)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,68}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,0(13)}{\text{გუალედ}}.$ |
| 3 | FT_U -ააჩვენებელი | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,28(3,5)}{\text{გუალედ}}.$ |
| 4 | ფარი, გრად. | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ |
| 5 | სუნი, გალი | $\frac{0,8(0,001)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,61(2)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0,001)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0,001)}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,75}{\text{გარგი}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგი}}$ |

0სერიუმი 8-ის გაგრძელება

| | | | | | |
|----|------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|------------------------------------|------------------------------------|
| 6 | გვეთ, ბალი | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ |
| 7 | PH | $\frac{0,23(7,8)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,64(8)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,55(7,5)}{\text{შუალედ.}}$ | $\frac{0,57(7,6)}{\text{შუალედ.}}$ |
| 8 | $(NH_3 + NH_4)$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(0)}{\text{გარგო}}$ |
| 9 | ნარჩელორი, მგ/ლგ³ | $\frac{0,67(0,7)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,67(0,7)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,67(0,7)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,67(0,8)}{\text{გარგო}}$ |
| 10 | ქლორიდები, მგ/ლგ³ | $\frac{0,8(7,5)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(7,5)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,8(7,5)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,79(6,5)}{\text{გარგო}}$ |
| 11 | ჟანგვალობა, მგ/ლგ³ | $\frac{0,97(0,88)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,84(0,56)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,78(0,88)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,83(0,56)}{\text{გარგო}}$ |
| 12 | საერთო ხიხისგვ, მგ/ლგ³ | $\frac{0,71(2,6)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,71(2,6)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,71(2,6)}{\text{გარგო}}$ | $\frac{0,71(2,6)}{\text{გარგო}}$ |

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

| | | | | | | |
|----|--|-----------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|-----------------------------|
| | | | | | | |
| 13 | ნარჩ. ალუმინი, მგ/დგვ ³ | $\frac{0,74(0,08)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,74(0,08)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,74(0,08)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,74(0,08)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,74}{\text{კარგი}}$ |
| 14 | C_0 ონდექტი | $\frac{0,8(0,01)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8(0,01)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8(0,01)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8(0,01)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8}{\text{კარგი}}$ |
| 15 | პაქტიკური გასის რაოდენობა | $\frac{0,8(1)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8(1)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8(1)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8(1)}{\text{კარგი}}$ | $\frac{0,8}{\text{კარგი}}$ |
| 16 | C_0 / ონდექტი (ბუნებრივი შემთხვევა) | — | — | — | — | — |

შენიშვნა: $\frac{0,86(6)}{0,86(6) - 0,86(6) \cdot 0,86(6)}$ აღნიშნავს ხარისხობრივი შეფერხების სიდიდეს, როდესაც $t = 6^0 C$, ხოლო მთლიანი გარემოს და მიმართულების გარემოს გარემოს მატების მიზანი.

**თავი 4. გამოყენის სადგურის ფილის
გამოყენის ტექნიკური პროცესის
ორგანიზაციულ-სისტემური გამოკვლევა**

**4.1. ორგანიზაციულ-სისტემური გამოკვლევის
ზოგადი მეთოდოლოგიური ასპექტები**


ისევებ როგორც სხვა საგნობრივ დარგებში, წყალმომარაგების სისტემებშიც აქტიურად გამოიყენება სისტემური კვლევის თეორია. აღსანიშნავია, რომ სისტემური კვლევის მეთოდოლოგია პირველად გამოყენებულ იქნა ზუსტ მეცნიერებათა სფეროში და ტექნიკაში [52-55]. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადად სისტემების თეორიის გამოყენება ტექნიკური სისტემების მართვაში აღინიშნა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. სისტემური მიდგომა არ არის მხოლოდ რაიმე პრინციპისა და მართვის სახელმძღვანელოების ერთობლიობა, არამედ ის სისტემის მართვის ორგანიზა-ციისადმი დამოკიდებულების გარკვეული ხერხია.

ტექნიკური სისტემა, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტების (შემადგენელი ნაწილების) განსაზღვრული ერთობლიობისგან, ზოგადად ხასიათდება შემდეგი თვისებებით (რომლებიც უცილობლად ვრცელდება წყლის გამწმენდი სადგურის სისტემის შემთხვევაშიც):

- სისტემა მიზანმიმართულია განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ამავე დროს, ელემენტთა შემადგენლობას ცალკეული შემდგენების მიხედვით, აქვს საკუთარი მიზნები, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილოს სისტემის ერთიანი მიზანი;
- სისტემას აქვს სტრუქტურა, რომელიც განისაზღვრება ელემენტთა შორის კავშირების ქსელით;
- სისტემას აქვს თვითორგანიზაციის უნარი;
- სისტემა ხასიათდება ისეთი თვისებებით, რომელსაც არ ფლობს არც ერთი ცალკე აღებული შემადგენელი ელემენტი (მაგალითად, სისტემის მუშაუნარიანობა, რომელიც შედგება ორგანიზაციის ორი ნაწილისგან – ესაა ტექნოლოგიური და სოცი-ალური ქვესისტემები. არც ერთ ამ ქვესისტემას ცალკე ეს თვისება არ გააჩნია);
- სისტემა ფლობს ერთიანობის – ურთიერთდაკავშირებულობის თვისებას.

ამრიგად, ყოველი წარმოდგენილი ორგანიზაცია შეადგენს სისტემას, რომელიც ხასიათდება ურთიერთდაკავშირებული ნაწილების მთლიანობით. ამავე დროს, თითოეულ ელემენტს გააჩნია თავისი წილი ერთიანში. რადგანაც ადამიანები წარმოადგენენ წყლის გამწმენდი სადგურის (როგორც ორგანიზაციის) აუცილებელ სოციალურ კომპონენტებს (რომლებიც განაგებენ და მართავენ ტექნიკურ საშუალებებს), ამიტომ ისინი ერთად შეადგენენ ე.წ. სოციალურ-ტექნიკურ სისტემებს. წყლის გამწმენდი სადგურის ტექნოლოგიური პროცესიც შეიძლება წრმოდგენილ იქნას, როგორც ერთიანი სიციალურ-ტექნიკური სისტემა. ადამიანი-ოპერატორი ამ შემთხვევაში აანალიზებს არა მარტო საწყის ინფორმაციას და პროცესგანმაპირობებელ ფაქტორებს, არამედ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს წყლის გაწმენდის ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში საწყისი წყლის ხარისხის შესაბამისად.

ორგანიზაციის სისტემურობა, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს წყლის გამწმენდი სადგურის ფუნქციონირებას, მოყვანილია მე-10 ნახ-ზე.



ნახ. 10. ორგანიზაციის სისტემურობის მახასიათებელი ბლოკ-სქემა

წყლის გამწმენდი სადგური შეადგენს ერთ მთლიან სისტემას, რომელიც შექმნილია ნაწილებისა და ელემენტებისაგან მიზანმიმართული საქმიანობისთვის. ამ სისტემის ნიშნები ზოგადად ასე ხასიათდება:

- ელემენტებისა და ნაწილების სიმრავლე;
- ძირითადი მიზნის ერთიანობა ყველა ელემენტისა და ნაწილებისთვის;
- კავშირების არსებობა ელემენტებს ან ნაწილებს შორის;
- ელემენტების ან ნაწილების მთლიანობა და ერთიანობა;
- სტრუქტურა და იერარქიულობა;
- შედარებითი დამოუკიდებლობა;
- მკვეთრად გამოხატული მართვადობა.

სისტემა შეიძლება დაიყოს რიგ ქვესისტემებად. ქვესისტემა ელემენტების კრებულია, რომელიც წარმოადგენს ავტონომიურ ნაწილს სისტემის შიგნით (მაგალითად, ეპონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ტექნიკური ქვესისტემები).

ასეთი რთული სისტემის მსხვილი შემდგენები, როგორიცაა ორგანიზაცია, ადამიანი ან მოწყობილობა, ხშირად თვითონაც სისტემებს წარმოადგენს. ამ ნაწილებს ქვესისტემები ეწოდება. ქვესისტემის ცნება მნიშვნელოვანი ცნებაა ორგანიზაციის მართვაში. ორგანიზაციის მართვის მიზნით აყალიბებენ გარკვეულ ქვესისტემებს თავად ორგანიზაციის შიგნით. ისეთი სისტემები, როგორიცაა მართვა და მართვის სხვადასხვა დონეები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთლიანად ორგანიზაციაში. თავის მხრივ, ქვესისტემა შეიძლება შედგებოდეს უფრო მცირე ქვესისტემებისგან. რადგან ისინი ყველა ურთიერთდამოკიდებულია, ყველაზე მცირე ქვესისტემის არასწორმა ფუნქციონირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მთლიანად სისტემაზე. იმის გაცნობიერება, რომ ორგანიზაცია არის რთული და, ამავე დროს, ღია სისტემა, რომელიც შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემისაგან, გვეხმარება ნებისმიერი სისტემის მეცნიერული კვლევის ჩატარებაში.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ სისტემური თეორია არის ორგანიზაციის მუშაობის დახასიათების საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტი. ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება, რომ გარეგანი ძალები შეიძლება იყოს ორგანიზაციის წარმატებულობის ძირითადი დეტერმინანტები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ მართვის არსენალის რომელი საშუალება შეიძლება აღმოჩნდეს შესაფერისი და, სავარაუდოდ, ყველაზე წარმატებულიც.

სისტემის თვისებებია ის, რომ:

- სისტემა ცდილობს შეინარჩუნოს თავისი სტრუქტურა (ეს თვისება დაფუძნებულია ორგანიზაციის ობიექტურ კანონზე – თვითშენარჩუნების კანონზე);
- სისტემას აქვს მართვის მოთხოვნილება;
- სისტემაში ყალიბდება რთული დამოკიდებულება მასში შემავალი ელემენტების და ქვესისტემების თვისებებზე.

ზოგადად, ნებისმიერი სისტემა (მათ შორის წყლის გამწმენდი სადგურებიც) შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას შემდეგი მახასიათებლებით:

- ტექნიკური ქვესისტემა, რომელშიც გადაწყვეტილებათა ნაკრები შეზღუდულია და, ამავე დროს, გადაწყვეტილებათა შედეგები, ჩვეულებრივ, წინასწარ არის განსაზღვრული;
- ბიოლოგიური ქვესისტემა, რომელშიც გადაწყვეტილებათა ნაკრები ასევე შეზღუდულია შედარებით ნელი ევოლუციური განვითარების გამო. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილებათა შედეგები ამ ქვესისტემაში ხშირად წინასწარ არ არის განსაზღვრული;
- სოციალური ქვესისტემა ხასიათდება ადამიანის არსებობით ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობაში. გადაწყვეტილებათა ნაკრები ამ ქვესისტემაში ხასიათდება უფრო დიდი დიაპაზონით, როგორც რაოდენობით, ასევე საშუალებებით და რალიზაციის მეთოდებით;
- ხელოვნური სისტემები იქმნება ადამიანის მიერ მოცემული პროგრამის ან მიზნის რეალიზებისთვის;
- ღია სისტემები ხასიათდება გარემოსთან კავშირის ღია ხასიათით და მასზე ძლიერი დამოკიდებულებით;
- დაზურული სისტემები ხასიათდება უპირატესად შიგა კავშირებით და იქმნება თავისივე პერსონალის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- დეტერმინირებული (ნაწინასწარმეტყველები) სისტემები ფუნქციონირებს წინასწარ მოცემული წესების მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული შედეგით;
- სტოქასტიკური (ალბათური) სისტემები ხასიათდება ძნელად ნაწინასწარმეტყველები გარეგანი და (ან) შინაგანი გარემოს შემავალი ზემოქმედებით და გამომავალი შედეგებით;
- რბილი სისტემები გარე ზემოქმედების მიმართ გამოირჩევა მაღალი მგრძნობიარობით და ამის შედეგად – სუსტი მდგრადობით;

- ხისტი სისტემები – ჩვეულებრივ, ავტორიტარული, ხელმძღვანელების მცირე ჯგუფის მაღალ პროფესიონალიზმზე დაფუძნებული ორგანიზაციებია. ასეთ სისტემებს აქვს მაღალი მდგრადობა გარე ზემოქმედების მიმართ და სუსტად რეაგირებენ მცირე ზემოქმედებაზე;
- ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სისტემა შეიძლება იყოს რთული ან მარტივი, აქტიური ან პასიური.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ ქვესისტემებს ,გადაწყვეტილების რეალიზების შედეგებში აქვთ განუზღვრელობის სხვადასხვა დონე. ამავე დროს, ყოველ ორგანიზაციის უნდა გააჩნდეს აგრეთვე სისტემის ყველა მახასიათებელი ნიშანი. ერთ-ერთი ნიშან-თვისების ამოვარდნაც კი ორგანიზაციას აუცილებლად მიიყვანს მისი ფუნქციონირების დაქვეითებასთან. ამრიგად, ორგანიზაციის სისტემური ხასიათი მისი საქმიანობის აუცილებელი პირობაა. სისტემური მიღვომა მოითხოვს ყველა იმ საკანძო ელემენტის (გარეგანი და შინაგანი) გათვალისწინებას, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე და აგრეთვე რესურსების და დროის დანახარჯებზე.

მთლიანად აღიარებულია, რომ სისტემა, რომელშიც თითოეული ელემენტი (პარამეტრი) დაკავშირებულია ყველა სხვა ელემენტთან (პარამეტრთან) და ერთ-ერთ ელემენტში (პარამეტრში) შეტანილი ცვლილება იწვევს ყველა დანარჩენ ელემენტში (პარამეტრში) ცვლილების შეტანის აუცილებლობას. განკერძოებულად ითვლება სისტემა, რომელშიც ელემენტები (პარამეტრები) ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის (ზოგადად ეს სისტემა არ არის) და ნებისმიერი ელემენტის ცვლილება არ მოითხოვს სხვა ელემენტების შეცვლას.

მთლიანობის და განკერძოების თვისებების შესამება განსაზღვრავს ნებისმიერი სისტემის განვითარების შესაძლებლობას ცალკეული ელემენტების შეცვლის გზით და აგრეთვე განვითარებადი სისტემების დაპროექტების ორგანიზებას. მთლიანობის და განკერძოების თვისებების რაციონალური შესამება იძლევა სისტემის განვითარების შესაძლებლობას მისი მოდერნიზაციის გზით. მთლიანობის დონის მიხედვით შესაძლებელია განვითარების სხვადასხვა დონის განხორციელება. პრაქტიკაში ხშირად მოქმედ სისტემაში ახალი ელემენტების ჩართვა ან მათი მოდერნიზაცია ხორციელდება სისტემის მთლიანობის ხარისხისგან დამოუკიდებლად, მისი სხვა ელემენტების შეცვლის გარეშე.

სისტემის მთლიანობის ხარისხის გაზრდა ხელს უწყობს მისი ეფექტურობის მიღწევას, მაგრამ იწვევს სისტემის სირთულის მატებას და, თავის მხრივ, სისტემის

შექმნის და ექსპლუატაციისთვის საჭირო რესურსების მოთხოვნილების გადიდებას. რაც უფრო განკერძოებულია სისტემა, მით უფრო მოქნილია იგი და ნაკლებად რთულია. მაგრამ, განკერძოების ხარისხის გაზრდა, როგორც წესი, ამცირებს სისტემის ეფექტურობას. მთლიანობისა და განკერძოების თვისებების რაციონალური შეხამება მიზნად ისახავს სისტემის ეფექტურობის და მოქნილობის შეხამებას, მისი სირთულის და რესურსების მოთხოვნილების შეზღუდვას. გარემოს ცვალებადობაზე რეაქციის მოქნილობის გაზრდა თანამედროვე პირობებში წარმოადგენს სტრატე-გიული ხასიათის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზისას ყურადღების ცენტრში შეიძლება აღმოჩნდეს ან ფუნქციური ასპექტი, თუ გამოკვლევა ორიენტი-რებულია ურთიერთობის დინამიკურობაზე, ან მთლიანობის ასპექტი, თუ სისტემა განიხილება სხვა ობიექტებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ანუ უფრო დიდი მთლიანობის ჩარჩოებში. სტრუქტურის დინამიკური გაგება გულისხმობს წარ-მოდგენას ხისტად ფიქსირებული, მდგრადი მახასიათებლების შესახებ. კავშირების მკაცრი განმეორებადობა და ძირითადი მოცემული პროცესების აღწარმოება განა-პირობებს სისტემის სტაბილურობას. სტატიკისა და დინამიკის ურთიერთკავშირი ისეთია, რომ მთლიანს აქვს მკაცრად ფიქსირებული და დროის ყოველ მომენტში მდგრადი სიდიდეები მაშინ, როდესაც შიგა პროცესებისთვის დამახასიათებელია გარკვეული მოუწესრიგებლობა. თვით პროცესების ცვალებადობა ქაოსური არ არის, არამედ აქვს ერთი და იმავე მოვლენების გარკვეული დროითი თანამიმდევრობა, ანუ ცვლილებებისთვის დამახასიათებელია რიტმი, რომელიც წარმოადგენს მოვლენათა კავშირების ტიპს, რაც განვითარების პროცესის ცალკეულ ნაწილებს ერთ მთლი-ანობაში აერთიანებს.

ორგანიზაციის კვლევასთან სისტემური მიდგომა, მისი თანამედროვე გაგებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული სისტემის თვითმართვად პროცესებთან. სოციალურ-ტექნიკური სისტემები ჩვენს შემთხვევაში უწონასწოროა, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ფაქტორის თვითორგანიზაციის ეფექტის განვითარებას და, შესაბამისად, თვითმართვას (ანუ ტექნოლოგიური მართვის მენეჯმენტს), რაც მიმართულია მარ-თვის სუბიექტის – მენეჯერისკენ. ამ შემთხვევაში ძირითად ცნებებს წარმოადგენს თვითმართვა (საკუთარი თავის მართვა), თვითორგანიზება (საკუთარი საქმიანობის ორგანიზება), თვითრეგულირება (საკუთარი საქმიანობის რეგულირება).

ორგანიზების მეცნიერება, რომელიც იყენებს სისტემურ მეთოდოლოგიას, გულის-ხმობს ორგანიზაციული საქმიანობის გამოცდილების შესწავლას და გათვალისწინებას

სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, წარმოების და, ზოგადად, ნებისმიერი საქმიანობის მართვის ორგანიზების მრავალფეროვანი პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

ორგანიზაციული პრობლემების ანალიზის წამყვანი მეთოდია სისტემური მე-თოდი, რომელიც მკვლევრის ორიენტაციას მიმართავს ორგანიზაციის მთლიანობის და მისი უზრუნველყოფის ფაქტორების გამოვლენისკენ, ორგანიზაციის გარე და შიგა გარემოსთან კავშირის მრავალნაირი ტიპის გარკვევისა და მათი ერთ სტრუქტურად გაერთიანებისკენ. გარკვეული თვალსაზრისით, სისტემური მიღება - ინტეგრი-რებული ორგანიზაციული ობიექტების და ინტეგრალური ურთიერთქმედებისა და დამოკიდებულების შესწავლის მეთოდოლოგიური საშუალებაა. „სისტემის“ ცნება მეტწილად აფიქსირებს მთლიანის ობიექტურ ფორმას, ხოლო „ინტეგრაციის“ ცნება ხაზს უსვამს ნაწილების გაერთიანების პროცესს და მექანიზმს, მთლიანის ან კომ-პლექსის მიერ ინტეგრალური ერთობლივი თვისებების შეძენას (ამის დადასტურებაა გამწმენდ სადგურებში მიმდინარე წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია). სისტემური მიღება შეიცავს გნოსეოლოგიურ ასპექტს: მთელის შემადგენელი ელემენტები შეიძლება განვიხილოთ როგორც მთლიანობა (სისტემა) და შესწავლილ იქნეს მთლიანის (როგორც ინტეგრირებული ობიექტის) სქემის მიხედ-ვით. ამრიგად, „ელემენტის“ ცნებას სისტემურ მეთოდში აქვს ფარდობითი არსი და განისაზღვრება როგორც მთლიანობის (სისტემის) ნაწილი. ამიტომ სისტემური გამკვლევების ცენტრში იმყოფება ინტეგრირებული ორგანიზაციული ობიექტები, შედგენილი სხვადასხვა ელემენტებისგან, რომელთა ურთიერთქმედება სხვადასხვა სისტემის და ქვესისტემის დაქვემდებარებით განისაზღვრება.

სისტემის გამოკვლევის მეთოდოლოგია მოითხოვს ორგანიზაციის თეორიასთან დაკავშირებული მრავალი ცნების განსაზღვრას (რომელთა გამოკვლევა – ადამიანის საქმიანობის სახეობაა) და იგი მდგომარეობს:

- პრობლემის და სიტუაციის ამოცნობაში;
- პრობლემის და სიტუაციის წარმოშობის განსაზღვრაში;
- პრობლემის და სიტუაციის თვისებების, შინაარსის, ქცევისა და განვითარების გამოვლენაში;
- პრობლემისა და დაგროვილი ცოდნის სისტემაში სიტუაციის ადგილის დადგენაში;
- მოცემული პრობლემის შესახებ ახალი წარმოდგენების და ცოდნის გამო-ყენების გზების, საშუალებებისა და შესაძლებლობების პოვნაში, მისი გადაჭრის პრაქტიკული თვალსაზრისით.

წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის გამოკვლევას (როგორც სხვა ნებისმიერი სისტემის გამოკვლევას) აქვს მახასიათებლების კომპლექსი, რომელიც საჭიროა გავითვალისწინოთ მისი ორგანიზებისა და ჩატარებისას. ჩამოვთვალოთ ზოგი მათგანი:

გამოკვლევის მეთოდოლოგია – გამოკვლევის მიზნების, მიღების, მიღების, ორიენტირების, პრიორიტეტების, საშუალებების და მეთოდების ერთობლიობა.

გამოკვლევის ორგანიზება – ჩატარების წესი, დაფუძნებული რეგლამენტებში, ნორმატივებსა და ინსტრუქციებში დაფიქსირებული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილებაზე.

გამოკვლევის რესურსები – საშუალებების და შესაძლებლობების კომპლექსი (მაგალითად, ინფორმაციული, ეკონომიკური, ადამიანური და სხვ.), რომელიც უზრუნველყოფს გამოკვლევის წარმატებით ჩატარებას და მისი შედეგების მიღწევას.

გამოკვლევის ობიექტი და საგანი. ობიექტი არის მართვის სისტემა, რომელიც მიეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული სისტემების კლასს, საგანი – კონკრეტული პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს გამოკვლევის ჩატარებას.

გამოკვლევის ტიპი – მისი გარკვეული ტიპისადმი კუთვნილება, რაც ასახავს ყველა მახასიათებლის თავისებურებებს.

გამოკვლევის მოთხოვნილება – პრობლემის აქტუალურობის ხარისხი, მისი გადაწყვეტისადმი პროფესიული მიღვომა, მართვის სტილი.

გამოკვლევის შედეგები – რეკომენდაციები, მოდელი, ფორმულა, მეთოდიკა, რაც ხელს უწყობს პრობლემის წარმატებით გადაჭრას, მისი შინაარსის, წყაროებისა და შედეგების გაგებას.

გამოკვლევის ეფექტურობა – გამოკვლევის ჩასატარებლად გამოყენებული რესურსების და მისგან მიღებული შედეგების თანაზომადობა.

მეთოდოლოგია – ადამიანის საქმიანობის ლოგიკური ორგანიზება, რომელიც მოიცავს გამოკვლევის მიზნების და საგნის, მისი ჩატარებისადმი მიღვომებისა და ორიენტირების განსაზღვრისა და საუკეთესო შედეგის განმსაზღვრელი საშუალებებისა და მეთოდების შერჩევას.

ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ხასიათდება მეთოდოლოგიით, მაგრამ კვლევითი საქმიანობის წარმატებაში მეთოდოლოგია გადამწყვეტ და განმსაზღვრელ როლს ასრულებს. გამოკვლევის მიზანია მისი ფუნქციონირებისა და განვითარების მართვის და ორგანიზებს სისტემის აგების ყველაზე ეფექტური ვარიანტების ძიება. გამოკვლევის მიზნები შეიძლება იყოს მიმდინარე და პერსპექტული, ზოგადი და

ლოკალური, მუდმივი და ეპიზოდური. ნებისმიერი გამოკვლევის მეთოდოლოგია იწყება მისი მიზნის არჩევის, დასმისა და ფორმულირებისგან.

გამოკვლევის ობიექტი არის ორგანიზაციის მართვის სისტემა. მაგრამ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ამ სისტემის კლასის გაგება და გათვალისწინება. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის მოკვლევისას გამწმენდი სადგურის სისტემა შეიძლება მიეკუთვნოს სოციალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული სისტემების კლასს. ეს ნიშნავს, რომ მისი ძირითადი ელემენტია ადამიანი, ადამიანის საქმიანობა განსაზღვრავს ამ სისტემის ფუნქციონირების და განვითარების ყველა პროცესის თავისებურებას. კავშირები, რომელთა საშუალებითაც არსებობს ეს სისტემა, ასახავს რთულ და წინააღმდეგობრივ ურთიერთობას ადამიანებს შორის, რაც დამყარებულია მათ ინტერესებზე, მოტივებსა და დებულებებზე.

გამოკვლევის მიზანია პრობლემა, მოვლენა, სიტუაცია და ა.შ. პრობლემა რეალური წინააღმდეგობაა, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას. მიზანი არის გამოკვლევის პრობლემის ამოცნობის და არჩევის საფუძველი. სისტემის გამოკვლევის მეთოდოლოგიის შინაარსის მომდევნო შემდგენია მიღვომა. მიღვომა არის გამოკვლევის რაკურსი. ეს არის საწყისი პოზიცია, ამოსავალი წერტილი, საიდანაც იწყება გამოკვლევა და რომელიც განსაზღვრავს მის მიმდინარეობას მიზანთან მიმართებით. სისტემების კვლევის კონტექსტში სისტემური მიღვომა, კვლევის სხვა მიღვომებისგან განსხვავებით, ასახავს გამოკვლევის მეთოდოლოგიის უფრო მაღალ დონეს. იგი მოითხოვს პრობლემის ყველა ასპექტის მაქსიმალურად შესაძლებელ გათვალისწინებას მათ ურთიერთკავშირსა და მთლიანობაში მთავრის და არსებითის გამოყოფას, თვისებებსა და მახასიათებლებს შორის კავშირების ხასიათის განსაზღვრის ასპექტებს.

გამოკვლევის მეთოდოლოგია აგრეთვე უნდა შეიცავდეს ორიენტირებისა და შეზღუდვების განსაზღვრას და ფორმულირებას. ეს საშუალებას იძლევა, უფრო თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად ჩატარდეს გამოკვლევა. ორიენტირები შეიძლება იყოს რბილი და ხისტი, ხოლო შეზღუდვები – აშკარა და ფარული.


მეთოდოლოგიაში მთავარ როლს ასრულებს გამოკვლევის საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

- ფორმალურ-ლოგიკური – ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის მეთოდები, რაც სისტემის გამოკვლევის საფუძველს შეადგენს;
- ზოგადმეცნიერული მეთოდები – ასახავს გამოკვლევის მეცნიერულ აპარატს, რაც განსაზღვრავს ნებისმიერი ტიპის ეფექტურობას;

- სპეციფიკურია მეთოდები, რომლებიც იქმნება სისტემის სპეციფიკით და ასახავს ნებისმიერი სისტემის თავისებურებებს.

4.2. წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის გამოკვლევის სისტემური მეთოდური საფუძვლები

სისტემური თეორია არის სამეცნიერო დისციპლინების თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების თავისებური არსენალი. სისტემური გამოკვლევების მეთოდურ საფუძველს შეადგენს ზოგადმეცნიერული, ანალიტიკურ-პროგნოსტიკული მეთოდები, აღებული ცოდნის სხვადასხვა დარგებიდან. სისტემური გამოკვლევების მეთოდური საფუძვლები მოცემულია მე-11 ნახ-ზე.



ნახ. 11. სისტემური გამოკვლევის მეთოდური საფუძვლები

• სისტემური ანალიზი ფართო გამოყენებას პოულობს წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის გამოკვლევებში, რომელიც საშუალებას იძლევა განვიხილოთ ნებისმიერი პრობლემური სიტუაცია როგორც შესწავლის გარკვეული ობიექტი, დიდი დიაპაზონის შიგა და გარე მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით.

• კომპლექსური მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ გამწმენდი სადგურის სისტემა, განვიხილოთ იგი როგორც ობიექტი, რომელსაც აქვს სხვადასხვა გამოვლინება. ამ შემთხვევაში გამწმენდ სადგურში მიმდინარე წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესი უნდა დახასიათდეს ისეთი ასპექტებით, რომელთა საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ და მივიღოთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებები.

სისტემური ანალიზი და კომპლექსური მიდგომა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ფაქტობრივად არ შეიძლება რეალიზებული იყოს ერთმანეთის გარეშე. თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში აუცილებელია გამოვიკვლიოთ ჯერ ერთი, მისი ყველა ურთიერთკავშირი (შიგა და გარე) და მეორე, მისი გამოვლენის ყველა შსარე და ასპექტი (სტრუქტურა, მოცულობა).

• პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვა ფართოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სისტემური სტრატეგიის და ტაქტიკის არჩევის და რეალიზებისას.

• მასობრივი მოშსახურების თეორიის მეთოდები გამოიყენება დამკვეთების მოშსახურების თანამიმდევრობის არჩევის პროცესის, საქონლის მიწოდების გრაფიკების შედგენის და სხვა ანალოგიური ამოცანების გადასაწყვეტად, რც საშუალებას იძლევა, ჯერ ერთი, შევისწავლოთ შექმნილი კანონზომიერებები, დაკავშირებული მოშსახურებაზე განაცხადების ნაკადის არსებობასთან და, მეორე, დავიცვათ მათი მოშსახურების საჭირო თანამიმდევრობა.

• ალბათობის თეორიის მეთოდები გვეხმარება მივიღოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს გარკვეული მოვლენების განვითარების ალბათობას და შესაძლო მოქმედებებიდან ავირჩიოთ ყველაზე ხელსაყრელი, მაგალითად, წარმოების რეორგანიზაცია მოვახდინოთ თუ გაფართოება, შევიდეთ ბაზარზე თუ არა და სხვ.

• პროდუქციის ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებული ამოცანების კომპლექსური ამოხსნისა და მატერიალური და შრომითი რესურსების ერთდროული ეკონომიკისთვის გამოიყენება ფუნქციურ-ღირებულებრივი ანალიზის მეთოდი. მაგალითად, რატომ უნდა შევქმნათ საქონლის ზედმეტი სიმტკიცე, თუ იგი სწრაფად ძველდება მორალურად და


გამოდის ხმარებიდან? წარმოების პროდუქტი, როგორც პოტენციური სახმარი ღირებულებაბ მხოლოდ მაშინ ვლინდება, როდესაც მოხმარების ობიექტად გადაიქცევა. მაშასადამე, ფუნქციურ-ღირებულებრივი ანალიზის კვლევის საგანი უნდა იყოს არა მარტო წარმოების პროცესი, არამედ ბაზრის მოხმარებისაც, თანაც, წარმოების და ბაზრის შესწავლის პროცესები თანაბარ გავლენას შეიძლება ახდენდეს ერთმანეთზე. ფუნქციურ-ღირებულებრივი ანალიზის გამოყენება წყალმომარაგების სისტემის საწარმოებს საშუალებას აძლევს აწარმოონ ისეთი რაციონალური გადაწყვეტილებების ძიება კონსტრუირების, ტექნოლოგის, პროდუქციის წარმოების და მომსახურების დარგში, რომელიც უზრუნველყოფს მის გაზრდილ კონკურენტუნარიანობას.

• მოვლენებს, ქმედებებს და პროცესებს შორის ცნობილი ან სავარუდო კავშირების სისტემა შეიძლება აღვწეროთ მოდელირების მეთოდების საშუალებით. უფრო ეფექტურია ეკონომიკური (ეკონომიკურ-მათემატიკური) მოდელები, რომლებიც საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ ოპერატიული მართვის ყველაზე რაციონალური სტრატეგია.

• სისტემურ-მეთოდურ ასორტიმენტში განსაკუთრებული ადგლი უკავია ექსპერიმენტული შეფასებების მეთოდს („დელფი“, „გონებრივი შეტევა“ და სხვ.), რომელიც საშუალებას იძლევა, საკმაოდ სწრაფად მივიღოთ პასუხი ბაზარზე ამა თუ იმ მოვლენის განვითარების შესაძლო პროცესების შესახებ, გამოვავლინოთ საწარმოს სუსტი და ძლიერი მხარეები, შევაფასოთ ამა თუ იმ სისტემური ღონისძიების ეფექტურობა. ექსპერტიზის ჩატარების სიხშირე დამოკიდებულია რიგი საკითხების გადაწყვეტასთან, რაც დაკავშირებულია ექსპერტული ჯგუფის ფორმირებასთან, ექსპერტიზის პროცედურასთან, ექსპერტული შეფასების შედეგების დამუშავების მეთოდების არჩევასთან. ექსპერტებისადმი წარდგენილი ძირითადი მოთხოვნებია: კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი, ავტორიტეტულობა, მიუკერძოებლობა. ექსპერტიზის ჩატარების პროცედურა გულისხმობს იდეების გენერირებას დისკუსიების ან გამოკითხვების (ჩვეულებრივის ან მრავალსაფეხურიანის) საფუძველზე ანკეტების გამოყენებით, ხოლო კომპიუტერების გამოყენება არა მარტო მიღებული მონაცემების დამუშავებაში გვეხმარება, არამედ ანალიტიკური და იმიტაციური მოდელების აგებაშიც.

• სისტემურ გამოკვლევასა და დამუშავებაში აქტიურად გამოიყენება ცოდნის სხვა დარგებიდან აღებული მეთოდური ხერხები. მაგალითად, ყველაზე ფართო კავშირია ისეთ მეცნიერებებთან, როგორიც სოციოლოგია და ფსიქოლოგია (ფსიქოლოგიური ტესტები,

მოტივაციური ანალიზი). გამოკვლევის სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულება სისტემური წესებისა და პროცედურების შესაბამისად მოყვანილია მე-12 ნახ-ზე.



**ნახ. 12. გამოკვლევის სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულება
სისტემური წესებისა და პროცედურების შესაბამისად**

ეფუძნება რა თავის საქმიანობაში ზოგადმეცნიერულ პრინციპებს და მეთოდებს, მკვლევარი ვალდებულია:

- იყოს ობიექტური, მიიღოს სიფრთხილის ყველა ზომა, რათა გავლენა არ მოახდინოს დაფიქსირებული ფაქტის ინტერპრეტაციაზე;

- მიუთითოს თავისი მონაცემების ცდომილების ხარისხი, მხედველობაში იქონიოს ნებისმიერი გამოყენებული მეთოდის არასრულყოფილება;
- იყოს შემოქმედებითი პიროვნება, განსაზღვროს ძიების ახალი მიმართულებები, გამოიყენოს თანამედროვე მეთოდები;
- მუდმივად იყოს დაკავებული გამოკვლევებით, რათა იყოს მომხდარი ცვლილებების კურსში.

სისტემური კვლევის პროცედურა, რომელიც შედგება კერძო მოქმედების თანამიმდევრობათა კომპლექსისგან, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ეტაპების სახით:

გამოკვლევის კონცეფციის შემუშავება:

- მიზნის განსაზღვრა;
- პრობლემის დასმა;
- სამუშაო პიპოთეზის ფორმირება;
- მაჩვენებელთა სისტემის განსაზღვრა.


კომპიუტერული მონაცემების მიღება და ანალიზი:

- სამუშაო ინსტრუმენტების შემუშავება;
- მონაცემთა მიღების პროცესი;
- მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.

გამოკვლევის შედეგები და ძირითადი დასკვნები:

- გამოკვლევის შედეგების გაფორმება;
- დასკვნების და რეკომენდაციების ფორმირება.

სისტემური გამოკვლევის კონცეფცია მდგომარეობს კვლევის საგნის შინაარსის დაწვრილებით განსაზღვრასა და ამოცანის ზოგად დასმაში მოცემული კვლევითი ჩანაფიქრის ფარგლებში. აქ აქცენტი გადატანილია საწყისი წარმოდგენის გამომუშავებაზე გამოკვლევის მიზნებისა და პრობლემატიკის შესახებ, სამუშაო პიპოთეზის ფორმირებაზე (ნახ. 13).



ნახ. 13. გამოკვლევის კონცეუფის შემუშავება


გამოკვლევის მიზანი დამოკიდებულია ფაქტობრივად ჩამოყალიბებულ საველე სიტუაციაზე. ეს არის ამოცანის ზოგადი დასმა, რომელიც გამომდინარეობს საწარმოს სისტემური საქმიანობის სტრატეგიული დებულებებიდან და მიმართულია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას განუსაზღვრელობის დონის შემცირებისკენ.

სამუშაო ჰიპოთეზა (ნახ. 14) არის ალბათური ვარაუდი განსახილველი მოვლენების არსისა და გადაჭრის გზების შესახებ, გამოსაკვლევად გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის თავისებური ალგორითმი. სამუშაო ჰიპოთეზის შემუშავება, ანუ, შეიძლება ითქვას, შემდგომი გამოკვლევის ფუნდამენტი – რთული შემოქმედებითი პროცესია, რომლის შედეგად დგინდება მთელი მუშაობის ჩარჩოები და განისაზღვრება მისი ძირითადი მიმართულებები. მან უნდა უზრუნველყოს:

- საიმედოობა (ჰიპოთეზა უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული პრობლემასთან, გამომდინარეობდეს მისი არსიდან);
- წინასწარმეტყველება (არა მარტო ხსნიდეს, არამედ იყოს პრობლემის გადაჭრის საფუძველი);
- შემოწმებადობა (შესაძლებელი რომ იყოს მისი დებულებების შემოწმება ემპირიული მასალით);
- ფორმალიზაციის შესაძლებლობა (ძირითადი ვარაუდის არა მარტო ლოგიკურად გამოხატვის შესაძლებლობა, არამედ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საშუალებითაც).

ემპირული მონაცემების მიღება და გაანალიზება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ინსტრუმენტების შემუშავებასთან, რაც წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდების და საშუალებების ერთობლიობას


გამოკვლევის სამუშაო პიპოთეზის შემოწმების მიზნით. გამოკვლევის სამუშაო ინსტრუმენტების არჩევის მიზანი და წესი მოყვანილია მე-15 ნახ-ზე.



ნახ. 14. გამოკვლევის სამუშაო პიპოთეზა

სამუშაო ინსტრუმენტები არის მეთოდების და ხერხების არა მექანიკური ერთობლიობა, არამედ მათი მიზანმიმართული არჩევა კონკრეტული, სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად. მისი შემუშავება შედგება რიგი ეტაპებისგან, რომლებიც შეიცავს განსაზღვრას:

- პირველადი მონაცემების შეგროვების მეთოდები და პროცედურები (გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, საწარმოს შიგა ინფორმაცია, შერჩევითი გამოკვლევები);
- მიღებული მონაცემების დამუშავების მეთოდები და საშუალებები (ეკონომიკურ-სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები);
- სამუშაო პიპოთეზების შემოწმების მასალის ანალიზის და განზოგადების მეთოდები (მოდელირება, ოპერაციების გამოკვლევა, ექსპერტიზა).



ნახ. 15. გამოკვლევის სამუშაო ინსტრუმენტები

ემპირიული მონაცემების მიღების პროცესში, რომელიც ხორციელდება არჩეული სამუშაო ინსტრუმენტების შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპეციალურ შერჩევით გამოკვლევებს, მოსახლეობისა და სპეციალისტების გამოკითხვას, ექსპერტიზას, რაც საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავერკვეთ საწარმოს სისტემურ-ორგანიზაციული საქმიანობის კონკრეტულ პრობლემატიკაში.

მასალის დამუშავებისა და ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოსაკვლევი პრობლემების განვითარების პროგნოსტიკულ გათვლებს. ამ დროს ფართოდ გამოიყენება ექსტრაპოლაციის, მოდელირების და ექსპერტული შეფასებების მეთოდები.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგი არის **დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება**, რაც უშუალოდ უნდა გამომდინარეობდეს დამუშავების შედეგებიდან, იყოს არგუმენტირებული და საიმედო, მიმართული გამოსაკვლევი პრობლემის გადაჭრისკენ.

გამოკვლევის შედეგები შეიძლება წარმოვადგინოთ პრობლემის არსის მოკლე, ყველასთვის გასაგები გადმოცემის ან სრული მეცნიერული ანგარიშის შედგენით, რომელშიც სისტემური თვალსაჩინო ფორმით არის წარმოდგენილი გამოკვლევის სქემა და მოცემულია დეტალურად დასაბუთებული დასკვნები და რეკომენდაციები. მეცნიერულ ანგარიშში (მოხსენებაში) ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- გამოკვლევის მიზანი;
- გამოკვლევის ობიექტი და ხერხები;
- გამოკვლევის შერჩევის დახასიათება, ჩატარების დრო, ინფორმაციის შეგროვების მეთოდი (ანკეტირება და ა.შ.);
- კითხვარი (ანკეტა);
- მონაცემები შემსრულებლების და კონსულტანტების შესახებ;
- ინფორმაციის მიღების წყაროები, მათი საიმედოობა კაბინეტური გამოკვლევების ჩატარებისას.

წარმოადგენს რა სისტემურ-ორგანიზაციული მიდგომის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, გამოკვლევა ვარაუდობს მის ზუსტ ორგანიზებას. გამოკვლევების დამოუკიდებელი ქვეგანყოფილების ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საწარმოს მდგომარეობასა და სურვილებზე, მისი საბაზრო საქმიანობის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, აგრეთვე, მის შესაძლებლობებზე და მუშაკთა პროფესიულ პოტენციალზე.

ამრიგად, ორგანიზაციის სისტემოლოგია, როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებასთან. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, იგი ასრულებს რიგ ფუნქციებს, რომლისგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია შემეცნებითი, მეთოდოლოგიური, რაციონალურ-ორგანიზაციული და პროგნოსტიკული.

• **შემეცნებითი ფუნქცია** ვლინდება სოციალური სისტემების ორგანიზებისა და თვითორგანიზების პროცესების გახსნაში, ორგანიზაციული განვითარების კანონზომიერ ტენდენციებში, სხვადასხვა სოციალური მოვლენების დინამიკაში.

• **მეთოდოლოგიური ფუნქცია** მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციის სისტემოლოგიის შემეცნებით ფუნქციასთან. კერძო თეორიებისგან განსხვავებით, ორგანიზაციის სისტემოლოგია არის კომპლექსური, ინტეგრირებული მეცნიერება. იგი იკვლევს ორგანიზაციულ ურთიერთობებს მაკრო- და მიკროდონებზე, როგორც მთლიან სისტემურ წარმონაქმნებს, რომლებიც ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ორგანიზაციის თეორიის კანონ-ტენდენციები განიხილავს ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბების, განვითარებისა და ფუნქციონირების უფრო მასშტაბურ პროცესებს. მისი ცოდნა აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი სისტემების უფრო კერძო, შედარებით ვიწრო კანონ-ტენდენციების სწორად შესწავლისათვის. ორგანიზაციის სისტემოლოგია არის მეთოდოლოგიური ბაზა კერძო თეორიებისთვის, რომელიც შეისწავლის ორგანიზაციული საქმიანობის ცალკეულ ასპექტებს;

• რაციონალურ-მარგანიზებელი ფუნქცია ორგანიზაციის სისტემოლოგიაში ვლინდება ორგანიზაციული საქმიანობის გამოცდილების განზოგადებაში როგორც წარსულში, ასევე აწმყოშიც, ორგანიზაციის და მისი სტრუქტურების ოპტიმალური მოდელების შემუშავებაში, სოციალური ტექნოლოგიების განსაზღვრაში სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების შედარებით უმტკივნეულოდ გადაჭრასთან დაკავშირებით;

• პროგნოსტიკული ფუნქციის რეალიზება საშუალებას იძლევა, დაგინახოთ „საწარმოს ხვალინდელი დღე“, ვიწინასწარმეტყველოთ ორგანიზაციული მოვლენები.

ორგანიზაციის სისტემოლოგია არ არის იზოლირებული სხვა მეცნიერებებისგან - იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციოლოგიასთან, სისტემათა ზოგად თეორიასთან, ეკონომიკურ თეორიასთან, მენეჯმენტთან, ანტიკრიზისული მართვის თეორიასთან, რადგან ორგანიზაცია და მართვა არის ადამიანების ერთობლივი საწარმოო საქმიანობის ეფექტურობის აუცილებელი პირობა.

4.3. წყლის გამწმენდი სადგურის ორგანიზაცია, როგორც სისტემა

წყლის გამწმენდი სადგურის ორგანიზაციის, როგორც სისტემის ფუნქციონირება ნებისმიერი ორგანიზაციის (მათ შორის, წყლის გამწმენდი სადგურის) ქმედითუნარიანობა პირველ რიგში დამოკიდებულია მის უნარზე არა მარტო შეეგუს ფუნქციონირების გარე პირობების ცვლილებებს, არამედ ზემოქმედება მოახდინოს ამ პირობებზე, რადგან მხოლოდ პერმანენტული ადაპტაციის აუცილებლობა ემუქრება ორგანიზაციის, როგორც სისტემის მთლიანობას.

ბერძნულად სიტყვა „ორგანიზაცია“ ნიშნავს მოწყობას, შეხამებას, გაერთიანებას ერთ მთლიანობაში, ან მწყობრ სისტემაში მოყვანას. ამრიგად, მთლიანობა არის ნებისმიერი სისტემის განმსაზღვრელი თვისება და მთლიანობის პირველ-საწყისობა – სისტემის ძირითადი პოსტულატი. სისტემა – ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტების მიზანშეწონილი ერთობლიობაა. მათი ნაწილები, კავშირები, ურთიერთობები და ფუნქციები ერთ მთლიანობას ქმნის.

იმყოფებიან რა ურთიერთდამოკიდებულებაში, ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებაში, ანუ ერთობლივად ფუნქციონირებენ, სისტემის შემადგენელი კომპონენტები უზრუნველყოფენ სისტემის, როგორც მთლიანობის ფუნქციონირებას. ამასთან, პრინციპულად მნიშვნელოვანია არა უბრალო ფუნქციონირება, არამედ ფუნ-

ქციონირება ინტეგრალური ანუ კომპლექსური ეფექტის მისაღებად მიზნის მიღწევისთვის, რისთვისაც სიმრავლის შემადგენელი ნაწილები სისტემად ორგანიზდება და ამავე დროს, საკუთარ თავს ინარჩუნებენ, როგორც მთლიან წარმონაქმნს (ნახ. 16).


მთლიანობის შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირში უნდა იყოს, ხოლო მთლიანის განვითარება დამოკიდებულია მის ყველაზე სუსტ ნაწილზე. სისტემის, როგორც ერთი მთლიანობის ქმედითუნარიანობის პირობა სწორედ მისი შემადგენელი ნაწილების პოტენციალების ურთიერთშეთანხმებაში მდგომარეობს. ურთიერთშეთანხმების ჩარჩოპირობები არის სისტემის მიზანი. უფრო მტკიცე რგოლების შენახვაზე სისტემის ხარჯები აწვება სისტემის ჯამურ ხარჯებს, რითაც აქვეითებს მის ქმედითუნარიანობას. მაშასადამე, სისტემის ქვედითუნარიანობა უპირველესად დამოკიდებულია მისი ორგანიზებულობის ხარისხზე. „ორგანიზაციის“ ცნება, ფართო გაგებით, ნიშნავს გარკვეულ წესრიგს, ხოლო ორგანიზების გაზრდა – მოწესრიგებას, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს სამი აუცილებელი პირობის დაცვით:

- თუ განსაზღვრულია სისტემის საზღვრები ანუ დადგენილია, თუ რამდენ და როგორ წარმომქმნელ ერთეულს შეიცავს იგი;
- თუ განსაზღვრულია ცვლადები, რომლებიც ახასიათებს სისტემის წარმომქმნელ ერთეულებს და დადგენილია დასაშვები ურთიერთობები მათ შესაძლო რაოდენობრივ მნიშვნელობებს შორის;
- თუ განსაზღვრულია თითოეული ერთეულის მოქმედების სახე და მათი ურთიერთქმედების სქემები.

ამასთან, ნებისმიერი სისტემის ორგანიზება მოითხოვს ელემენტების ისეთ შერჩევას და შეთავსებას, რომლებიც არა მარტო უზრუნველყოფს მის პარმონიულ ფუნქციონირებას და განვითარებას ორგორც ერთი მთლიანობისა, არამედ უფრო მსხვილ სისტემასთან თავსებადობასაც, რომლის ელემენტსაც წარმოადგენს იგი.

თვითონ ელემენტებს კი (სისტემის შემდგენების კომპონენტები), მოქმედებენ რა მიზანშეწონილად, მთელი ორგანიზაციის მიმართ აქვთ გარკვეული ფუნქცია, რაც ახასიათებს ამა თუ იმ ელემენტის როლს და დანიშნულებას მიზნის განხორციელებაში. ფუნქციების ერთობლიობის დანიშნულებაა, უზრუნველყოს ყველა ქვესისტემის (ელემენტის) ყველაზე ეფექტური ფუნქციონირება სისტემის მიზნების შესაბამისად. ამრიგად, ორგანიზაციის, როგორც სისტემის მდგომარეობა ხასიათდება ელემენტების რაოდენობრივი შემადგენლობით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, ურთიერთკავშირით და ურთიერთქმედებით, მთლიანად სისტემის და მისი ელემენტების ფუნქციური სპეციფიკით.

ორგანიზაციისა და ორგანიზაციული ურთიერთობების კვლევა თანამედროვე მდგომარეობის აქტუალური ამოცანაა. XX საუკუნეში ჩამოყალიბდა ორგანიზაციის ორი ძირითადი მოდელი (დახურული და ღია). თითოეული ბაზირებულია მისი, როგორც სისტემის წარმოდგენაზე. ამას ხელი შეუწყო სისტემის ზოგადი თეორიის განვითარებამ, რამაც წამოჭრა ორგანიზაციის განხილვის ამოცანა მისი ყველა შემადგენელი ელემენტის და ქვესისტემის ერთობლიობაში.



ნახ. 16. სისტემად ორგანიზების პროცესი


არსებობს სისტემის ცნების მრავალი მისაღები განმარტება. განმარტებათა სისტემა რეალური ობიექტის ან მოვლენის აბსტრაქტული (ენობრივი) ანალოგია (მოდელი), მაგრამ, ამავე დროს, იგი არ არის ობიექტი. სისტემა არის ის, რაც უნდა ვიცოდეთ მოცემული ობიექტის შესახებ, რათა გადავწყვიტოთ გამოკვლევის, დაგეგმვის და მართვის რაიმე კონკრეტული ამოცანა. სისტემის ზოგადი თეორიის შესახებ პირველ შრომებში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა შიგა ელემენტების და მათ შორის, კავშირების განხილვას, სტრუქტურებს და პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფნენ მიზნის მიღწევას და შედეგის მიღებას. სისტემური მიდგომის პოზიციიდან გამომდინარე, ორგანიზაცია განიხილება როგორც ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური წარმონაქმნი, რომელსაც აქვს საქმიანობის ფორმის არჩევის გარკვეული თავისუფლება და წარმოადგენს ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომლის ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია და ერთობლივად მოქმედებენ საერთო მიზნების მისაღწევად, ხოლო მართვა განიხილება როგორც სისტემის თვისება, შეინარჩუნოს თავისი სტრუქტურა, განამტკიცოს თავისი შიგა კავშირები ორგანიზაციას და გარე სამყაროს შორის კავშირების გართულებასთან ერთად. ამავე დროს, აქცენტი ორგანიზაციის სისტემური წარმოდგენის შესახებ არსებულ შრომებში გადავიდა გარე სამყაროსთან მისი განუყოფელი კავშირის გამოვლენასა და აღწერაზე. შედეგად ჩამოყალიბდა ორგანიზაციის, როგორც ღია სისტემის ოთხი მოდელი.

ორგანიზაცია შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც პროცესი და როგორც მოვლენა. როგორც პროცესი, ორგანიზაცია არის მოქმედებათა ერთობლიობა, რომელსაც მივყავართ მთლიანის ნაწილებს შორის ურთიერთკავშირის წარმოქმნასა და სრულყოფასთან. როგორც მოვლენა, ორგანიზაცია არის ელემენტების გაერთიანება პროგრამის ან მიზნის რეალიზებისთვის, მოქმედი გარკვეული წესების და პროცედურების საფუძველზე. ორგანიზაციული ურთიერთობები არის ორგანიზაციის ელემენტებს შორის ურთიერთქმედება ან საწინააღმდეგო ქმედება მისი ფუნქციონირების პროცესში. ორგანიზაციულ ურთიერთობებს შეიძლება პქნდეს სამი დონე (ნახ. 17):

- საღი აზრის;
- ურთიერთგანადგურების;
- წინასწარ დაპროექტებული ურთიერთქმედების.

სისტემურ თეორიაში ორგანიზაცია არის მოწესრიგების პროცესისკენ მიზან-სწრაფულობა, როგორც ამ პროცესის შედეგის სინონიმი. ორგანიზაციის სოციო-ლოგიასა და ორგანიზაციის ზოგად თეორიაში მოცემული ცნება ერთდროულად გამოიყენება სოციალური პროცესის, კერძო მმართველობითი ფუნქციის და


კოლექტიური საქმიანობის სპეციფიკური მრავალელემენტიანი სუბიექტის (ერთდროულად ობიექტის) აღსანიშნავად, ამასთან, მართვის ობიექტის როლში გამოდიან ადამიანები, მათი ქცევა ან საქმიანობა (ნახ. 18).



ნახ. 17. ორგანიზაციული ურთიერთობების დონეები

- ორგანიზაციის, როგორც ადამიანების ქცევის მოწესრიგების პროცესის გაგება ტიპურია სოციალურ-მმართველობითი დისციპლინების უმრავლესობისთვის. პროცესის შინაარსს წარმოადგენს ადამიანების გაერთიანება (ჯგუფი) და მათი ქცევის

რეგლამენტაცია მიზნის მისაღწევად ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისა და ურთიერთქმედებისას, ხოლო მისი შედეგია სოციალური წესრიგის ან თანხმობის გარკვეული დონის უზრუნველყოფა. ორგანიზაციის, როგორც კერძო მმართველობითი ფუნქციის განსაზღვრა მიუთითებს მასზე, როგორც მმართველობითი საქმიანობის სტანდარტულ ელემენტზე, ისეთზე, როგორიცაა მიზანმიმართულობა, დაგეგმვა (ზოგჯერ მოტივაცია), კოორდინაცია და კონტროლი. ორგანიზაციის ცნებაში იგულისხმება საწყისი პირობების შექმნის პროცესი მიზნობრივი საქმიანობისთვის: სამუშაო ადგილების სისტემის ფორმირება – ორგანიზაციის სტრუქტურის, პერსონალის შერჩევა, განაწილება და სწავლება. ამ თვალსაზრისით, მოცემული ცნება ხშირად გამოიყენება ოპერატიული მართვის თეორიაში.



ნახ. 18. ორგანიზაციული ურთიერთობების მოწესრიგების ობიექტები

4.4. წყლის გამწმენდი საღგურის ორგანიზაციის ფუნქციონირების სისტემური ანალიზი

ორგანიზაცია წარმოადგენს მთლიან ღია სისტემას. მრავალრიცხოვანი ძაფით იგი დაკავშირებულია შიგა და გარე გარემოსთან, რომლის ცვალებადობა ორგანიზაციის საქმიანობაზე პოზიტიურ და ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს. რაც უფრო რთული და მასშტაბურია ორგანიზაცია, მით მეტი ყურადღების დათმობა უხდებათ მეწარმეებს და მენეჯერებს გარემოს ანალიზსა და მართვის ეფექტურობაზე მისი გავლენის გათვალისწინებაზე.

სისტემური მოდელი არის ორგანიზაცია, რომელშიც მისი ფუნქციონირება, თვისებები, სტრუქტურა, მოქმედების თავისებურებები და განვითარების ლოგიკა დამოკიდებულია გარემოს მდგომარეობასა და დინამიკაზე. მოცემული მოდელი აღწერს ორგანიზაციას, როგორც დინამიკურ სისტემას, რომელიც მჭიდროდ ურთიერთქმედებს გარემოსთან და რეაგირებს მისი ცვლილების დინამიკაზე. დინამიკური სისტემა – ეს ტერმინი ნასესხებია სისტემების საერთო თეორიიდან და ამიტომ საწყის ვარიანტში მისი არის გულისხმობდა, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია შეიძლება მივაკუთვნოთ ღია სისტემებს, თუ იგი ცვლის გარემოსთან ენერგიას, ინფორმაციას, სისტემურ პროდუქტს და დახურულს – თუ ასეთი გაცვლა არ ხდება. ორგანიზაციაზე ასეთი შეხედულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სისტემის ზოგადი თეორიის წარმომადგენლების შრომებმა.

ორგანიზაციასთან მიმართებით ეს ნიშნავდა, რომ ღია სისტემის მოდელით მომუშავე ორგანიზაცია მოიხმარს მასალებს და სოციალურ რესურსებს, ინფორმაციას და გარემოს აწვდის გარკვეულ სისტემურ პროდუქტს, დახურული სისტემისგან განსხვავებით. რადგან სისტემის გახსნილობა განისაზღვრებოდა მისი კავშირით გარემოსთან, რომელიც რეალიზებული იყო გარემოსთან ადაპტაციის სოციალური ფუნქციის საშუალებით, ორგანიზაციის მოდელის, როგორც ღია სისტემის ასეთი გაგება პრაქტიკულად ემთხვეოდა ორგანიზაციის ბუნებრივი მოდელის განმარტებას.

ორგანიზაციის ბუნებრივი მოდელი ზოგადად არის განსაკუთრებული შეხედულება ორგანიზაციის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომირებათა ბუნებაზე. ორგანიზაცია განიხილება, როგორც სოციალური ორგანიზმი (კვაზიბუნებრივი ობიექტი), რომელიც თელეოლოგიურად, ეკოლუციურად და ეტაპობრივად ვითარდება და ფუნქციონირებს თავისი კანონების მიხედვით, რომლის ცენტრალური პრობლემა, ისევე როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმებში, არის მისი გადარჩენა. ამ

მოდელში ფორმალური სტრუქტურის ფორმირების ლოგიკა (მაგ., ორგანიზაციის ქვემოდან დაპროექტება) მდგომარეობს ორგანიზაციაში უკვე რეალურად ჩამოყალიბებული ურთიერთობების გაზრდებაში, დაკანონებასა და ინსტიტუციონალიზაციაში. ბუნებრივი მოდელის სპეციფიკა ორგანიზაციის თეორიაში ვლინდება ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ბუნების და მექანიზმების გაგებაში, რომელიც განიხილება როგორც თავისთავად შექმნილი და სტიქიურად მოქმედი სოციალური ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის ბუნება და ფუნქცია შეიძლება გავიაზროთ მხოლოდ ორგანიზაციული სისტემის სხვადასხვაგვარ მოთხოვნებთან – სოციალურ ფუნქციებთან დაკავშირებით. ორგანიზაციის თეორიის ბუნებრივი მოდელის სხვა მოხსრების თვალსაზრისით, ორგანიზაციის მსგავსება ბუნებრივ სისტემებთან იმაში მდგომარეობს, რომ ერთსაც და მეორესაც აქვს განვითარების გარკვეული სასიცოცხლო ციკლი: დაბადება, განვითარება, ზრდა, მომწიფება და სიკვდილი.

ასეთი შეხედულება ორგანიზაციაზე, როგორც ბუნებრივ სისტემაზე, დომინირებდა ორგანიზაციის თეორიაში დაახლოებით გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე. მაგრამ ასეთი შეხედულების ბანალურობა დროთა განმავლობაში აშკარა გახდა, რადგან ორგანიზაციის არცერთ მოდელში, კლასიკურის ჩათვლით, არ უარყოფენ გარკვეულ ურთიერთობას ორგანიზაციასა და გარემოს შორის. სწორედ ამიტომ ორგანიზაციის თანამედროვე თეორიაში ორგანიზაციის, როგორც ღია სისტემის მოდელის სახით, ჩვეულებრივ, განიხილება მხოლოდ ისეთი მოდელი, რომელშიც დინამიკურ გარემოსთან ურთიერთქმედი სისტემა მუდმივად იცვლის შესასვლელს (მოხმარებული ინფორმაციის, ენერგიის და რესურსების ტიპს) და გამოსასვლელს (სისტემური პროდუქტის ტიპს). ასეთი სიტუაცია იქმნება დინამიკური გაჯერებული და გადაჯერებული ობიექტის პირობებში. ამრიგად, ლაპარაკია მოდელებზე, რომლებშიც სისტემის „შესასვლელი“ და „გამოსასვლელი“ მახასიათებლები მუდმივად იცვლება. ასეთი მოდელები საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ ორგანიზაციის მიმდინარე მდგომარეობა და განვითარება როგორც გარემოს ცვალებადობის შედეგი, როდესაც იგი ფუნქციონირებს გადაჯერებული ბაზრის პირობებში, რაც გამოირჩევა დინამიკით და განუსაზღვრელობის მაღალი დონით. მაშასდამე, ორგანიზაციის, როგორც ჩაკეტილი სისტემის მოდელი არის ისეთი მოდელი, სადაც „შესასვლელი“ და „გამოსასვლელი“ სტაბილურია, რაც შეესაბამება მაღალი განსაზღვრულობის მქონე სიტუაციას (გაუჯერებელი ობიექტის პირობები).

- სისტემის კომპონენტები – სისტემა შედგება გარკვეული რაოდენობის ნაწილებისგან, რომლებსაც ეწოდება კომპონენტები ან ელემენტები. ისინი აუცილებელია სისტემის მიზნების მისაღწევად;

- სისტემის კავშირება – სისტემის კომპონენტები და კავშირებულია ერთმანეთთან, რაც უზრუნველყოფს სისტემაში მიმდინარე პროცესების უწყვეტობას;
- სისტემის სტრუქტურა – კაგშირის ფორმა ორგანიზაციულად არის გამაგრებული სტრუქტურაში, რაც უზრუნველყოფს მდგრადობას და სისტემას სტაბილურობას ანიჭებს; სისტემებისთვის დამახასიათებულია სტრუქტურის აგებულების იერარქია ანუ მასში ქვესისტემების არსებობა;
- სისტემის ურთიერთქმედება – კომპონენტები მოქმედებს ერთმანეთზე მათი სისტემაში ყოფნით და სისტემიდან გამოსვლით და მხოლოდ ყველა ელემენტის ურთიერთქმედებასა და კავშირში არის შესაძლებელი პროცესები, რომელთა საშუალებითაც იქმნება შედეგი;
- სისტემის პროცესი სისტემაში ერთდროულად ხორციელდება რამდენიმე პროცესი, რომელთაგანაც თითოეული და კავშირებულია რაიმე სახის ცვლილებასთან. პროცესები ცვლიან სისტემაში შემავალ რესურსებს და გადააქცევენ მას პროდუქტად და მომსახურებად;
- სისტემის მთლიანობა და ემერჯენტული (გამოვლინება) თვისებები – სისტემა – მთლიანობა გამოავლენს თვისებებს, რომლებიც წარმოიქმნება მხოლოდ მისი კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგად;
- სისტემის იდენტიფიკაცია – სისტემის თვისებები, რომლის საფუძველზე შეიძლება მისი იდენტიფიცირება ანუ განვასხვაოთ სხვა მოვლენებისგან, რომლებიც არ შედის ამ სისტემაში; ამისათვის უნდა განვსაზღვროთ გარემოსგან სისტემის გამყოფი საზღვრები;
- სისტემის გარემოცვა – მოვლენები და ფუნქციები, რომლებიც არ არის სისტემის ნაწილები, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასზე. ისინი ქმნიან სისტემის გარემოს და თავიანთი ზემოქმედებით შეიძლება შეიცვალონ მისი მიმდინარეობა;
- სისტემის კონცეფცია – სისტემა არის კონცეფცია. მისი განსაკუთრებული ელემენტებია და ახორციელებენ საკუთარ იდეებს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მართვის სისტემა.

ორგანიზაციის, როგორც სისტემის განხილვისას საჭიროა გავითვალისწინოთ მისი ყველა შემადგენელი ქვესისტემა, მათი ურთიერთობა ერთმანეთთან და ურთიერთდამოკიდებულება გარე და შიგა გარემოცვასთან.

ორგანიზაციის, როგორც სისტემის გარემო ხასიათდება ცვლადების (ელემენტების) ერთობლიობით, რომელიც ორგანიზაციის ფარგლებს გარეთაა და არ არის მისი მენეჯმენტის უშუალო ზემოქმედების სფეროში, მოიცავს მას და შესამჩნევ გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე. გარემოს ფაქტორების ანალიზის გასამარტივებლად მათ ყოფენ პირდაპირ და ირიბ ზემოქმედების ფაქტორებად.

გარემოს პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები უშუალო გავლენას ახდენს ორგანიზაციის მოქმედებაზე და თვითონაც განიცდის ორგანიზაციის საქმიანობის უშუალო ზემოქმედებას. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება მომწოდებლები, შრომითი რესურსები, კანონები, სახელმწიფო რეგულირების დაწესებულებები, მომხმარებლები და კონკურენტები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის ზეწოლა ყველაზე მნიშვნელოვან გარე გარე ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომ საჭიროა მუდმივად ვადევნოთ თვალყური პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორების შემდეგ პარამეტრებს:

- ბაზრის სირთულე. განსაზღვრავს თუ არა ბაზარი სამუშაოების შესრულების ხარისხს, ტემპისა და ტექნოლოგიას ორგანიზაციის შიგნით, აგრეთვე იოლად შეიძლება თუ არა შევამციროთ საპასუხო მოქმედების სირთულე, ამ სირთულის გადალახვის მიზნით;
- დივერსიფიკაციის ხარისხი ანასიათებს პროდუქტის, კლიენტებისა და მომსახურების სპექტრს, რომელიც შემოთავაზებულია ბაზარზე და საპასუხო მოქმედებას მოითხოვს საწარმოს (ორგანიზაციის) მხრიდან;
- სიცხადე და სტაბილურობა, რაც ეხმარება ან პირიქით, ხელს უშლის საწარმოს, იწინასწარმეტყველოს მოცემულ ბაზარზე ცვლილებების მიმდინარეობა და ტემპი;
- შესაძლებლობებისა და საფრთხეების თანაფარდობა მოცემულ ბაზარზე, რაც განსაზღვრავს მის ჯამურ შეფასებას საწარმოსათვის;
- სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის ხასიათი, რაც გულისხმობს მათი მხრიდან მოთხოვნებისა და შეკითხვების წინასწარგანჭვრეტას, პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირების არსებობას, მათზე დამოკიდებულების ხარისხს და ა. შ.
- გარემოს ირიბი ზემოქმედების ფაქტორებმა შეიძლება არ მოახდინოს პირდაპირი დაუყოვნებელი ზემოქმედება ორგანიზაციის მოქმედებაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, აისახოს მასზე. ეს არის ეკონომიკის მდგომარეობა, სამეცნიერო და ტექნიკური პროგრამის დონე, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები, ეროვნული ან ჯგუფური ინტერესების გავლენა და ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები (ომები, კრიზისი) სხვა ქვეყნებში. ეს ფაქტორები განსაზღვრავს ორგა-

ნიზაციის მენეჯერების მიერ მიღებულ სტრატეგიულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს;


• ორგანიზაციული სისტემის შიგა გარემო ყალიბდება იმ ცვლილების ზემოქმედებით, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს მასში მიმდინარე პროცესებზე. სწორედ ისინი განაპირობებენ ორგანიზაციის სტრუქტურას, რაც ასახავს შიგა გარემოს მდგომარეობას და ძირითად ნიშნებს. ორგანიზაციის შიგა გარემოს ძირითადი ცვლადები, რომელიც მოითხოვს ყურადღებას, ანალიზს და შეფასებას მენეჯმენტის მხრიდან, არის მიზნები, ამოცანის სტრუქტურა, ტექნოლოგია, ადამიანები, რესურსები და ქცევის კულტურა.

ორგანიზაციის შიგა გარემო დამოკიდებულია მიმდებარე გარემოზე, მისგან იღებს ყველაფერ აუცილებელს, რათა განახორციელოს თავისი დანიშნულება და მას სთავაზობს თავისი ძალისხმევის შედეგებს რესურსების პროდუქციად და მომსახურებად გარდაქმნისათვის. არსებითად ეს ახსიათებს საზოგადოებრივი ცხოვრების იერარქიულ აგებულებას და ორგანიზაცია არის მხოლოდ ქვესისტემა, რომელიც უფრო მაღალი დონის სისტემის შემადგენლობაში შედის. მასში მიმდინარე გარდაქმნები დაკავშირებულია სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული პროცესის შესრულებასთან.

4.5. წყლის გამწმენდი სადგურის ორგანიზაცია, როგორც სოციალურ-ტექნიკური სისტემა

როგორც აღრე უკვე აღინიშნა, ორგანიზაცია როგორც სოციალურ-ტექნიკური სისტემა – ორგანიზაციის სისტემური მოდელების ერთ-ერთი ნაირსახეობაა (სამრეწველო საწარმოსი), რომელიც აღწერს ორგანიზაციას როგორც ხელოვნურ, ძირითადად დახურულ სისტემას. ორგანიზაცია ხასიათდება როგორც რთული ჰეტეროგენული სისტემა და შედგება მინიმუმ ორი ურთიერთდამოკიდებული ქვესისტემისგან – ტექნიკურ-ტექნოლოგიურისა (ტექნიკური ორგანიზაცია) და სოციალურ-ფსიქოლიგიურისაგან (სოციალური ორგანიზაცია), რომელიც არეგულირებს მისი წევრების ქცევას და ასრულებს ტექნიკისა და ადამიანური კომპონენტის შეერთების ფუნქციას. საწარმოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური ქვესისტემა ბაზისურია სოციალურ-ფსიქოლოგიურ ქვესისტემასთან მიმართებით, რომელიც ბევრ რამეში იმეორებს მის კონტურებს. ტრანსფორმაციის შედეგად ტექნიკურ ორგანიზაციაში (ტექნიკური სიახლეების დანერგვა) აუცილებლად შეიცვლება მომუშავეთა შორის ურთიერთობის ხასიათი და, აგრეთვე, მართვის ფუნქციაც. ორგანიზაციის მოცემული მოდელის

მომხრეებმა წამოსწიეს ადეკვატური შესაბამისობის პრინციპი ორგანიზაციის საქმიანობის ფორმასა და მის ტექნიკურ ბაზის შორის, როგორც ორგანიზაციის ეფექტურობის გაზრდის პირობა (ნახ. 19).



ნახ. 19. შესაბამისობის პრინციპის ასაზვა ირგვლივ საქმიანობის ფორმასა და მის ტექნიკურ ბაზის შორის

ორგანიზაციის აგებულების და ფუნქციონირების შესახებ ყველაზე ვრცელი წარმოდგენა განიხილავდა ორგანიზაციას როგორც სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკის შეერთებას ადამიანურ კომპონენტთან. მან გამოყო ირგვლივ აგებულების და ფუნქციების მიზანის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ინტერაქციების სტრუქტურას და მის მიზანის სისტემას. ეს სისტემა განსაზღვრავს ტექნიკურ-ტექნიკოლოგიური, ფორმალური, ფორმალურსგარე, არაფორმალური და სამართლებული მიზანის სისტემას.

• ტექნიკურ ორგანიზაციაში მომუშავეთა ქცევის რეგულირებითვის იგი აფიქსირებს მათი სტატუსის დიფერენცირებას გონიერი და ფიზიკური, კვალიფიცირებული და არაკვალიფიცირებული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო შორმის, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის და სტანდარტული საქმიანობის, რთული და მარტივი მუშაობის, ხანგრძლივ და ხარმოკლე პროფესიულ მომზადებას შორის განსხვავების საფუძველზე. ამავე დროს, ტექნიკური ქვესისტემა განსაზღვრავს ძალაუფლების ურთიერთობის სტრუქტურასაც;


• ფორმალური ორგანიზაცია ასრულებს ტექნიკური და სოციალური კომპონენტების გაერთიანების ფუნქციას, იძლევა მომუშავეთა ქცევის ზოგად მიზნებს და სტანდარტებს;

• ფორმალურსგარე ორგანიზაცია ნებადართული ფორმების ფარგლებში მომუშავეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ქცევის მოდიფიცირება სპეციფიკური მიზნების შესაბამისად და გადაწყვიტონ შემოქმედებითი ამოცანები;

• არაფორმალური ორგანიზაცია მოიცავს პიროვნებათა შორის ურთიერთობის სფეროს და აგებულია მხოლოდ თავისუფალი არჩევანის პრინციპზე, პირადი სიმპათიის საფუძველზე ჩამოყალიბებული მცირე ჯგუფების დონეზე.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ორგანიზაციის, როგორც სოციალურ-ტექნიკური სისტემის ცნება დაკავშირებულია სხვა ცნებასთან – რთული ორგანიზაცია. რთული ორგანიზაცია არის შსხვილი მრავალმიზნობრივი, მრავალდონიანი და მრავალპროფილიანი საქმიანი (კომერციული და საწარმო) ორგანიზაციის მოდელი, რომელიც შედგება რამდენიმე შედარებითი ავტონომიური ქვეგანყოფილებისგან, რომელთაგან თითოეული შეიძლება განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, მოქმედი განუსაზღვრელობის პირობებში (ნახ. 20).

ყველაზე სრული წარმოდგენა რთული ორგანიზაციის ბუნების შესახებ ჩამოყალიბდა სიტუაციური მიდგომის წარმომადგენლობის მიერ. ასეთ ორგანიზაციებად ისინი თვლიან თანამედროვე შსხვილ მრავალელემენტიან კომერციულ, საწარმოო და სერვისულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ მაღალი განუსაზღვრელობის სიტუაციაში და გამოირჩევან სტრუქტურის სირთულით. ამ კონცეფციებში თანამედროვე ორგანიზაციების აგებულების სირთულე უკავშირდება გარემოს გარკვეულ თვისებას, რომელიც ერთდროულად არის სხვადასხვაგვარი რესურსების და ორგანიზაციების წყარო, რომლებიც აკონტროლებენ მათ განაწილებას, და რომლებთანაც ორგანიზაცია თანამშრომლობს ან კონკურენციას უწევს.



ნახ. 20. ორგანიზაციის რთული ბუნების სქემური აღწერა

რთული ორგანიზაციები გამოდიან როგორც ღია მრავალელემენტიანი სისტემები, რომლებიც მოქმედებენ მაღალი განუსაზღვრელობის სიტუაციაში. თანამედროვე საქმიანი ორგანიზაციების გაგება როგორც რთული სისტემებისა, ეფუძნება მათში ორი პროფესიული ჯგუფის და იმ ორი ტიპის ქვეგანყოფილების გამოყოფას, პირობების ხასიათის, ტექნოლოგიებისა და ფუნქციონირების პრინციპების მიხედვით: ტექნიკური ბირთვი და ბუფერული ქვეგანყოფილებები. ისინი პირველ რიგში, განსხვავდებიან გარემოს ზემოქმედების მიმართ გახსნილობის ხარისხით.

არსებობს რთული ორგანიზაციების სხვა მოდელი, რომელმაც „კომპლექსური ორგანიზაციის“ სახელწოდება მიიღო. კომპლექსური ორგანიზაციების აგებულების სირთულე და ფუნქციონირების ლოგიკა აღიწერება გარემოს ჰეტეროგენულობის (არაერთგვაროვნების) მახასიათებლების საშუალებით. ამ კონცეფციის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ქვეგანყოფილება ურთიერთქმედებს გარემოს საკუთარ სეგმენტთან და ამისათვის გამოიმუშავებს საკუთარ მეთოდებს, ტექნოლოგიებსა და სტრუქტურას. საბოლოოდ, ამას მივყავართ სამი შეხვილი და შედარებით ავტონომიური წარმონაქმნის ფორმირებამდე ერთიანი ორგანიზაციის ფარგლებში:

- განვითარების განყოფილება;
- წარმოების განყოფილება;
- რეალიზაციის განყოფილება.

ქვეგანყოფილების დიფერენციაციის ხარისხი მოცემული წარმოქმნების შიგნით გარემოს განუსაზღვრელობის დონის პროპორციულია. ასეთი ორგანიზაციების დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა ქვეგანყოფილებებს შორის ინტეგრაციის უზრუნველყოფისა და კონფლიტების გადაჭრის პრობლემა. ამ დროს, რაც უფრო მაღალია ორგანიზაციის სტრუქტურული დიფერენციაციის დონე, მით მეტი დამატებითი სახსრებია საჭირო მისი ინტეგრაციისთვის. რთული ორგანიზაციების ტიპური მაგალითია ორგანიზაცია, რომელიც ითვისებს საქმიანობის სამ განცალკევებულ ტიპს:

